მასწავლებლის წიგნი

ინა იმედაშვილი
მარინე მახათაძე
თინათინ კუხიანიძე
მარინა ბედოშვილი
ბაკურ სულაკაური

ქართული 1

ენა და ლიტერატურა



სულაკაურის
გამომცემლობა

ქართული ენა და ლიტერატურა 1
მასწავლებლის წიგნი

ავტორები: **ინა იმედაშვილი, მარინე მახათაძე, თინათინ კუხიანიძე, მარინა ბედოშვილი, ბაკურ სულაკაური**
რედაქტორები: **ოლანი ბიწაძე, თეონა ბექიშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ილუსტრატორები: **ნანა მელქაძე, ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**
მოსასმენი ტექსტების ავტორები: **ოლანი ბიწაძე, ბაკურ სულაკაური, თინათინ კუხიანიძე, მარინა ბედოშვილი**
აუდიომასალა მომზადებულია **„საავტორო სტუდიაში“ დავით ხოსიტაშვილისა** და **ნინო ჯანჯღავას** მიერ. ახმოვანებს **ნინო ვანელი.**
კლასის ჰიმნის ტექსტისა და მუსიკის ავტორი **ნინო ჯანჯღავა**

პირველი გამოცემა, 2023
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

Georgian 1
Student's book

© Sulakauri Publishing, 2023
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

შესავალი.....5

დეტალური კომენტარები სახელმძღვანელოს თითოეულ
სტრუქტურულ ელემენტთან (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული)
დაკავშირებით და მათი გამოყენების წესი. 6

ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე 13

1. ვემზადები კითხვისთვის (წინასაანბანო პერიოდი) 18

2. მე ვსწავლობ კითხვას (საანბანო პერიოდი)..... 41

3. მე უკვე ვკითხულობ (ანბანის შემდგომი პერიოდი)..... 57

კითხვის სტრატეგიები..... 73

დანართი: სიტყვებისა და დიდი წიგნების ბარათები 75

დანართი: მოძრავი ანბანი (საანბანო პერიოდი) და მოსასმენი ტექსტები 203

ძვირფასო მასწავლებლებო,

თქვენ წინაშეა პირველ კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კარგად გააზრებული სახელმძღვანელო, რომელზე მუშაობის პროცესშიც შესაძლებლობა გვქონდა, ჩვენ მიერ შედგენილი მასალა შეგვემოწმებინა საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. ამიტომ თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საგნის ნებისმიერ მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოარგოს ეს წიგნი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ავტორებისა და პედაგოგების საერთო მიზანია, შევაყვაროთ მოსწავლეებს მშობლიური ენა, გავუღვივოთ ინტერესი ლიტერატურისადმი, გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ინიციატორები. ჩვენ შევეცადეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სამყარო წარმოგვეჩინა მოსწავლეებისთვის საინტერესო კუთხით, მიგვეწოდებინა მათთვის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები, საინტერესო მასალა, რომელიც გაუზრდის ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს საგნისადმი; **განსაკუთრებულსა და დასამახსოვრებელს გახდის თითოეულ გაკვეთილს**. ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ფორმირებას.

ჩვენ ასევე კარგად გვესმის, რომ დღევანდელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება, იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოების შექმნასა და ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები შესანიშნავ საშუალებას იძლევა, პირველი კლასის მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნება თითოეული მიმართულებით; ყურადღება გაამახვილებინოს ტოლერანტობაზე, კაცთმოყვარეობაზე, საკუთარი მოვალეობების შეგნებასა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ჩვენ ასევე შევეცადეთ თქვენთვის საინტერესო და მრავალფეროვანი გზამკვლევი მოგვემზადებინა. დავიწყოთ მოსწავლის წიგნისა და რვეულის გაცნობით.

სახელმძღვანელო სამი ნაწილისაგან შედგება:

ვემზადები კითხვისთვის (წინასაანბანო პერიოდი)
მე ვსწავლობ კითხვას (საანბანო პერიოდი)
მე უკვე ვკითხულობ (ანბანის შემდგომი პერიოდი)

ვნახოთ, როგორ არის წარმოდგენილი თითოეული სტრუქტურული ერთეული **მოსწავლის წიგნსა და რვეულში.**

1. ვემზადები კითხვისთვის (წინასაანბანო პერიოდი)

ჩვენი რეკომენდაციით ამ პერიოდს დაახლოებით 2 თვე უნდა დაეთმოს. ამ დროის განმავლობაში ჩასატარებელი აქტივობების უდიდესი ნაწილი მოცემულია **მასწავლებლის წიგნში.** გზამკვლევს ასევე ახლავს წინასაანბანო პერიოდისთვის მნიშვნელოვანი **თვალსაჩინოების ბარათები** და **ილუსტრირებული საკითხავი წიგნები**.

მოსწავლის წიგნში კი არის ე.წ. უსიტყვო წიგნები. მხატვრული თუ შემეცნებითი ამბები, რომელთაც მასწავლებელი ამ კურსისთვის სპეციალურად მომზადებული დიდი წიგნებით უკითხავს, მოსწავლის წიგნში მხოლოდ ილუსტრაციებით ხვდება.

ამბის სათაურად ის სიტყვაა გამოტანილი, რომლის წაკითხვაც უკვე ისწავლეს. ე.ი. შეუძლიათ სათაურის ამოკითხვა.



მოსწავლეები ილუსტრაციების მიხედვით ჯერ ვარაუდებს გამოთქვამენ, რა ხდება ამ ამბავში.

ვემზადები კითხვისთვის (წინასაანბანო პერიოდი)

მოსწავლის რვეულში ამ დროს არის მოტორიკის სავარჯიშოები, თავსატეხები და მთელი სიტყვებით კითხვის სავარჯიშოები.

2. მე ვსწავლობ კითხვას (საანბანო პერიოდი)

საანბანო პერიოდში მოსწავლის წიგნში შემოდიან პერსონაჟები. ყოველი ახალი ასოს შემოსვლას ახალი ამბავი უკავშირდება, რომლებიც სპეციალურად ამ კურსისთვის დაიწერა. საანბანო პერიოდი სტანდარტის სამ თემას ფარავს: **სკოლა, ოჯახი, თანატოლები.** ამბებიც სწორედ ამ თემების ფარგლებში ვითარდება.



მოსწავლეები ილუსტრაციებისა და სათაურის მიხედვით ჯერ ვარაუდებს გამოთქვამენ, რა ხდება ამ ამბავში.

დავალებების სირთულე წიგნის დასაწყისსა და წიგნის ბოლოში.

მოსასმენი ტექსტი, დატანილია კოდის ქვეშ. ამ ტექსტის ნაწილი მოცემულია წასაკითხად. ტექსტები მოკლე და სახალისო ყოველდღიური ამბებია. ტექსტის ბოლოს კი ისმება შინაარსთან, პირად გამოცდილებასთან, ქცევის წესებსა თუ სტანდარტით გათვალისწინებულ სხვა საკითხთან დაკავშირებული ერთი კითხვა, რომელსაც მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ.
* მოსასმენი ტექსტები დანართის სახითაც ახლავს მასწავლებლის წიგნს.

მე ვსწავლობ კითხვას

შესაბამისი მასალა
მოსწავლის რვეულში



ნ

ნოდარი და ნინო

1 გაიხსენე, სად რა იყო სურათზე და ჩახატე შესაბამის ადგილას. მიუთითეთ:

– რა ესახატა ხავერდის უკან?

– რა ეკიდა კედელზე?

– ვინ აკლია სურათზე?

2 იპოვე ტექსტში და შემოხაზე ყველა ნ.

მაია, ნინო, და ნოდარი სამზარეულოში სხედან. საუზმობენ და თან საუბრობენ.

50

3 დაიკვირდი, როგორ იწერება ასო ნ და შემდეგ თავად დაწერე.

4 გამოიცანი და დაწერე გამოტოვებული მარცვალი. შემდეგ გადაწერე სიტყვა.

5 გადაწერე წინადადებები:

ნინო მაიას დედაა.

ნოდარი მაიას მამაა.

51

ჭ

1 დაიკვირდი, როგორ იწერება ასო ჭ და შემდეგ თავად დაწერე.

2 რას ამბობს დედა? გადმოიწერე ვერცელი ნაოქვამი.

94

3 წიგნიდან გადმოიწერე ლექსი.

4 ამ სიტყვებიდან შეადგინე სასალათო წინადადება.

- ჭიაყელა

3. მე უკვე ვკითხულობ (ანბანის შემდგომი პერიოდი)

ამ ნაწილში მოსწავლეებს მრავალფეროვანი საკითხავები და სავარჯიშოები ელით. ზღაპარი, მოთხრობა, ლექსი, შემეცნებითი ტექსტი, კომიქსი, სასაუბრო... ანბანის შედგომი პერიოდი მოიცავს სტანდარტის შემდეგ თემებს: ფასეულობები, ზრუნვა, თანაგრძნობა, სიკეთე და ბოროტება; ბუნება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა; თანატოლების ცხოვრება; სამშობლო.

ზოგიერთი ამბავი დაყოფილია ნაწილებად. განშლის ბოლოს სამწერტილი მიუთითებს, რომ ამბავი გრძელდება. მოსწავლეები ვარაუდებს გამოთქვამენ, როგორ გაგრძელდება ამბავი. ასეთ ტექსტებში ერთი განშლა განიხილება როგორც ერთი ტექსტი, რომელზეც მასწავლებელი შეხედულებისამებრ ერთი ან ორი გაკვეთილი მუშაობს.

ლექსიკონი და დავალებების ბლოკი

მე უკვე ვკითხულობ

შესაბამისი მასალა
მოსწავლის რვეულში



კომპლექსური დავალებები პირველ კლასში

წინასაანბანო, საანბანო და ანბანის შემდგომი პერიოდები სრულდება კომპლექსური დავალებებით. პირობები მოცემულია მასწავლებლის წიგნის მატრიცებში. მოსწავლის წიგნში კი აწყობილია ნიმუშები, რა უნდა გაკეთონ მოსწავლეებმა.

ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში) ისწავლება სავალდებულო კურსის სახით.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია საგნის გრძელვადიანი **მიზნები.**

სტანდარტის **შინაარსი** წარმოდგენილია ქვეცნებებისა და თემატური ჩარჩოს სახით, რომლებზე დაფუძნებითაც ჩამოყალიბდება კონკრეტული სასწავლო საკითხები.

სტანდარტს ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში ამა თუ იმ თემის შესწავლისას. ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

I-IV კლასების სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს. მაგ.,**ქართ. დაწყ.(I).1**

„ქართ.“– მიუთითებს საგანს „ქართულიენადალიტერატურა“;
„დაწყ.(I).”– მიუთითებს I-IVკლასების სტანდარტს;
„1“– მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ქართ.დაწყ.(I). 1	სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების მიზნით.	**ტექსტი** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
ქართ.დაწყ.(I). 2	გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	**სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I).4, 5, 6)
ქართ.დაწყ.(I).3	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტის (მაგ., პერსონაჟის ქცევის) შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით.	**გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I).5, 6)
ქართ.დაწყ.(I).4	სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის).	**წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)** (შედეგები: (I) 2, 4, 6)
ქართ.დაწყ.(I).5	ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას).	**დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის)** (შედეგები: (I). 2,4,6)
ქართ.დაწყ.(I).6	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება.	

თემატური ჩარჩო

სასწავლო თემები უნდა უკავშირდებოდეს შემდეგ თემატიკას:

- თანატოლების ცხოვრება, სურვილები, ოცნებები, ფანტაზიები;
- თამაში, გართობა, სპორტი, დღესასწაულები;
- ოჯახი/სახლი; ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის;
- სკოლა; სწავლა-აღზრდა;
- ფასეულობები (მაგ., ზრუნვა, თანაგანცდა, სიკეთე და ბოროტება);
- ბუნება, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა;
- სამშობლო, მშობლიური კულტურა; კულტურული მრავალფეროვნება (მაგ., დღესასწაულები).

საფეხურის საკვანძო შეკითხვები

საფეხურის საკვანძო შეკითხვების საშუალებით გამოიკვეთება აქცენტები, რომლებზე ორიენტირებითაც უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

- როგორ გავიგო ტექსტი? როგორ შევადგინო ტექსტი? **(სამიზნე ცნება – ტექსტი)**
- როგორ შევარჩიო სიტყვები და წინადადებები სათქმელის გამოსახატავად? როგორ გავიმდიდრო სიტყვების მარაგი **(სამიზნე ცნება -სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე))?**
- როგორ აღმოვაჩინო და გამოვიყენო გრამატიკის წესები **(სამიზნე ცნება – გრამატიკა (პრაქტიკული)?**

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

სამიზნე ცნებები	ქვეცნებები
ტექსტი	**ჟანრი** • *მხატვრული ჟანრები* (მაგ., ზღაპარი, მოთხრობა, იგავი, თქმულება, ლექსი, კომიქსი, ჩანახატი); • *არამხატვრული ჟანრები* (მაგ., საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, საინფორმაციო-ყოფითი ტექსტი, წერილი, რეკლამა, საინსტრუქციო ტექსტი, პოსტერი, დღიური, რეპორტაჟი, ინტერვიუ); • *მულტიმედიური ტექსტები* *(მაგ.,* საბავშვო ფილმი (მხატვრული, ანიმაციური), საბავშვო სპექტაკლი, სიმღერა). *სხვადასხვა ჟანრის ტექსტების:* **შინაარსობრივი მხარე** მაგალითად: • თემა; • მთავარი იდეა/დედააზრი; • მთავარი და არამთავარი ინფორმაცია; დეტალი (არსებითი/ მნიშვნელოვანი, არაარსებითი); • პირდაპირ მოცემული და ნაგულისხმევი ინფორმაცია • ძირითადი საკითხი/პრობლემა; • მხატვრული კონფლიქტი; • სიუჟეტის განვითარების საფეხურები (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); • ეპიზოდი; დიალოგი; • მოქმედების დრო და ადგილი; • პერსონაჟი – ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან; • ავტორი, მთხრობელი; • ხედვის კუთხე (ავტორის, პერსონაჟის).

	ენობრივი მხარე მაგალითად: • თემატური ლექსიკა; • მხატვრული ხერხები/ტროპები (მაგ., ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა); • წარმოებული სიტყვები (მაგ., მეპურე, ჯოხიანი); • რთული სიტყვები (მაგ., ხელჯოხიანი, თავქუდმოგლეჯილი, და-ძმა); • მარტივი ფრაზეოლოგიზმები; • სიტყვათა სემანტიკური კავშირები (სინონიმები, ანტონიმები, ლექსიკური ბუდეები). **სტრუქტურა/აგებულება** მაგალითად: • *ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები* – სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა. • *ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი (არავერბალური) ელემენტები* -ილუსტრაცია, სქემა, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები – დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, მუქი შრიფტი, ხაზგასმა; ხმის ტემბრი, დინამიკა (აწევ-დაწევა); ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა. **სტრატეგია (ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირებისთვის)** *მოსმენის სტრატეგიები* – მოსმენის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ) *კითხვის სტრატეგიები* – კითხვის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ); გაწაფული კითხვის სტრატეგიები; *ლექსიკის სწავლის სტრატეგიები*– სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით, სიტყვის აგებულებაზე დაკვირვება, ლექსიკონის გამოყენება, ლექსიკონის შედგენა, წინადადების შედგენა ახალი სიტყვ(ებ)ის გამოყენებით; *წერის სტრატეგიები*– წერის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, წერის შემდეგ).
სიტყვა, წინადადე-ბა, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)	**სამეტყველო ქმედებები და მათი სტრუქტურა/აგებულება** მაგალითად: • თხრობა – თხრობის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული); • აღწერა – აღწერის შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (ატრიბუტები/ნიშან-თვისებების კატეგორიები და მათი შესაბამისი მაგალითები); • შედარება – შედარების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფებული მსგავსება-განსხვავების გამომხატველი მაგალითები) • დასაბუთება – დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (მოსაზრება, ახსნა/არგუმენტი, გამამყარებელი მაგალით(ებ)ი). **სამეტყველო ქმედებათა განსახორციელებელი ენობრივი საშუალებები** მაგალითად: • დროითი მიმართებების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., ჯერ, უწინ, ადრე, შემდეგ, დასასრულ); • მდებარეობის/სივრცეში ლოკალიზების, ნიშან-თვისებების; ზომის, ფორმის, ფერის, გემოს, სუნის/სურნელის, ტექსტურის, ტემპერატურის, რაოდენობის, შემადგენლობის/მასალის; ფუნქცია-დანიშნულების, მსგავსება-განსხვავების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., შორის, მრგვალი, პრიალა, მჟავე; სხვანარი, მსგავსი; ისეთივე, როგორიც და მისთ.); • ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი საშუალებები (მაგ., იმიტომ, რომ, იმისთვის, რომ; რადგან). **ტექსტის ერთეულები** სიტყვა, წინადადება, სტრიქონი, აბზაცი, ტექსტი, სათაური. **საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლები** მაგალითად: • საკომუნიკაციო ამოცანა; კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი); კომუნიკაციისდრო, ადგილი. **სამეტყველო ეტიკეტი** • სასაუბრო ფორმები; • თავაზიანი მეტყველების ფორმები.

გრამატიკა (პრაქტიკული)	**გრამატიკის საკითხები** *ფუნქციურ კონტექსტებში წარმოჩენილი:* • სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება და ფორმაცვალება (ბრუნება, უღლება, რიცხვის წარმოება, ფუძე); • სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის წესები; • ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები; • სიტყვაწარმოება; • ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები; • სხვადასხვა შინაარსის/მოდალობის წინადადებები (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი, კითხვა-ძახილის) და მათი შესაბამისი სასვენი ნიშნები; • სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, მრავალწერტილი, ბრჭყალები, დეფისი, ტირე, ფრჩხილები; • სიტყვამონაცვლე კონტექსტებში ამოსავალი სიტყვის ჩანაცვლება ნაცვალსახელით, სინონიმური ლექსიკით; • ზმნისწინები და მათი მეშვეობით გამოხატული ძირითადი მნიშვნელობები; **მართლმეტყველება, მართლწერა** • მართლწერისა და კალიგრაფიის ელემენტარული ნორმები; • მართლმეტყველებისელემენტარული ნორმები; • სიტყვის გადატანის წესები.
წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის)	**სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი** • სიტყვის ხმოვანი ხატი, ზეპირი მარცვალი, ბგერა; • სიტყვის გრაფემული ხატი.
დეკოდირება-კოდირება (I კლასის საანბანო პერიოდისთვის)	**სიტყვის ხმოვანი და გრაფემული ხატი** • *დაწერილი სიტყვა (გრაფემული ხატი)* – ასო, მარცვალი; • *ხმოვანი და თანხმოვანიბგერები.*

შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები

სტანდარტის შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა;
- ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა;
- ნაცნობი ჟანრის მცირე ზომის ტექსტის (მაგ., წერილის) შექმნა ნასწავლი ლექსიკისა და ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით.

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)(შედეგები: (I).4, 5, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით;
- მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა; სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა.

გრამატიკა (პრატიკული) (შედეგები: (I).5, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება;
- გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას;
- სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება;
- მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა;

წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის) (შედეგები: (I) 2, 4, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ბგერების/მარცვლების ამოცნობა წარმოთქმულ სიტყვაში;
- ბგერების/მარცვლების რაოდენობის განსაზღვრაწარმოთქმულ სიტყვაში/მარცვალში;
- მიმართებების ამოცნობა სიტყვის ხმოვან და გრაფემულ ხატებს შორის.

დეკოდირება-კოდირება (I კლასის საანბანო პერიოდისთვის)
(შედეგები: (I). 2, 4, 6)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება;
- სიტყვების/წინადადებების წაკითხვა;
- ასოების, სიტყვების, წინადადებების დაწერა ბადიან რვეულში (კალიგრაფიის ელემენტარული ნორმების დაცვით).

1. ვემზადები კითხვისთვის (წინასაანბანო პერიოდი)

თემატური მატრიცა
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა ძირითადი რესურსი/ტექსტი/: „ყველა რომ ასე მოიქცეს“, სხვადასხვა ენაზე დაწერილი მისალმების ტექსტი, ჟოლო, კუ და კურდღელი, ბუტუსურები, მუდამ მწვანე ხეები, ცა, მზე და წვიმა, თხა და გიგო, სკა, დიდი მთა და პატარა მთა, ია, ჭია, ფერადი ქვები, მართა და სამი დათვი (ნაწყვეტი), ჯადოსნური ქვაბი, უცნაური ბუდეები, ილუსტრაციები, სიტყვების ბარათები. კლასი: I
თემა: ტყის ამბები
თემატური მატრიცის სარჩევი

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N1
სამიზნე ცნება წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასის წინასაანბანო პერიოდისთვის) (შედეგები: (I) 2, 4, 6) **ქვეცნება** სიტყვის ხმოვანი ხატი **ქვესაკითხი** სიტყვის ხმოვანი ხატი, ზეპირი მარცვალი, ბგერა; მიმართება ხმოვან ხატსა და გრაფემულ ხატს შორის.	საკითხი: ჩემი პირველი ხელნაკეთი – სიტყვებისა და ილუსტრაციების წიგნის შექმნა. ქვესაკითხები: სიტყვის ხმოვანი ხატი, ზეპირი მარცვალი, ბგერა; მიმართება ხმოვან ხატსა და გრაფემულ ხატს შორის. საკვანძო შეკითხვა: როგორ ამოვიცნო ნაცნობი სიტყვა? როგორ ამოვიცნო მარცვალი? ბგერა? **კომპლექსური დავალება** შენ უკვე იცი, რა არის სიტყვა, ზოგიერთ სიტყვას კი ამოიცნობ და სხვა სიტყვებში გამოარჩევ! მოდი, შექმენი ხელნაკეთი წიგნი, სადაც უკვე ნასწავლ სიტყვებს ჩააწებებ, ილუსტრაციასაც დაუხატავ. შემდეგ კი შენს მასწავლებელსა და კლასელებს გაუზიარებ. *(შესაძლოა მასწავლებელმა ნასწავლი სიტყვები ბარათებზე მარკერით დაწეროს ან ფორმატზე სხვა ჯერ უცნობ სიტყვებთან ერთად. ბავშვმა უნდა იპოვოს ნაცნობი სიტყვა, ამოჭრას და თავის წიგნში ჩააწებოს.)*
მკვიდრი წარმოდგენები: 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება მარცვლებისგან, მარცვლები – ბგერებისგან. 2. ბგერების ან მარცვლების რაოდენობა სიტყვაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. 3. წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები:** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> ხელნაკეთ წიგნში ერთნაირ ბგერაზე დაწყებული სიტყვები ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი, ხოლო სიტყვების მარცვლები გაფერადებულია სხვადასხვა ფერით: ერთმარცვალიანი წითლად, ორმარცვლიანი მწვანედ (წ.დ. 1, 2). ნამუშევრის გაზიარებისას წარმოთქვი ის სიტყვები, რომლებიც შენს ხელნაკეთ წიგნში ჩააწებე (წ.დ.3).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა
რესურსი 1. ბავშვების ნამუშევრები
რესურსი 1.

აქტივობა 1. ბავშვების მიერ შექმნილი ხელნაკეთი წიგნის ნიმუშებზე დაკვირვება
აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება
როგორ ფიქრობთ, რა წერია ამ წიგნებში? *(დააკვირდით ილუსტრაციას)*
როგორ ფიქრობთ, ვინ შექმნა ეს წიგნები?

- თქვენი სიტყვებით ახსენით, რას მოითხოვს დავალება;
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა
ნაბიჯი 1. ხელნაკეთ წიგნში ერთნაირ ბგერაზე დაწყებული სიტყვები ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი, ხოლო სიტყვების მარცვლები გაფერადებულია სხვადასხვა ფერით, პირველი მარცვალი – წითლად, მეორე – მწვანედ და ა.შ. *(წ.დ. 1, 2)*

გაცნობა/კლასის წესები

აქტივობა 1
გაცნობა

თემის გახსნა „აბლაბუდა“

აქტივობის მიზანია ერთმანეთის გაცნობა, გუნდური უნარების გამომუშავება.
მოსწავლეები და მასწავლებელი დგანან ან სხედან წრეში. აქტივობას იწყებს ერთ-ერთი მოსწავლე, რომელიც იჭერს ძაფის გორგლის ერთ ბოლოს, ამბობს თავის სახელს, რა უყვარს *(მე ვარ მარი, მე მიყვარს ხატვა)* და ძაფის გორგალს მიაწოდებს/გაუგორებს მეორე მოსწავლეს, რომელიც ამბობს თავის სახელს და რა უყვარს. ძაფის გორგალს თანდათან გაშლიან მოსწავლეები და გააბამენ ქსელს. ბოლოს ძაფის გორგალი მასწავლებელს შეხვდება, რომელიც დაიწყებს აბლაბუდის დაშლას, ძაფის ამოხვევას. ვისთანაც მივა მასწავლებელი, მოსწავლეები იხსენებენ იმ მოსწავლის სახელს და იმას, თუ რა უყვარს.

აქტივობა 2
სიმღერა

მასწავლებელი წრეზე სვამს მოსწავლეებს. მასწავლებელი იწყებს და მოსწავლეები აგრძელებენ. მასწავლებელი ამბობს: „მითხარი შენი სახელი“. ჯერ თავად მარცვლავს თავის სახელს, შემდეგ მოსწავლე მარცვლავს თავის სახელს *(ნი-ნი)*, შემდეგ ყველა ერთად იმეორებს *(ნი-ნი)*.

სიმღერის ტექსტი

– მითხარ შენი სახელი!
– ნი-ნი, ნი-ნი
– მითხარ შენი სახელი!
– და-რი-ნა, და-რი-ნა...
ეს ჩვენ ვართ!

ამის შემდეგ მოსწავლეები ფურცელზე, ჩარჩოში ხატავენ საკუთარ თავს. წარადგენენ, თან საუბრობენ, ვინ არიან და რა უყვართ. ბოლოს კი აწყობენ კლასის პლაკატს *(მე და ჩემი კლასელები)*.

აქტივობა 3
„თქვი, ვინ ვარ“

თამაში წრეზე: პირველი მოსწავლე ამბობს სახელს, მეორე მოსწავლე ჯერ პირველის სახელს, შემდეგ თავის სახელს, მესამე მოსწავლე მარჯვნივ მჯდომის სახელს, შემდეგ თავის სახელს და ა.შ. მაგ.: მარი, მარი-ნინი, ნინი-ელისაბედი, ელისაბედი-გიო. თან ერთმანეთს უგორებენ ბურთს *(ასე გადაადგილდება ბურთი წრეზე)*. ამის შემდეგ მასწავლებელი მარცვლავს მოსწავლეების სახელებს. მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, ვისი სახელია *(მა-რი, სან-დრო, მა-რი-ა-მი)*.

აქტივობა 4
გავეცნოთ სკოლის წესებს

ერთმანეთის გაცნობის შემდეგ მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოს გაცნობა და კლასში მოქცევის წესებზე შეთანხმება. მასწავლებელი მოსწავლეებს სხვადასხვა სიტუაციას უყვება.

I სიტუაცია – სანდრო დილით ადრე ადგა. მოუთმენლად ელოდა ამ დღეს. დედის შეხსენებას არც კი დალოდებია, ისე დაიბანა პირი, ჩაალაგა ნივთები, ჩანთა აიღო და დედასთან ერთად სკოლის გზას გაუყვა. კლასში რომ შევიდა, მისი კლასელები უკვე ისხდნენ. მასწავლებელი იღიმოდა და გაკვეთილის დასაწყებად ემზადებოდა. სანდროს არაფერი უთქვამს, ჩუმად დაჯდა ერთ-ერთ მაგიდასთან. რა დაავიწყდა მარიამს?

II სიტუაცია – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:
– წარმოიდგინე, რომ შენც მიხვედი სკოლაში. ბავშვები გაკვეთილისთვის ემზადებიან. მასწავლებელი ღიმილით გხვდება. როგორ მოიქცევი?
თუ მოსწავლეებს პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, მასწავლებელი ეხმარება მათ.
– რას ვამბობთ შეხვედრისას? რას ვამბობთ, როცა საკლასო ოთახში შევდივართ?
შეიძლება მასწავლებელმა შესთავაზოს ვარიანტები:
გამარჯობა, დილა მშვიდობისა.
სასურველია, მსგავსი სიტუაცია კლასში გათამაშდეს.

III სიტუაცია – წარმოიდგინეთ, რომ მასწავლებელმა შეკითხვა დასვა. კლასში ყველას სურს პასუხის გაცემა. ყველამ ცალ-ცალკე წამოიძახა პასუხი. ვერავინ ვერაფერი გაიგო.
თქვენ როგორ მოიქცეოდით?
თუ მოსწავლეები ვერ მიხვდებიან, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შეთანხმებას, საუბრის დაწყებამდე ხელის აწევით ვანიშნოთ მასწავლებელს და ვითხოვოთ ნებართვა.

IV სიტუაცია – მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, ერთად შეთანხმდნენ და მოიფიქრონ ის წესები/შეთანხმებები, რომლებიც მნიშვნელოვანია სკოლაში ყოფნისას.

1. შეხვედრისას ერთმანეთს ვესალმებით.
2. საუბრის დაწყებამდე ხელს ვიწევთ და ვითხოვთ ნებართვას.
3. ერთმანეთს ვექცევით თავაზიანად.
4. ვაწესრიგებთ ნივთებს.
5. დამშვიდობებისას ერთმანეთს ვემშვიდობებით.

აქტივობა 5
ტყუილი თუ მართალი

აქტივობის მიზანია, მასწავლებელმა გაახსენოს მოსწავლეებს კლასში მოქცევის წესები და შეთანხმებები. მასწავლებელი ამბობს ფრაზას, მოსწავლეები პასუხობენ, ტყუილია თუ მართალი:

1. შეხვედრისას ერთმანეთს ვესალმებით, ტყუილი თუ მართალი?
2. კლასში შესვლისას ერთმანეთს ვეჩხუბებით, ტყუილი თუ მართალი?
3. მასწავლებლის შეკითხვაზე მაშინვე წამოვიძახებთ პასუხს, ტყუილი თუ მართალი?
4. შეკითხვაზე ვპასუხობთ რიგრიგობით, ტყუილი თუ მართალი?
5. საუბრის დაწყებამდე დავხტივართ ასკინკილით, ტყუილი თუ მართალი?
6. საუბრის დაწყებამდე ხელს ვიწევთ და ველოდებით ჩვენს რიგს, ტყუილი თუ მართალი?
7. გაკვეთილზე ყოველთვის ვაგვიანებთ, ტყუილი თუ მართალი?
8. საჭმლის ნარჩენებს და ქაღალდებს იატაკზე ვყრით, ტყუილი თუ მართალი?
9. დამშვიდობებისას ერთმანეთს ვესალმებით, ტყუილი თუ მართალი?

აქტივობა 6

მასწავლებელი უკითხავს ლექსს მოსწავლეებს, მოსწავლეებს შეუძლიათ გაითამაშონ ეპიზოდი, ასევე, დახატონ პერსონაჟი, ეპიზოდი ლექსის მიხედვით:

> დათვის ბელი სად მიდის
> ამოდენა ჩანთით?
> – სად მიდის და სკოლაში.
> – თან რა მიაქვს?
> – თაფლი!
> – კიდევ?
> – ბლომად მოცხარი,
> ამდენივე პანტა,
> წიგნებისთვის ჩანთაში
> ადგილი არ დარჩა.
> თანაც ისე ზოზინით
> მიუყვება ბილიკს,
> სადაცაა გამოვა
> ბოლო გაკვეთილიც.

აქტივობა 7

„მოვუსმინოთ სკოლის ხმებს“

დავალება რვეულში

გააფერადე საკლასო ოთახი.

(მოსმენაზე ორიენტირებული აქტივობები/ფონოლოგიური უნარები/ემოციები)

აქტივობა მოსმენის უნარის, მეხსიერებისა და ყურადღების განვითარებისათვის

საჭირო რესურსი: საგნები და მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულ და საინტერესო ხმებს გამოსცემენ, როგორებიცაა:

ტაში, კაკუნი, ქროლა, სტვენა, ჩახველება, ქაღალდის გახევა, დავარდნა *(სხვადასხვა საგნის)*, ხტუნვა, ფანჯრის გაღება, ზარის დარეკვა, ფანქრის გათლა, წიგნის დახურვა, სიარული, ხტუნვა და ა.შ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დახუჭონ თვალები/აიფარონ თვალზე ხელი. მასწავლებელი გამოსცემს რომელიმე ნაცნობ ხმას *(კარის დახურვა)*, მოსწავლეებს სთხოვს, გამოიცნონ, რისი ხმაა. შეუძლია გაართულოს და თანმიმდევრობით გამოსცეს ორი/სამი ხმა *(სიარული, პიანინოზე დაკვრა, დაცემინება)* და მოსწავლეებს სთხოვოს, გამოიცნონ ხმათა თანმიმდევრობა.

ბასტი ბუბუ, „სამი ჯადოსნური სიტყვა“ – https://bit.ly/3Y5japn

აქტივობა 8

მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ტექსტს: „ყველა რომ ასე მოიქცეს“ *(იხ. დანართი)* შიგადაშიგ ჩერდება, სვამს შეკითხვებს, ბავშვები აკეთებენ კომენტარებს, გამოთქვამენ ვარაუდებს.

ამის შემდეგ უსმენენ სიმღერას:

აქტივობა 9

მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს ილუსტრაციებს და უსვამს კითხვებს ილუსტრაციების ირგვლივ. შემდეგ უკითხავს ტექსტს. შეკითხვების საშუალებით მასწავლებელი მოსწავლეებს მიახვედრებს, რომ ამბავი შეიძლება გადმოსცე როგორც ილუსტრაციით, ისე ნაწერით. ნაწერით გადმოცემული ტექსტით უფრო მეტ ზუსტ ინფორმაციას იგებ *(მაგ.: პერსონაჟის სახელს, რა მოხდა სინამდვილეში და ა. შ)*

მიზანი: მოსწავლეებმა გაიხსენონ მოსმენილი ამბავი და ამბის თანმიმდევრობა გადმოსცენ ილუსტრაციების საშუალებით.

დავალება რვეულში

დაალაგე ამბავი თანმიმდევრობით. გაიხსენე, რა რის შემდეგ მოხდა (ჟოლოს ამბავი).

აქტივობა 10

ქართული და არაქართული

ა. როგორ ესალმებიან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები.

მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს კლასის პირველ წესს (რას ვაკეთებთ ერთმანეთთან შეხვედრისას დილით? რას ვამბობთ, როგორ ვესალმებით? მოსწავლეები გაიხსენებენ სხვადასხვანაირ მისალმებას). მასწავლებელი გაათამაშებინებს მოსწავლეებს შეხვედრისა და მისალმების სიტუაციას.

მოსწავლეთა პასუხის მოსმენის შემდეგ სვამს კითხვას: ყველა ქვეყანაში ესალმებიან ერთმანეთს? ხომ არ იცით, როგორ? აჩვენებს ვიდეოს, სადაც სხვადასხვა ენაზე ესალმებიან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნაში მცხოვრები სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები.

Hello Around the World | Say Hello in 15 Different Languages | Explore World Song | JunyTony
https://youtu.be/472AnCrHYVs

ბ. როგორია სხვადასხვა ენაზე დაწერილი ტექსტი *(მისალმება)*. მასწავლებელი გააკრავს დაფაზე სხვადასხვა ენაზე დაწერილ ტექსტს (მისალმებას):

ამოაცნობინებს მოსწავლეებს ქართულ ნაწერს, აჩვენებს, რა მიმართულებით იკითხება *(მარცხნიდან მარჯვნივ აყოლებს სტრიქონს საჩვენებელს)*, აჩვენებს არაბულ, ინგლისურ ენაზე დაწერილ მისალმებას და უხსნის, რა მიმართულებით იკითხება ნაწერი.

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს სხვადასხვა ენაზე დაწერილ ტექსტში ქართულის ამოცნობაზე.

გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და წერენ, ქართულად ვწერთ და ვკითხულობთ მარცხნიდან მარჯვნივ.

გამარჯობა, ვართმევთ ხელს
https://bit.ly/41APyTv

მივესალმოთ უნდა ყველას
https://bit.ly/3xXAulz

გ. სიმღერები მისალმებაზე

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს სიმღერას *(შეუძლია შეარჩიოს სურვილის მიხედვით)*. სიმღერის მოსმენის მნიშვნელობა წინასაანბანო პერიოდში *(იხ. დანართი ფონოლოგიური უნარების განვითარება)*.

დავალება რვეულში

იპოვე და გააფერადე ქართული (სიტყვა) რვეულში წერია სხვადასხვა ენაზე დაწერილი სიტყვა („სკოლა“ გასაფერადებელი ასოებით). სხვადასხვანაირად (ზოგი დახრილი, ზევით-ქვევით, გვერდიგვერდ არა). ქართული, ინგლისური, ჩინური, არაბული, ბერძნული... მოსწავლეები ამოიცნობენ და აფერადებენ ქართულ სიტყვას.

მოტორიკის სავარჯიშო

შემოხაზე წყვეტილი ხაზები ღრუბელზე და გააფერადე. უნდა ეხატოს გასაფერადებელი ილუსტრაცია.

აქტივობა 11
სტრიქონი

სტრიქონთან ერთად „ტყის ამბები“ შემოდის ტექსტით „ჟოლო“, თითქოს ერთგვარი ქუდია სხვა ამბებისთვის, ბებო ბავშვებს დიდ წიგნს უკითხავს და ამ წიგნში წერია ყველა ის ჯადოსნური ამბავი, რომლებსაც ბავშვები შემდგომ გაეცნობიან.

ჟოლო
ზაფხულია. ნიკა და მაია ბებოსთან და პაპასთან არიან.
ბებოს და პაპას სახლი ტყის პირას დგას. ნიკა და მაია ჟოლოს საკრეფად მიდიან.
ტყეში სუფთა ჰაერია. ჩიტები ჭიკჭიკებენ.

ნიკა და მაია ჟოლოს კრეფენ. თან ჭამენ. ნიკას სახე მოეთხუპნა. მაია იცინის.
უცებ ბუჩქებიდან კურდღელმა ისკუპა. ბავშვებს მგელი ეგონათ და ძალიან შეეშინდათ.
შეშინებულმა კურდღელმაც ტყისკენ მოკურცხლა. ვინ მიასწრებს შინ მისვლას?

საღამოა. ნიკა, მაია და ბებო ჰამაკში სხედან. ბებო დიდ წიგნს უკითხავს ბავშვებს.
ნიკა და მაია ტყის ამბებს ისმენენ.

ილუსტრაციები და ტექსტი *(იხ. დანართი)*

ნაწერისა და ნახატის საშუალებით ბავშვები მოისმენენ ამბავს. მასწავლებელი ჯერ აჩვენებს ილუსტრაციას, შემდეგ უკითხავს ნაწერს, აყოლებს საჩვენებელს მარცხნიდან მარჯვნივ და აჩვენებს მოსწავლეებს, რომ ეს არის სტრიქონი, სტრიქონი სიტყვებისგან შედგება. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ითვლიან სტრიქონებს (პირველი სტრიქონი, მეორე სტრიქონი, მესამე სტრიქონი... სულ რამდენი სტრიქონია? რომელია ყველაზე გრძელი სტრიქონი? მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ყველაზე გრძელი და მოკლე სტრიქონები. სტრიქონს მარცხნიდან მარჯვნივ ვკითხულობთ. სტრიქონი შედგება სიტყვებისგან. დავითვალოთ სიტყვები სტრიქონში. მასწავლებელი სტრიქონებში შემოახაზვინებს სიტყვებს და აღმოაჩენინებს ყველაზე მოკლე და გრძელ სიტყვებს. უხსნის, რომ სიტყვები ასოებისგან შედგება, ყველაზე მოკლე სიტყვაში ორი ასოა.
ასევე მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გამოთქვან ვარაუდები: რა ამბები ეწერება ბებოს დიდ წიგნში? მოუნდებათ თუ არა მათი მოსმენა? რას ნიშნავს „ტყის ამბები“? რა თემაზე იქნება, მათი აზრით?

მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ მოვთხოვოთ ტექსტის ამოკითხვა, არამედ მხოლოდ ვიზუალური აღქმით შემოვიფარგლოთ.

დავალება რვეულში

1. შემოხაზე პირველი და ბოლო სტრიქონი.
2. შემოხაზე პირველი სიტყვა.
3. შემოხაზე და გააფერადე ყველაზე მოკლე სიტყვა.

ბ. ფონოლოგიური სავარჯიშოები

1. დაითვალე სიტყვები.
   მასწავლებელი მკაფიოდ ამბობს ორსიტყვიან წინადადებას *(ჩიტები ჭიკჭიკებენ)*, მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რამდენი სიტყვა თქვა მასწავლებელმა. შემდეგ სამსიტყვიან წინადადებას ამბობს *(ტყეში სუფთა ჰაერია)*.
2. წინადადებაში პირველი სიტყვის გამორჩევა *(მასწავლებელი მოსწავლეებს მარტივ წინადადებას ეუბნება გარკვევით. მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რომელია პირველი სიტყვა)*.
3. წინადადებაში მეორე სიტყვის გამორჩევა *(მასწავლებელი მოსწავლეებს მარტივ წინადადებას ეუბნება გარკვევით. მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რომელია მეორე სიტყვა)*.
4. წინადადებაში ბოლო სიტყვის გამორჩევა *(მასწავლებელი მოსწავლეებს მარტივ წინადადებას ეუბნება გარკვევით. მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რომელია ბოლო სიტყვა)*.

აქტივობა 12

მასწავლებელი უკითხავს ლექსს:

> გიორგი და მაია
> მეგობრები არიან,
> განა მარტო თამაში,
> სწავლაც უყვართ ძალიან.

იდუმალი სიტყვა

გამოიცანი სიტყვა *(მასწავლებელი ახასიათებს საგანს და მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რა ჩაიფიქრა, შესაძლოა მეგობრობის თემაზეც იყოს)*.

გეზისმიმცემი შეკითხვები:

– როგორ მოგეწონა სკოლაში პირველი დღე?
– როგორ ფიქრობ, მოახერხე კლასელების გაცნობა?
– რა დაგამახსოვრდა?
– რა უამბე მშობელს სკოლიდან დაბრუნების შემდეგ?
– რაში გვჭირდება წესები?
– რა მოხდება, თუ წესებს არ დავიცავთ?
– რას ვამბობთ, როდესაც კლასში შემოვდივართ?
– როგორ გავარჩევთ ტექსტში სტრიქონს? სიტყვას?
– როგორია ჩემი მეგობარი? რა დამეხმარა მის დასახატად?
– რა არის ილუსტრაცია? როგორ განვასხვავო ტექსტისგან?
– როგორ გავარჩიო სტრიქონი?
– როგორ გამოვთქვა ვარაუდი?

რესურსი: მოსწავლის რვეული, ილუსტრაციები, დიდი წიგნები, მისალმებები

დავალება რვეულში

1. შემოხაზე პირველი და ბოლო სტრიქონი.
   რვეულში ოთხი სტრიქონია მოცემული.
   ბავშვები ჟოლოს საკრეფად წავიდნენ.
   უცებ ბუჩქებიდან კურდღელმა ისკუპა.
   ნიკას და მაიას მგელი ეგონათ და ძალიან შეეშინდათ.

2. **შემოხაზე პირველი სიტყვა.**
   ტყეში სუფთა ჰაერია.

3. **შემოხაზე და გააფერადე ყველაზე მოკლე სიტყვა.**
   ნიკა და მაია ტყის ამბებს ისმენენ.

აქტივობა 1
ნახატი კუ, ნაწერი კუ

ახალი სიტყვის შემოტანა
მასწავლებელი დაფაზე ამაგრებს ბარათს, რომელზეც კუ ხატია და ეკითხება მოსწავლეებს:
– რა ხატია აქ? (კუ)
ამის შემდეგ დაფაზე ამაგრებს ბარათს, რომელზეც წერია სიტყვა „კუ“ და ეკითხება კლასს:
– რა წერია აქ?

1. სიტყვის მოძებნა ბარათებში
მასწავლებელი დაფაზე გააკრავს ნახატს (ხე), იქვე გააკრავს რამდენიმე ერთმარცვლიან სიტყვას. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ სიტყვა „ხე“.

ნახატისა და ნაწერის დაკავშირება შეიძლება სხვადასხვა აქტივობით:

- **ნაწერისა და ნახატის დაკავშირება** – მასწავლებელი იატაკზე დაყრის ერთ მხარეს ნახატებს, მეორე მხარეს ნაწერს. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს წყვილი (ნაწერი და ნახატი და გააკრას დაფაზე. მაგ.: ხე ნახატი, ხე ნაწერი).
- **ნახატის არჩევა** – მოსწავლე იღებს ერთ ნაწერს და ნახატებიდან არჩევს შესაბამის ნახატს.
- **ნაწერის არჩევა** – მოსწავლე გადმობრუნებული ბარათებიდან ირჩევს ერთ ნაწერს შემთხვევითობის პრინციპით და აკრავს დაფაზე შესაბამის ნახატთან.
- **დასახელებული სიტყვის მიხედვით ნახატისა და ნაწერის არჩევა** – მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, მოსწავლე პოულობს ნახატსა და ნაწერს.
- **სიტყვის ბარათები** – მოსწავლეებს მაგიდაზე უდევთ სიტყვის ბარათები, მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, მოსწავლემ უნდა მოძებნოს შესაბამისი ნაწერი/ან აჩვენებს ნაწერს, მოსწავლემ უნდა იპოვოს და აჩვენოს შესაბამისი ნახატი (5-6 ბარათი).
- **დამალული სიტყვები** – მასწავლებელი დამალავს სიტყვებს, მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რაც შეიძლება, მეტი სიტყვა (მაგ. ხე).
- **მასწავლებელი დამალავს ნახატებს და ნაწერებს** – მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რაც შეიძლება, მეტი ნაწერი და ნახატი, შეაგროვონ და დააწყვილონ.
- **სიტყვების გამომძიებლობანა** – მასწავლებელი სხვადასხვა ნაწერ ტექსტს აკრავს ოთახში სხვადასხვა ადგილას (მარტივი, ორსიტყვიანი წინადადებები, სიტყვები), მოსწავლეები დადიან გამადიდებელი შუშებით ან სათამაშო გამადიდებლებით და ეძებენ ახლადშესწავლილ სიტყვას. თუ იპოვიან, მონიშნავენ ფანქრით (დაახატავენ წრეს, ყვავილს...) ბოლოს დაითვლიან, რამდენი სიტყვა იპოვეს.
- **სიტყვის არქეოლოგი** – მასწავლებელი მაგიდაზე შემოდგამს ქვიშით სავსე ქოთანს. მოსწავლეები ნიჩბებით თხრიან ჩამალულ ბარათებს და აღმოაჩენენ ნაწერ სიტყვებსა და ნახატებს. შეაგროვებენ ყველა აღმოჩენილ სიტყვასა და ნახატს და აწყვილებენ.
- **სიტყვების მოსავალი** – მცენარეზე (ეზოში ბუჩქებზე ან ოთახში ოთახის მცენარეზე) მასწავლებელი წინასწარ შეაბამს სიტყვებსა და ნახატებს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ და „დაკრიფონ“ სიტყვები და ნახატები და დააწყვილონ. ეს აქტივობა, სასურველია, ჩატარდეს ეზოში.
- **სიტყვის ამორჩევა** – მოსწავლეს უდევს სიტყვის ბარათები. მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, მოსწავლე არჩევს სიტყვას და ასწევს შესაბამის ბარათს.

- **გამოძერწვა** – მასწავლებელი აჩვენებს სიტყვას, მოსწავლემ უნდა დახატოს, გამოძერწოს, გააფერადოს შესაბამისი ფიგურა.
- **სიტყვის გაფერადება** – მასწავლებელი აჩვენებს ილუსტრაციას, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს და გააფერადოს შესაბამისი სიტყვა.
- **სიტყვების შემოხაზვა** – მოსწავლეს მაგიდაზე უდევს ფურცელზე დაწერილი სიტყვები. მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, მოსწავლემ უნდა შემოხაზოს (ყველა ხე წითლად, ყველა მზე ყვითლად, ყველა ცა ცისფრად და ა.შ.).

კუ და კურდღელი (იხ. დანართი)

იყო ერთი ტრაბახა კურდღელი და ძალიან დინჯი კუ.
ერთხელ კუ და კურდღელი წაკინკლავდნენ.
– მე სწრაფი კურდღელი ვარ! – თქვა კურდღელმა.
– მე უფრო სწრაფი კუ ვარ! – თქვა კუმ.
– მოდი, შევეჯიბროთ!
ტყეში ყველას აინტერესებდა, ვინ მოიგებდა – კუ თუ კურდღელი?
კურდღელი გზას დაადგა. კუც დაიძრა.
კუ არ ჩერდება.
– ეს კუ ისე ნელა დადის, მაინც ვაჯობებ. მოდი, ცოტას წავუძინებ, – თქვა კურდღელმა და ხის ძირას მიიძინა.
– ვაი, კუ უკვე ფინიშთანაა.
– მოდი, მეგობარო, – უთხრა კურდღელს კუმ და დაელოდა.
კუ და კურდღელი ერთად მივიდნენ ფინიშთან.

ტექსტს ამუშავებენ **დიდი წიგნის მეთოდით**.

ასევე რეკომენდებულია **დრამის მეთოდის** გამოყენება ან გაყინული ეპიზოდი – მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ეპიზოდს. რამდენიმე მოსწავლემ უნდა განასახიეროს, გაუნძრევლად გამოსახოს ეს ეპიზოდი. დანარჩენებმა გამოიცნონ, რომელი ეპიზოდი განასახიერეს ბავშვებმა.

ისევ დრამის გამოყენება – მასწავლებელი კითხულობს ლექსს და განასახიერებს სტროფებს. მოსწავლეები იმეორებენ ტექსტსა და მოქმედებებს.

პატარა და დიდი კუ
სასეირნოდ მიდიან.
მერე რა, რომ წვიმაა,
სახლი ზურგზე ჰკიდიათ.

დავალება რვეულში

1. დააკავშირე ნაწერი და ნახატი.
2. შემოხაზე ყველა სიტყვა „კუ", შემდეგ დაითვალე, რამდენია.
3. გააფერადე სიტყვა „კუ" მითითებული ფერებით და მიიყვანე კუ ფინიშთან.
4. დაალაგე „კუს" ამბავი თანმიმდევრობით (შესაბამისი ილუსტრაციები ამოჭერი რვეულის დანართიდან).

ფონოლოგიური სავარჯიშო

- **იპოვე მითითებული სიტყვა** (მასწავლებელი ასახელებს სხვადასხვა სიტყვას. მოსწავლე უკრავს ერთ ტაშს, თუ ესმის სიტყვა „ხე", ორ ტაშს – თუ ესმის სიტყვა „კუ". მასწავლებელი თანდათან ართულებს დავალებას, ასახელებს სიტყვებს, რომლებშიც ისმის მარცვალი კუ *(კუდი, კურდღელი, ბაკუნი, კაკუნი, კურკა, კუნწულა, კუდიანი, კუდრაჭა და ა. შ)*. მასწავლებელი სხვა სიტყვებთან ერთად მითითებულ სიტყვებსაც ასახელებს, მოსწავლეები უკრავენ ტაშს, როცა ესმით მარცვალი „კუ".
- **მარცვლის იდენტიფიცირება** *(რომელია პირველი მარცვალი სიტყვაში კუდი, კოდალა, კარადა, კურკა, კუნწულა...)*
- **გრძელი სიტყვები** – მოსწავლეები აორმაგებენ სიტყვის პირველ/ბოლო მარცვალს კუკუ კუკუდი, კუკუნწულა, კუკურდღელი, კუკურკა, ხეხელი, ბუბურთი, კოკოდალა, მაგიდადა, კარადადა

სარეკომენდაციო ლექსი:

პაპას ეჩურჩულება
შვილიშვილი სტაფილო:
– იცი, როგორ მიყვარხარ,
ჩემო ტკბილო პაპილო?
ვერავინ დაგვაშორებს,
ისე ჩაგეხუტები.
ერთად მოვიგერიოთ
აბეზარი კურდღლები.

ბავშვები ხატავენ ლექსის ილუსტრაციას.

აქტივობა 2

ნახატი ბუ, ნაწერი ბუ

1. ბარათებით ახალი სიტყვის შემოტანა და ლექსში ახალი სიტყვის პოვნა *(იხ. დანართი)*

სარეკომენდაციო ლექსი:

ეძინება ბუკნაჭოს
უკვე თვალებს ხუჭავსო.
დააფარეთ საბანი,
ცალი თვალი უჩანსო.

ფონოლოგიური სავარჯიშო

საიდუმლო სიტყვები – მარცვლის დამატება – მოსწავლეები მიცემულ სიტყვებს ამატებენ ერთსა და იმავე მარცვალს მაგ.: კი – კიბეკი, დედაკი, მამაკი, მზეკი, კიკი და ა.შ. საკუთარ სახელებზეც შეიძლება გაითამაშონ.

დავალება რვეულში

გააფერადე ყველა ნივთი, რომელზეც წერია სიტყვა „ბუ".

აქტივობა 3
ნახატი ხე, ნაწერი ხე

ახალი სიტყვის შემოტანა
მასწავლებელი დაფაზე ამაგრებს ბარათს, რომელზეც ხე ხატია და ეკითხება მოსწავლეებს:
– რა ხატია აქ? (ხე)
ამის შემდეგ დაფაზე ამაგრებს ბარათს, რომელზეც წერია სიტყვა „ხე" და ეკითხება კლასს:
– რა წერია აქ?

სიტყვის მოძებნა ბარათებში
მასწავლებელი დაფაზე გააკრავს ნახატს (ხე), იქვე გააკრავს რამდენიმე ერთმარცვლიან სიტყვას. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ სიტყვა „ხე".

სარეკომენდაციო აქტივობები:
1. სიტყვისა და ნახატის ბარათები
2. დამალული სიტყვები
3. სიტყვების გამომძიებელი (ოთახში მიმოფანტული სიტყვები)
4. სიტყვის არქეოლოგი (ქვიშაში ჩაფლული სიტყვები)
5. სიტყვების მოსავალი (ხის ტოტზე ასხმული სიტყვები უნდა დაკრიფონ და დააჯგუფონ.)

ტექსტში სიტყვის პოვნა
მასწავლებელი დაფაზე გააკრავს/აჩვენებს ელექტრონულ დაფაზე დიდი ასოებით დაწერილ ტექსტს. კითხულობს ხმამაღლა და ყოვნდება სიტყვასთან „ხე", რათა მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციონ და ამოიცნონ ახალი სიტყვა.
მასწავლებელი მოსწავლეს მიმართავს:
– დაითვალე, რამდენი სტრიქონია, გააყოლე სტრიქონს მარკერი.
– დაითვალე, რამდენი სიტყვაა პირველ/მეორე/მესამე/ბოლო სტრიქონში.
– შემოხაზე მწვანე მარკერით სიტყვა „ხე".

„ხე გადახვევს ხეს ხელს,
გაახარებს ხე ხეს:
მუხა – თელას, თელა – მუხას
ხე გადახვევს ხეს ხელს".

დრამის მეთოდის გამოყენება – მასწავლებელი მოქმედებებით განასახიერებს სათითაო სტრიქონს. მოსწავლეები იმავე მოქმედებებით იმეორებენ ტექსტს.

დავალება რვეულში

ვაშლის ხეზე გააფერადე ფოთლები. სიტყვა „ხე" გააფერადე მწვანედ, სიტყვა „ბუ" – ყვითლად.

კითხვის საათი

მასწავლებელი დიდი წიგნის კითხვის მეთოდის გამოყენებით უკითხავს ტექსტს (მუდამ მწვანე ხეები. იხ. დანართი) პაუზებით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს ტექსტის ირგვლივ, დახატავენ და გამოჭრიან პერსონაჟებს და განასახიერებენ კონკრეტულ ეპიზოდებს, ხატავენ ეპიზოდის ილუსტრაციას.
ეძებენ ტექსტში სიტყვას (ხე), დააკრავენ ბარათებს/შემოხაზავენ ყველა სიტყვას (ხე) და დაითვლიან.

აქტივობა 4
ნახატი ცა, ნაწერი ცა

1. სიტყვის ბარათების გამოყენება

2. ტექსტში სიტყვის ამოცნობა

ცა ლურჯია. ცაზე მზეა. როცა ცუდი ამინდია, ცა ღრუბლებით იფარება. დღეს უღრუბლო ცაა. გვიხარია მაღლა ცა, დაბლა ტყე.
ღამის ცა ვარსკვლავებით არის სავსე. მთვარემ ცა გაანათა.
ცას ვარსკვლავი მოწყდა, სურვილი ჩაიფიქრე.

სარეკომენდაციო აქტივობა: დახატე, შენ რა სურვილს ჩაიფიქრებდი...
მოსწავლეები ითვლიან სტრიქონებს. სტრიქონებში სიტყვების რაოდენობას.
შემოხაზავენ სიტყვას „ცა" ცისფრად, დაითვლიან რამდენია ეს სიტყვა,
მასწავლებელი ეკითხება:
– რომელია ყველაზე მოკლე სტრიქონი?
– რომელია ყველაზე გრძელი სტრიქონი?
– რომელია პირველ სტრიქონში მეორე სიტყვა?
– რომელია ბოლო სტრიქონში ბოლო სიტყვა?
– რომელია მეორე სტრიქონში ყველაზე გრძელი სიტყვა?

ფონეტიკა

ილუსტრაციები – ამოარჩიე ისეთი ბარათები, რომლებიც ერთსა და იმავე მარცვალზე იწყება. მასწავლებელი დაფაზე აკრავს ბარათებს (რომლებზეც მარკერით მკაფიოდ აწერია შემდეგი სიტყვები: ცა, ცარცი, ბალი, ბამბა, ბალიში, ბურთი, ბუდე, ბუმბული, ბუ, დედა, ლომი, ლობიო, ლოკოკინა, სკამი, სკა). მოსწავლეებმა უნდა დააჯგუფონ ის ბარათები, რომლებიც ერთსა და იმავე მარცვალზე იწყება.

დავალება რვეულში

- გააყოლე ფანქარი წყვეტილ ხაზებს. გააფერადე ღრუბელი, რომელშიც წერია სიტყვა „ცა" ცისფრად, ხოლო ღრუბელი, რომელშიც წერია „ხე" – ყავისფრად.
- შემოხაზე სიტყვა „ცა".

აქტივობა 5
ნახატი მზე, ნაწერი მზე

1. ბარათებით ახალი სიტყვის შემოტანა

2. ტექსტში სიტყვის პოვნა

მზე დედაა ჩემი,
მთვარე – მამაჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

მზე და წვიმა (იხ. დანართი)

ერთხელ მზე და წვიმა წაიჩხუბნენ:
– მე ვაშუქებ, – თქვა მზემ.
– მე ვრწყავ, – თქვა წვიმამ.
– შენი წვიმა ატალახებს ყველაფერს.
– შენ კი ყველაფერს წვავ.
– მე ვამწიფებ ხილს, – თქვა მზემ.
– მერე რა, რომ ამწიფებ, უჩემოდ გადახმებოდა ბაღები და ბოსტნები და რაღას გაახარებდი?
დიდხანს კამათობდნენ მზე და წვიმა და ბოლოს მიხვდნენ, რომ კამათს ისევ შეთანხმება სჯობდა.

ტექსტს კითხულობენ დიდი წიგნის მეთოდის გამოყენებით.

სარეკომენდაციო აქტივობები:

გვაჩვენე სიტყვა (მოსწავლეს უდევს სიტყვის ბარათები. მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, მოსწავლე არჩევს სიტყვას).
დახატე მზე და ააბრჭყვიალე ფერადი ფხვნილით. გააფერადე სიტყვა.

სიტყვების ლოტო
მოსწავლეებს ვურიგებთ ლოტოს ბარათებს, მასწავლებელი ამოიღებს სიტყვებს და ასახელებს, მოსწავლემ უნდა იპოვოს შესაბამისი ნაწერი დახაზულ ლოტოს ცხრილში.

ასოციაციობანა

მასწავლებელი ამბობს სამ სიტყვავს, რომელიც უკავშირდება ჩაფიქრებულ სიტყვას, მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რა ჩაიფიქრა მასწავლებელმა. (მაგ: სითბო, სინათლე, ცა – მზე,
ღამე, ფრინველი, ფუღურო – ბუ)

სიმღერა მზეზე
https://bit.ly/3Zhgq9S

დავალება რვეულში

- გააყოლე ფანქარი წყვეტილ ხაზებს და გააფერადე მზე.
- გადახაზე ზედმეტი სიტყვა.

„მზე და ცა“
https://bit.ly/3ZwWtLY

აქტივობა 6
ნახატი თხა, ნაწერი თხა

1. სიტყვის შეტანა ბარათების გამოყენებით. განსხვავებული დასასრულის მოფიქრება.
2. ტექსტი „თხა და გიგო“ (იხ. დანართი)

ტექსტის წაკითხვა დიდი წიგნის მეთოდის გამოყენებით.
როლებში გათამაშება – მოსწავლეები ხატავენ პერსონაჟებს, გამოჭრიან, ამაგრებენ ქაღალდის ჯოხებზე და გაითამაშებენ ეპიზოდს.

ფონოლოგიური სავარჯიშო

დამარცვლა – სურათიანი ბარათები – მასწავლებელი გააკრავს ოთხ-ხუთ სურათს და დამარცვლავს ერთ-ერთ სურათზე გამოსახულ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა დამარცვლა მასწავლებელმა და გაამთლიანონ.

დავალება რვეულში

- შემოხაზე სიტყვა „თხა“. რამდენჯერ შეგხვდა?
- რამდენია თხა – ჩაწერს შესაბამის უჯრაში

მოდი, ვნახოთ თხა,
რამ შეჭამა თხა?
მიველ, ვნახე თხა.
მგელმა ჭამა თხა.

მოტორიკის სავარჯიშო – მიიყვანე თხა გიგოსთან და გააფერადე.

დამატებითი საკითხავი
თხა კიკინა
– თხაო, თხაო, კიკინა,
მურამ ფეხზე გიკბინა...
რას ერჩოდი თხას, მურა?
– აბა რატომ მირქინა?

მოტორიკის სავარჯიშო – შეაერთე წერტილები, მიიღე თხა.

კითხვის საათი
თხა და შვიდი ციკანი
(წინდახედულობა)
ანჩხლი ბაკუნა
(პოპი და სემი – სარეკომენდაციო)
სარეკომენდაციო აქტივობები:
ტექსტის პაუზებით კითხვა;
ვარაუდების გამოთქმა;
დასასრულის განსხვავებული ვერსია.

აქტივობა 7
ნაწერი სკა, ნახატი სკა

1. ნახატებიანი ბარათების გამოყენება
ბარათები – მასწავლებელი დაფაზე აკრავს ნახატებიან ბარათებს (სკა, ჭიანჭველა, სოკო, ვაშლი, სკამი, კიბე, სკოლა, საათი, სათვალე, სარკე, ნიანგი, სახლი), მოსწავლეები ამოარჩევენ იმ ბარათებს, რომელთა დასახელებაში არის სკა (იხ. დანართი).
2. ტექსტში სიტყვის პოვნა *(იხ. დანართი)*

ეს არის სკა.
სკა ფუტკრის სახლია.
ფუტკარმა სკა ხეზე გაიკეთა.
მეფუტკრემ ფუტკარს სკა აუგო.

დამატებითი საკითხავი
როგორ ცხოვრობ, ფუტკარო,
უფანჯრებოდ, უკაროდ?
სახლში რატომ არ გიდგას
კარადა ან მაგიდა?
მოურთავი ოჯახი,
თქვი, ვის მოეწონება?
თაფლით სავსე ქილები –
აი, ჩემი ქონება.

დავალება რვეულში

- შეაერთე ხაზებით. დაუკავშირე ნახატი ნაწერს.
- გააყოლე ფანქარი წყვეტილ ხაზებს და გააფერადე სამი ფუტკარი.

აქტივობა 8
ნახატი მთა, ნაწერი მთა

1. ილუსტრირებული ტექსტი

დიდი მთა და პატარა მთა (იხ. დანართი)

ეს არის დიდი მთა. ეს კი პატარა მთა. პატარა მთას ძალიან უყვარს დიდი მთა და სულ მასავით იქცევა. შეჰყურებს, როგორ ახურავს დიდ მთას ღრუბლების ქუდი და ოცნებობს, დროზე გაიზრდოს, რომ მასაც თავზე გადმოეფარონ ქათქათა ღრუბლები. ნეტავ, მალე თუ გაიზრდება პატარა მთა?

ერთი კალმის მეთოდი

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ასეთ ხერხს. თავად დაიწყებს ამბავს და მოსწავლეებმა უნდა გააგრძელონ თანმიმდევრობით (მოიფიქრონ თითო წინადადება თანმიმდევრობით) ისე, რომ გამოვიდეს ერთი ამბავი. ამბავი იწყება ასე „ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ცხოვრობდა ერთი პატარა დინოზავრი“...

დავალება რვეულში

- გააყოლე ფანქარი წყვეტილ ხაზებს და გააფერადე ორი მთა.

აქტივობა 9
ნახატი ია, ნაწერი ია

1. ნახატებიანი ბარათების გამოყენება

2. ტექსტში სიტყვის პოვნა: (იხ. დანართი)

აი ია,
აი ია,
რა ლამაზი
ყვავილია,
მინდორშიაც,
ბაღჩაშიაც,
ჩემს წიგნებშიც ყვავის ია!

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს.
მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:
– რამდენი სტრიქონია?
– რომელია პირველი/მეორე/ ბოლო სტრიქონი?
– შემოხაზე პირველ სტრიქონში „ია“.
– შემოხაზე ბოლო სტრიქონში „ია“.
– სულ რამდენი სიტყვაა „ია“?
– რამდენი სიტყვაა პირველ სტრიქონში? დავითვალოთ.
– მერამდენეა „ია“?

სარეკომენდაციო აქტივობა:
ეზოში შეაგროვე შემოდგომის ფოთლები. დააკვირდი სიტყვას, შეეცადე მიამსგავსო და შემოდგომის შემოდგომის ფოთლებით ააწყო „ია“ (ეზოში ან ფურცელზე).

ფონოლოგიური სავარჯიშოები

გამოიცანი სიტყვა – მასწავლებელი წარმოთქვამს ბგერებს, მოსწავლემ უნდა გამოიცნოს სიტყვა (მაგ: ი-ა, ი-რ-ე-მ-ი, მ-თ-ა, ს-კ-ა, ს-კ-ა-მ-ი, ს-კ-ო-ლ-ა...)

დავალება რვეულში

- გააფერადე სიტყვები მითითებული ფერებით.

აქტივობა 10
ნახატი ჭია, ნაწერი ჭია

სიტყვის ბარათებით სიტყვის გაცნობა

ტექსტი: „ჭია“ (იხ. დანართი)

გამოიცანი, ეს რა ხეა?
ეს არის თუთის ხე. რას ხედავ თუთის ფოთოლზე? ეს არის ჭია.
ჩვეულებრივი ჭია არ გეგონოთ, ეს არის აბრეშუმის ჭია.
რას აკეთებენ მწერები? ფუტკრები დაფრინავენ ყვავილებზე
და ნექტარს აგროვებენ, ჭიანჭველები ფუსფუსებენ და მარცვ-
ლეულს აგროვებენ. რას აკეთებს აბრეშუმის ჭია? ფოთლიდან
ფოთოლზე მიღოღავს და ჭამს და ჭამს.
ახლა რას აკეთებს აბრეშუმის ჭია? თავისთვის სახლს იქსოვს –
აბრეშუმის პარკს. ქსოვს და ქსოვს. იმდენს ქსოვს, პარკში გამოი-
კეტება. დაღლილ-დაქანცული ჭია ტკბილად იძინებს.
გადის დღეები. ჭია თვალს ახელს, იღვიძებს, გარეთ გამოსვლას
ცდილობს. უცებ პარკიდან ულამაზესი პეპელა ამოფრინდება.
მსუნაგი ჭია ლამაზი პეპელა გამხდარა.

ფონოლოგიური სავარჯიშო
სიტყვის ბარათები

მასწავლებელი დაფაზე აკრავს ნახატებიან ბარათებს (ჭია, ჭიანჭვე-
ლა, ბაჭია, ვაშლი, ჭიამაია, კიბე, სკოლა), მოსწავლეები ამოარჩევენ იმ
ბარათებს, რომელთა დასახელებაში არის ჭია.
გამოიცანი პირველი ბგერა (მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს,
მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელ ბგერაზე იწყება სიტყვა – ჭია, ჭე-
რამი, ჭიამაია, ჭიკარტი, ბაჭია, ჭიშკარი, ჭანჭიკი...)

დავალება რვეულში

- დახატე ის, რაც წერია.
- შემოხაზე ყველა სიტყვა „ჭია", შემდეგ დაითვალე, რამდენია.
- გააყოლე ფანქარი წყვეტილ ხაზებს, მიიყვანე ჭია თუთასთან და გააფერადე თუთა.

აქტივობა 11
შემაჯამებელი თამაში „მოდი, გავიხსენოთ“ (მემორი)

თამაშისათვის საჭიროა სიტყვებისა და ნახატების ბარათები. მოთა-
მაშე პირქვე ალაგებს ნახატებსა და ნაწერს არეულად. შემდეგ რიგრი-
გობით ატრიალებენ ორ-ორ ბარათს. თუ ბარათზე მოცემული ნახატი
და ნაწერი ერთმანეთს დაემთხვევა, ბარათები მიაქვს მოთამაშეს.
გაიმარჯვებს ის მოთამაშე, რომელიც მეტ ბარათს დააგროვებს.

აქტივობა 12
ნახატი ქვა, ნაწერი ქვა

სიტყვისა და ნახატების ბარათებით სიტყვის გაცნობა

ტექსტი: ფერადი ქვები (იხ. დანართი)

ეს კაჭკაჭია. კაჭკაჭს უყვარს ბრჭყვიალა ნივთები. კაჭკაჭმა ნატოს პატარა ბრჭყვიალა შუშის ქვა მოჰპარა.
ეს ნატოა. ნატო ფერად ქვებს აგროვებს.
ნატომ ზღვაზე ბევრი ქვა შეაგროვა და ფერადი ორნამენტებით მოხატა.
აბა, შენც სცადე და მოხატე ქვა.

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს.
მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:
– რამდენი სტრიქონია?
– რომელია პირველი/მეორე/ ბოლო სტრიქონი?
– შემოხაზე პირველ სტრიქონში „ქვა“.
– შემოხაზე ბოლო სტრიქონში „ქვა“.
– სულ რამდენი სიტყვაა „ქვა“?
– რამდენი სიტყვაა პირველ სტრიქონში? დავითვალოთ.
– მერამდენეა „ქვა“?

დავალება რვეულში

- შეაერთე ხაზებით. დაუკავშირე ნახატი ნაწერს.
- დახატე ის, რაც წერია.

სარეკომენდაციო აქტივობა:
შეაგროვე სკოლის ეზოში ქვები, გააფერადე და მოხატე.

ფონოლოგიური სავარჯიშო
მოიფიქრე სიტყვა.
მასწავლებელი ასახელებს სიტყვას და მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ ბოლო ბგერაზე დაწყებული სიტყვა. მაგ.: კარი – იადონი – ია – ატამი.

აქტივობა 13
ნახატი სკამი, ნაწერი სკამი

სიტყვისა და ნახატების ბარათებით სიტყვის გაცნობა

ტექსტი: მართა და სამი დათვი (იხ. დანართი)

ტყეში სამი დათვი ცხოვრობდა. ერთხელ სასეირნოდ რომ წავიდნენ, ერთი ცელქი გოგონა, სახელად მართა, შეიპარა მათ სახლში. მართა ჯერა მამა დათვის სავარძელში ჩაჯდა.
– ეს ძალიან მაგარია! – თქვა მან.
ახლა დედა დათვის სავარძელში ჩაჯდა.
– ეს კი ძალიან რბილია!
– ეს ყველაზე კარგია! – შვილი დათვის პატარა სკამზე მოკალათდა მართა.
მაგრამ უცებ გაისმა ჭახანი, სკამი დაიმტვრა და მართამ ძირს მოადინა ზღართანი.
საწყალი პატარა დათვი! სკამის გარეშე დარჩა. მამა დათვს საქმე გამოუჩნდა...

პაუზებით კითხვის მეთოდის გამოყენება

სარეკომენდაციო აქტივობა:
თამაში „სკამები წრეში“
სკამები დგას წრეში, თითო სკამს ახატია ადამიანის ფიგურა, რომელიც მოქმედებს (ცალი ფეხი აქვს აწეული, თავზე უკიდია ორივე ხელი, ბალეტს ცეკვავს და ა.შ.). მოსწავლეები დადიან წრეზე მუსიკის ფონზე. შეწყდება თუ არა მუსიკა, მოსწავლე ჩერდება ერთ-ერთ სკამთან და გამოხატავს იმ მოქმედებას, რომელიც ხატია სკამზე გაკრულ ფურცელზე.
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:
დახატე და გვიამბე, რომელია შენი საყვარელი თამაში.

ფონოლოგიური სავარჯიშო:
სიტყვაში ბოლო/პირველი ბგერის ამოცნობა – მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სურათებიან ბარათებს, ასახელებს სიტყვას, მოსწავლემ უნდა ასწიოს ის სურათი, რომელიც მითითებულ ბგერაზე იწყება/მთავრდება.

ფონოლოგიური სავარჯიშო:
გამოიცანი ერთნაირი – მასწავლებელი ასახელებს 5-6 სიტყვას, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე ბგერაზე იწყება (შეიძლება სურათებიანი ბარათების გამოყენება).

კითხვა პაუზებით

სარეკომენდაციო აქტივობა
ტყუილი თუ მართალი (თამაში)
თამაშის წესი
მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსახელებს, რაც შეიძლება, მეტ დე-

დავალება რვეულში

- დააკავშირე ნაწერი და ნახატი.
- შემოხაზე სიტყვა „სკამი“.
- გადახაზე ზედმეტი სიტყვა.
- დააკვირდი ნახატებს და იპოვე ოთხი განსხვავება (დათვების ოთახი ილუსტრაციაზე).

ტალს ილუსტრაციიდან (ხან – ტყუილი, ხან – მართალი). მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ ილუსტრაციის მიხედვით (იხ. დანართი).
მაგ: საძინებელ ოთახში დევს ტუმბო, ტყუილი თუ მართალი?
საძინებელ ოთახში ერთი სურათია, ტყუილი თუ მართალი?
(მიზანი: ბავშვებმა ყურადღება მიაქციონ დეტალებს და აღმოაჩინონ ილუსტრაციაში).

აქტივობა: 14
ნახატი ქვაბი, ნაწერი ქვაბი

სიტყვისა და ნახატების ბარათებით სიტყვის გაცნობა

ტექსტი: ჯადოსნური ქვაბი (იხ. დანართი)

გოგონას ერთხელ ტყეში ერთმა დედაბერმა ჯადოსნური ქვაბი აჩუქა.
– როგორც კი ეტყვი, ქვაბო ათუხთუდი, მაშინვე ტკბილი და გემრიელი ფაფის ხარშვას დაიწყებს.
– როგორც კი ეტყვი, ქვაბო შეწყვიტე, მაშინვე შეწყვეტს ფაფის ხარშვას.
გახარებული გოგონა შინ გაიქცა.
ქურაზე ქვაბი შემოდგა და თან შეუძახა:
– ქვაბო, ათუხთუხდი!
და, ჰოი საოცრებავ! ქვაბი გემრიელი ფაფით აივსო.
ერთხელ გოგონა შინ არ იყო. დედას მოშივდა და ქურაზე ქვაბი შემოდგა. აივსო ქვაბი ფაფით. დედას უნდა ეთქვა „ქვაბო შეწყვიტეო“, მაგრამ ჯადოსნური სიტყვები ვერ გაიხსენა. ქვაბი კი ხარშავდა და ხარშავდა. ცხელი ფაფა ირგვლივ მდინარესავით მიედინებოდა.
კიდევ კარგი, გოგონა მალე დაბრუნდა. დაინახა თუ არა ფაფით სავსე ქუჩა, მაშინვე დაიყვირა:
– ქვაბო, შეწყვიტე!
ქვაბმაც მაშინვე შეწყვიტა ხარშვა. თუმცა უკვე იმდენი გადმოსულიყო, ფაფის ჭამით თუ გაიკვლევდნენ გზას. მაგრამ ისეთი ტკბილი და გემრიელი ფაფა იყო, რომ ამის გამო არავინ წუწუნებდა.

დავალება რვეულში

- გააფერადე ქვაბი. დააკავშირე ნაწერი და ნახატი.

ფონოლოგიური სავარჯიშო

მასწავლებელი მოსწავლეს უჩვენებს ბარათს და უსვამს კითხვებს:
1. რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში?
2. წარმოთქვი ამ სიტყვის პირველი ბგერა.
3. დაასახელე სიტყვა, რომელიც ამ ბგერით იწყება.
4. დამარცვლე სიტყვა.
5. დაასახელე სიტყვა, რომელიც იმავე ასოზე იწყება/იმავე მარცვალზე იწყება. მიიღე ახალი სიტყვა ისე, რომ ამ სიტყვის ერთი ბგერა შეცვალო.

აქტივობა: 15

ნახატი ბუდე, ნაწერი ბუდე

სიტყვისა და ნახატების ბარათებით სიტყვის გაცნობა

ტექსტი: უცნაური ბუდეები (იხ. დანართი)

სოფელში ჩემს ფანჯარასთან ჩიტმა ბუდე ააშენა. ჯერ თიხა მოზიდა, მერე თივა და ნელ-ნელა უცნაური ბუდე ამოაშენა.
მე და ნიკა ყოველ დილით მივდიოდით ფანჯარასთან და ვუყურებდით, როგორ ამრგვალებდა ჩიტი თავის უცნაურ ბუდეს და შიგ შესაძრომად პატარა ხვრელს ტოვებდა.
გუშინ ნიკამ თავის პლანშეტში კოლიბრის ბუდე მაჩვენა. ბუდე ისეთი პატარა იყო, სარეცხის სარჭზეც კი დაეტეოდა.
მე და ნიკამ გადავწყვიტეთ, ხის პატარა სახლი გავუკეთოთ ჩიტებს და ლამაზად მოვხატოთ. მამა დაგვეხმარება. ჩიტების სახლს სკოლის ეზოში ხეზე დავკიდებთ. ბუნების მასწავლებელს ძალიან მოეწონება. ნეტავ, ჩიტებს თუ მოეწონებათ ჩვენი გაკეთებული სახლი? ალბათ, იფიქრებენ ეს რა უცნაური ბუდეაო.

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს.
მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:
– რამდენი სტრიქონია?
– რომელია პირველი/მეორე/ ბოლო სტრიქონი?
– შემოხაზე პირველ სტრიქონში „ბუდე“.
– სულ რამდენი სიტყვაა „ბუდე“?
– რამდენი სიტყვაა პირველ სტრიქონში? დავითვალოთ.
– მერამდენე სიტყვაა „ბუდე“?

ფონოლოგიური სავარჯიშო:
გამოიცანი ზედმეტი – მასწავლებელი ასახელებს ერთსა და იმავე ბგერაზე დაწყებულ სიტყვებს (ბუდე, ბალი, ბარტყი, ბალიში კუ), მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რომელია ზედმეტი, რომელი არ იწყება იმავე ბგერაზე.

დავალება რვეულში

- გააფერადე და მოხატე ჩიტის სახლი.
- შემოხაზე სიტყვა „ბუდე“.

შემაჯამებელი მასალისთვის გეზისმიმცემი შეკითხვები:

- როგორ ამოვიცნო სიტყვა „ხე“? „ბუ“? „კუ“? „ია“? „მზე“? „მთა“? „ცა“? „თხა“? „სკა“? „ჭია“? „ქვა“? „სკამი“? „ბუდე“? „ქვაბი“?
- როგორ ამოვიცნო სტრიქონი?
- როგორ გავითამაშო ეპიზოდი? როგორ მოვირგო როლი?
- რა არის მარცვალი? როგორ ვიპოვო მარცვალი სიტყვაში?
- ამბის მოვლენების თანმიმდევრობა როგორ აღვადგინო?
- როგორ ვიპოვო წარმოთქმულ სიტყვაში მითითებული ბგერა?
- როგორ დავითვალო ბგერები წარმოთქმულ სიტყვაში?

ნაბიჯი **2:** ნამუშევრის გაზიარებისას წარმოთქვი ის სიტყვები, რომლებიც შენს ხელნაკეთ წიგნში ჩააწებე. **(წ.დ.3)**

დადგა დრო, რომ მოსწავლეებმა პირველი ხელნაკეთი წიგნი შექმნან. მასწავლებელი ურიგებს სიტყვების ფურცლებს (იხ. დანართი), საიდანაც უნდა ამოარჩიონ და ამოჭრან უკვე ნასწავლი/დამახსოვრებული სიტყვები: „ხე“, „ბუ“, „კუ“, „ია“, „მზე“, „მთა“, „ცა“, „თხა“, „სკა“, „ჭია“, „ქვა“, „სკამი“, „ბუდე“, „ქვაბი“. ეს სიტყვები არეულია სხვა სიტყვებს შორის. მასწავლებელი ბავშვებს ეხმარება ფურცლების აკინძვაში, შესაძლოა ყდაზე ჩარჩოც იყოს წინასწარ მომზადებული, როგორიც ზემოთ ნიმუშებშია წარმოდგენილი. ბავშვებმა, გარდა იმისა, რომ ეს ამოჭრილი სიტყვები უნდა ჩააკრან და ილუსტრაცია დაუხატონ, ასევე ერთნაირ ბგერაზე დაწყებული სიტყვები ერთმანეთის გვერდით უნდა მოათავსონ (მაგალითად: სკა – სკამი, მზე – მთა და ა.შ.), ხოლო ერთმარცვლიანი სიტყვები მწვანედ გააფერადონ/შემოხაზონ, ორმარცვლიანები კი – წითლად.
წარდგენისას მნიშვნელოვანია, ბავშვმა ისაუბროს წიგნის შექმნის პროცესზე, წარმოთქვას ჩაწებებული სიტყვები და გაიაზროს, რომ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება დაიწეროს.

დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)

- რომელი სიტყვები ჩააწებე? როგორ განსაზღვრე, რომლები უნდა ყოფილიყო ერთმანეთის გვერდით?
- მოგეწონა თუ არა ამ დავალებაზე მუშაობა?
- აღწერე, რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ?

დანართი:

- სხვადასხვა ენაზე დაწერილი ტექსტი
- ყველა რომ ასე მოიქცეს
- ოთხი ილუსტრაცია შესაბამისი ტექსტით
- სიტყვების ბარათები
- ტყის ამბების ილუსტრაციები და ტექსტები მასწავლებლის დიდი წიგნისთვის
- სიტყვებისა და დიდი წიგნების ბარათები

2. მე ვსწავლობ კითხვას (საანბანო პერიოდი)

თემატური მატრიცა
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა ძირითადი რესურსი/ტექსტი: აი ია, მამა და მამიდა, დედა და მამიდა, სამი ასო, მორი, ნოდარი და ნინო, ათი საათია, დედა მოვიდა, მიმი და უთო, ნიკა და მაია, სკოლა, გაკვეთილის მერე, მაიას ქოლგა, შვიდი ვაშლი, ჩვენი კლასი, დიდი ტორტი, მაია და ბალეტი, ფერადი ფოთლები, მალე ზარია, ხმელი ტოტი, სტუმრად პეტრესთან, აქ ისევ ახალი წელია, ციხესიმაგრე, ბაყაყი ყუთში, დაკარგული ღილები, ძეგლი, ჯადოსნური ჯოხი, მაიას ჭიამაია, სად არის ჟირაფი?, კლასის ჰიმნი კლასი: I
თემა: მე ვსწავლობ კითხვას
თემატური მატრიცის სარჩევი

გრძელვადიანი მიზანი	შუალედური სასწავლო მიზანი N1
სამიზნე ცნება სიტყვა – წინადადება – ტექსტი **ქვეცნება** ტექსტის ერთეულები ქვესაკითხი სიტყვა, წინადადება **სამიზნე ცნება** დეკოდირება – კოდირება ქვეცნება სიტყვის გრაფემული ხატი **ქვესაკითხი** ბგერა, ასო, მარცვალი ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები	საკითხი: **კლასის მხიარული ანბანის შექმნა** ქვესაკითხები: აი ია, მამა და მამიდა, დედა და მამიდა, სამი ასო, მორი, ნოდარი და ნინო, ათი საათია, დედა მოვიდა, მიმი და უთო, ნიკა და მაია, სკოლა, გაკვეთილის მერე, მაიას ქოლგა, შვიდი ვაშლი, ჩვენი კლასი, დიდი ტორტი, მაია და ბალეტი, ფერადი ფოთლები, მალე ზარია, ხმელი ტოტი, სტუმრად პეტრესთან, აქ ისევ ახალი წელია, ციხესიმაგრე, ბაყაყი ყუთში, დაკარგული ღილები, ძეგლი, ჯადოსნური ჯოხი, მაიას ჭიამაია, სად არის ჟირაფი? კლასის ჰიმნი – სიტყვა, წინადადება, ბგერა, ასო, მარცვალი. ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. საკვანძო შეკითხვა: • როგორ ამოვიცნო ბგერა? • როგორ დავწერო ასო სწორად? • როგორ ვაქციო ასოები მარცვლებად? • როგორ გავამთლიანო მარცვლები სიტყვებად? • როგორ გავამთლიანო სიტყვები წინადადებად? • როგორ მოვუსმინო ტექსტს ისე, რომ მოსმენილი ინფორმაცია • დავიმახსოვრო? • როგორ შევადგინო სიტყვებისგან წინადადება, რომელიც ჩემს მიზანს შეესაბამება? • რომელია ხმოვანი ასოები? თანხმოვნები? • რაში გვჭირდება ხმოვნები? • როგორ ამოვიცნო, რა ასოა გამოტოვებული სიტყვაში? • როგორ დავწერო წინადადება სწორად? • რას ნიშნავს სახალისო წინადადება? რა სიტყვები შეიძლება გამოვიყენო, ჩემი წინადადება სახალისო რომ გამოვიდეს?

	კომპლექსური დავალება ყუთიდან, რომელშიც მოთავსებულია ანბანის ყველა ასო, რომლებიც შენ უკვე ისწავლე, მორიგეობით ამოიღეთ ასოები. აიღე თაბახის ფურცელი და რომელი ასოც შეგხვდება, დაწერე დიდად, ქვემოთ დაუხატე სიტყვა, რომელიც ამ ასოზე იწყება, ქვეშ კი მიუწერე შენ მიერ ამოღებულ ასოზე დაწყებული სახალისო წინადადება. შემდეგ ეს ასოები ერთმანეთის მიმდევრობით გააკარით საკლასო ოთახის კედელზე. შეგიძლია ეს წინადადება თხრობით გააგრძელო, ამბავი მოიგონო და კლასელებს, მასწავლებელს გაუზიარო.
სიტყვა, წინადადება, ტექსტი **(შედეგები: (I).4, 5, 6)** 1. სათქმელის გადმოსაცემად მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შერჩევა (მაგ.: დროითი მიმართებების, მდებარეობის, ლოგიკური კავშირების, ნიშან-თვისებების აღსანიშნავად). 2. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება. 3. იმისთვის, რომ მკითხველს/მსმენელს გავაგებინოთ სათქმელი, მისი აგებულება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. დეკოდირება-კოდირება **(I** კლასის საანბანო პერიოდისთვის**)** **(შედეგები: (I). 2, 4, 6)** 1. წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან. სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს, ასოები აღნიშნავს ბგერებს. 2. ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე. 3. წერისას საჭიროა სიტყვებს შორის მანძილის დაცვა, წინადადების ბოლოს – წერტილის დასმა. 4. ასოების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გამთლიანება ვარჯიშს მოითხოვს.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები:** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> შენ მიერ მოფიქრებული წინადადების პირველი სიტყვის პირველი ასო შეესაბამება ყუთიდან ამოღებულ ასოს, ხოლო წინადადება ისეთი სიტყვებისგან არის შედგენილი, რომლებიც წინადადებას სახალისოს ხდის. (ს.1, დ. 4) ყუთიდან ამოღებული ასო ჯერ ზეპირად წარმოთქმულია, ხოლო შემდეგ – დაწერილი, სიტყვა ბადეში სწორადაა მოათავსებული, სიტყვებს შორის მანძილი დაცულია, წინადადების ბოლოს დასმულია წერტილი. (დ.1, 2, 3,)

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა
რესურსი **1. სახელმძღვანელო**

აქტივობა 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- შენი სიტყვებით ახსენი, რას მოითხოვს დავალება;
- შენი აზრით, რა გაგიადვილდება, რა გაგიძნელდება?
- რაში დაგჭირდება დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა
ნაბიჯი 1. შენ მიერ მოფიქრებული წინადადების პირველი სიტყვის პირველი ასო შეესაბამება ყუთიდან ამოღებულ ასოს, ხოლო წინადადება ისეთი სიტყვებისგან არის შედგენილი, რომლებიც წინადადებას სახალისოს ხდის (ს.1, დ. 4). ყუთიდან ამოღებული ასო ჯერ ზეპირად წარმოთქმულია, ხოლო შემდეგ – დაწერილი, სიტყვა ბადეში სწორადაა მოთავსებული, სიტყვებს შორის მანძილი დაცულია, წინადადების ბოლოს დასმულია წერტილი. (დ.1, 2, 3,)
ვფიქრობთ, რომ მასწავლებელმა კვირაში სამი ასო უნდა ახსნას, თავდაპირველად ასოების ახსნის პრინციპს სათითაოდ ჩავშლით, ხოლო შემდეგ უკვე სამ-სამ ასოს განვიხილავთ – აქტივობებითა და რესურსებით.

აქტივობა 1. (1 კვირა)
აი ია

პირველ ჯერზე მასწავლებელი ბავშვებს ოთხ ასოს აცნობს, ესენია: **ა, ი, მ, ს.**
ასოების შემოტანის თანმიმდევრობა ისეა დაგეგმილი, რომ წიგნის პირველივე გვერდებიდან მცირე ზომის ტექსტები შემოდის. კითხვის აზრიანობა, რომელიც აქამდე უკეთეს შემთხვევაში სიტყვის ან წინადადების დონეზე წყდებოდა, გადადის ტექსტის დონეზე.
როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანბანო პერიოდში მოსწავლის წიგნში შემოდიან პერსონაჟები. ყოველი ახალი ასოს შემოსვლას ახალი ამბავი უკავშირდება, რომლებიც სპეციალურად ამ კურსისთვის დაიხატა და დაიწერა.

მუშაობა ილუსტრაციაზე
მასწავლებელი სახელმძღვანელოში მიუთითებს ილუსტრაციაზე და სთხოვს, რომ მასზე მოცემული ამბავი აღწერონ, კარგი იქნება, თუ აღწერის პროცესში გამოიყენებენ ახლად ახსნილ ასოებზე დაწყებულ სიტყვებს. აღწერის შემდეგ მასწავლებელი ურთავს მოსასმენს. უსმენენ ყურადღებით. საუბრობენ შინაარსზე, განიხილავენ და პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს სიტყვებზე რომლებიც ა, ი, მ, ს-ზე იწყება.

მოსმენა

მასწავლებელი ასმენინებს ამბავს, რომლის ბმული დატანილია ილუსტრაციის კიდეზე:

აი ია
გაიცანით, ეს ექვსი წლის მაიაა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მეტად მშობლები და უმცროსი ძმა – მათე უყვარს. და კიდევ: მაიას ძალიან, ძალიან უყვარს მათი ოჯახის ყველაზე მხიარული და ონავარი წევრი – თეთრი ძაღლი, მიმი.
დღეს მზიანი ამინდია. თბილა. ყველა ეზოში გამოფენილა. მაია და მიმიც ეზოში არიან და ბავშვებთან ერთად ერთობიან. მაია დროდადრო გზისკენ აპარებს თვალს. მალე ხომ სამსახურიდან მამა უნდა დაბრუნდეს.
– მამა, მამა! – ყვირის მაია, როგორც კი მამას ამჩნევს, და მისკენ გარბის. მამა მაიას ქოთანში ჩარგულ ლამაზ ყვავილს უწვდის და ღიმილით ეუბნება: აი ია. დღეს ყვავილებს ვუღებდით ფოტოებს და ია რომ დავინახე, ვიფიქრე, მოგეწონებოდა.
მაიას მამა ფოტოგრაფია. ხან ადამიანებს უღებს ფოტოებს, ხან – მცენარეებს, ხან – წიგნებს, ხან – შენობებს, ხან კიდევ – მიმის, რომელიც კამერის წინ ყველაზე მეტს ჭირვეულობს.
– რა ლამაზი საჩუქარია! გმადლობ, მამიკო! – უხარია მაიას. – რა მშვენიერი ყვავილი ყოფილა ია! (იხ. დანართი)

ვარჯიში კითხვაში
ამბის მოსმენის შემდეგ ამუშავებენ ილუსტრაციის ქვემოთ მოცემულ ტექსტს. ჯერ მასწავლებელი უკითხავს, შემდეგ უკვე ბავშვები ეძებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვებს. ბოლოს მასწავლებლის დახმარებით ამოიკითხავენ სრულ ტექსტს.

სახელმძღვანელოს სავარჯიშოები
ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოებს:. მარცვლების ამოკითხვა, დამალული მარცვლის პოვნა და ა.შ.

დავალება რვეულში

მოსწავლის რვეულში სავარჯოებს პირველ ეტაპზე კლასში ამუშავებენ, ჯერ მასწავლებელი აჩვენებს დაფაზე როგორ იწერება ასო, შემდეგ ბავშვები იწყებენ ბადეში მუშაობას და გამოწერილი ასოების გამოწერას.

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო: ა, ი, მ, ს?
- როგორ ამოვიკითხო ამ ასოებისგან შედგენილი მარცვლები? როგორ წავიკითხო სიტყვა?
- რა მოხდა ტექსტის „აი ია“ დასაწყისში ?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად ტექსტში?
- რით უკავშირდება ეს ტექსტი ჩემს გამოცდილებას, ცხოვრებას?
- შენ რა საჩუქარი გაგიხარდება ყველაზე მეტად?
- საჩუქრის მიღებისას მადლობის თქმა ხომ არ გავიწყდება?

რეკომენდაციები:
მასწავლებელმა შესაძლებელია გამოიყენოს ძერწვის აქტივობაც: ბავშვები პლასტილინისგან ძერწავენ ჯერ ასოებს, ხოლო შემდეგ ამ ასოებზე დაწყებულ საგანს წარმოადგენენ კლასის წინაშე.

მსგავსი სცენარით წარიმართება სხვა გაკვეთილებიც.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ა, ი, მ, ს ბგერები; მოსასმენი: „აი ია“. მოსწავლის რვეული: ა, ი, მ, ს ბგერები

აქტივობა 2
მამა და მამიდა

მასწავლებელს შემოაქვს ახალი ასო „დ“, პატარა მუყაოს ყუთში მოთავსებულია სათამაშო დათუნია. ყუთი ბაფთითაა შეკრული, მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, გამოიცნონ, რა არის ყუთში, ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს, შემდეგ მასწავლებელი ხსნის ყუთს და აჩვენებს სათამაშო დათუნიას. ბავშვები ასახელებენ მის სახელს, მასწავლებელი ეკითხება, რა ბგერა ესმით პირველი?
ამის შემდეგ მუშაობას იწყებენ სახელმძღვანელოში, საუბრობენ ილუსტრაციაზე, გამოთქვამენ ვარაუდებს. მოსასმენის მოსმენისას ცდილობენ, დაიმახსოვრონ სიტყვები, რომლებიც დ ასოზე იწყება, მსჯელობენ ტექტის შინაარსზე, იხსენებენ საკუთარ ისტორიებს. იწყებენ მარცვლების ამოკითხვას, შემდეგ ილუსტრაციის ქვეშ ტექსტის წაკითხვას. მუშაობენ მოსწავლის წიგნში, გამოწერენ ასო-ბგერა დ-ს, ასრულებენ სხვა სავარჯიშოებს.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: დ ბგერა; მოსასმენი: „მამა და მამიდა“; მოსწავლის რვეული: დ ბგერა

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო დ?
- როგორ წავიკითხო დ?
- რა სიტყვები იწყება ასო-ბგერა დ-ზე?
- როგორ ამოვიცნო ილუტრაციაზე ასახული ამბავი?
- როგორი ინტონაციით წავიკითხო წინადადება კითხვის ნიშნით?
- რა იყო ტექსტში სასაცილო?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
- შენ როგორ ესალმები ნაცნობებს?

აქტივობა 3 (2 კვირა)
დედა და მამიდა

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ე ბგერა; მოსასმენი: „დედა და მამიდა“; მოსწავლის რვეული: ე ბგერა

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო ე?
- როგორ წავიკითხო ე?
- რა სიტყვები ისწყება ასო-ბგერა ე-ზე?
- როგორ ამოვიცნო ილუტრაციაზე ასახული ამბავი?
- როგორი ინტონაციით წავიკითხო წინადადება ძახილის ნიშნით?
- რა იყო ტექსტში სასაცილო?
- რომელ წინადადებაზე გაგეცინა ყველაზე მეტად?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
- შენ თუ გყავს ცხოველი? რა ამბავი გახსენდება მასზე?

რეკომენდაცია:
კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ე-ს ქვიშაში თითით მოხაზვაზე ავარჯიშებს ბავშვებს. პატარა, დაბალ გვერდებიან ყუთში ქვიშაა მოთავსებული და ბავშვები რიგრიგობოთ, თითით ხაზავენ.

აქტივობა 4: (2 კვირა)
სამი ასო

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

რეკომენდაცია:

მასწავლებელი ხსნის ასო-ბგერა ო-ს, მოსწავლეებს ეკითხება, აბა, თუ გამოიცნობენ მწერს, რომელსაც ქსოვა შეუძლია და ძალიან ბევრი ძაფიც აქვს? ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს და გამოიცნობენ: ობობა. მასწავლებელი ეკითხება, რომელ ასოზე იწყება? რამდენი ასო-ბგერაა? რამდენი მარცვალი? რომელ ასო-ბგერაზე სრულდება? ამის შემდეგ აკეთებენ ხელებით აპლიკაციას, ხოლო ქსელს ო-ს ფორმით, ძაფით აწებებენ, დაახლოებით ასე, ოღონდ ქსელი ძაფის ო-ს ფორმის უნდა ჰქონდეს დაწებებული.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ო ბგერა; მოსასმენი: „სამი ასო“; მოსწავლის რვეული: ო ბგერა

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო ო?
- როგორ წავიკითხო ო?
- რა სიტყვები ისწყება ასო-ბგერა ო-ზე?
- როგორ ამოვიცნო ო-ზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუტრაციაზე ასახული ამბავი?
- შენ თუ გითამაშია სკოლობანა?
- რომელი საგნის სწავლება მოგწონს ყველაზე მეტად?
- რა სათაურს მოუფიქრებდი ამ ტექსტს?

აქტივობა 5: (2 კვირა)

მორი

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

რეკომენდაცია:
მასწავლებელი მასწავლებელი ბავშვებს დაურიგებს ფურცელზე მოხაზულ რ-ს კონტურს და წვრილ მაკარონებს, ბავშვებმა ეს მაკარონები უნდა დაა-წებონ იმ მიმართულებით, როგორც მ ასო იწერება.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: რ ბგერა; მოსასმენი: „მორი“; მოსწავლის რვეული: რ ბგერა

(საბოლოოდ, ანბანის პერიოდში შექმნილი ნამუშევრებით შესაძლოა გამოფენაც მოეწყოს.)

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო რ?
- როგორ წავიკითხო რ?
- რა სიტყვები ისწყება ასო-ბგერა რ-ზე?
- როგორ ამოვიცნო რ-ზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- რაზე გაიცინა დათომ? რა იყო სასაცილო?
- რა თამაშია დამალობანა? შენ თუ გითამაშია?
- რომელია შენი საყვარელი თამაში?
- რა იყო ამ ტექსტში განსხვავებული შენთვის?

აქტივობა 6: (3 კვირა)

ნოდარი და ნინო

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

რეკომენდაცია:

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ნ ბგერა, მოსასმენი: „ნოდარი და ნინო“; მოსწავლის რვეული: ნ ბგერა

ასო-ბგერა ნ-ს შემოტანა. მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ნიჟარას და სთხოვს, გამოიცნონ, რა ჰქვია. შემდეგ სიტყვა ნიჟარაზე მუშაობენ.

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო ნ?
- როგორ წავიკითხო ნ?
- რა სიტყვები ისწყება ასო-ბგერა ნ-ზე?
- როგორ ამოვიცნო ნ-ზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუტრაციაზე ასახული ამბავი?
- ვისი სახელი ერქვა დედას? მამას?
- შენ ვისი სახელი გქვია?

აქტივობა 7: (3 კვირა)
ათი საათია

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

რეკომენდაცია:
ასო ბგერა თ-ს გაცნობა. შესაძლებელია თოკით ასო ბგერას თ-ს აპლიკაციის გაკეთება. სიტყვა თოკზე მუშაობა.

გეზისმიმცემი კითხვები:
- როგორ დავწერო თ?
- როგორ წავიკითხო თ?
- რა სიტყვები იწყება ასო-ბგერა თ-ზე?
- როგორ ამოვიცნო თ-ზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- რას სთხოვდა გოგონა მამას?
- რატომ უთხრა მამამ უარი?
- შენი საყვარელი წიგნი რომელია?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: თ ბგერა; მოსასმენი: „ათი საათია“; მოსწავლის რვეული: თ ბგერა

აქტივობა 8: (3 კვირა)
დედა მოვიდა

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

ასო-ბგერა ვ-ს გაცნობა
მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს და აყურებინებს ვიოლინოზე შესრულებულ მელოდიას.

ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელ ინსტრუმენტზე უკრავს პატარა გოგონა. მასწავლებლის დახმარებით ბოლოს მიაგნებენ სიტყვას: ვიოლიონო. საუბრობენ სიტყვაზე: რომელ ასოზე იწყება, რას ახსენებთ ასოციაციურად ეს სიტყვა, შესაძლებელია, მასწავლებელმა დაფაზეც დიდად დაწეროს და მისი შემადგენელი ასო-ბგერებით სხვა სიტყვები მოიფიქრონ.

გეზისმიმცემი კითხვები:
- როგორ დავწერო ვ?
- როგორ წავიკითხო ვ?
- რა სიტყვები იწყება ასო-ბგერა ვ-ზე?
- როგორ ამოვიცნო ვ-ზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- შენ და შენი ოჯახი როგორ ატარებთ დროს?

https://bit.ly/3EM55pW
PERFECT – Ed Sheeran – Violin Cover by Karolina Protsenko

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ვ ბგერა; მოსასმენი: „დედა მოვიდა“; მოსწავლის რვეული: ვ ბგერა

აქტივობა 9: (4 კვირა)

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

(აქედან უკვე თითეული აქტივობა გაწერილია ერთ კვირაზე, როგორც აღვნიშნეთ, სამი ასოს ახსნასა და მათზე მუშაობას ერთი კვირა ეთმობა, ჩვენ პირობითად ამ პერიოდს „აქტივობა“ ვუწოდეთ.)
უ – მიმი და უთო
კ – ნიკა და მაია
ლ – სკოლა

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: უ, კ, ლ ბგერები;
მოსწავლის რვეული: უ, კ, ლ ბგერები
მოსასმენი: „მიმი და უთო“, „ნიკა და მაია“, „სკოლა“

რეკომენდაცია:
ასოების გაცნობის შემდეგ შესაძლოა მასწავლებელმა აპლიკაციები გააკეთებინოს: ხორბლით, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებით, გამოაძერწვინოს, დაახატინოს, გამოაჭრევინოს და ა.შ.
ასოს გაცნობა – მოხაზულობა, ბადეში განლაგება; (იხ. პირველი აქტივობის რესურსები)

გეზისმიმცემი კითხვები:
- როგორ დავწერო უ? კ? ლ?
- როგორ წავიკითხო უ? კ? ლ?
- რა სიტყვები ისწყება ამ ასო-ბგერებზე?
- როგორ ამოვიცნო მათზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- როგორ ცდილობს მათე, რომ დედას დაეხმაროს?
- შენ როგორ ეხმარები ოჯახის წევრებს?
- რომელია მაიას საყვარელი ფერი? შენი?
- რატომ უხაროდა უფრო მეტად მაიას სკოლაში წასვლა?
- შენ ვისთან ერთად დადიხარ სკოლაში?
- რა დარჩა მაიას სახლში?
- რა შესთავაზა მაიამ ლელას მამას?
- შენ როგორ ეხმარები თანაკლასელებს?

აქტივობა 10: (5 კვირა)

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

გ – გაკვეთილის შემდეგ
ქ – მაიას ქოლგა
შ – შვიდი ვაშლი

რეკომენდაცია:
მასწავლებელს შეუძლია აპლიკაციები გააკეთებინოს: ხორბლით, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებით, გამოაძერწვინოს, დაახატინოს, გამოაჭრევინოს და ა.შ.

გეზისმიმცემი კითხვები:
- როგორ დავწერო გ? ქ? შ?
- როგორ წავიკითხო გ? ქ? შ?
- რა სიტყვები ისწყება ამ ასო-ბგერებზე?
- როგორ ამოვიცნო მათზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- ვინ არია კლასი?
- შენ როგორ აწესრიგებ შენს საკლასო ოთახს?
- რა პირობა დადო მაიამ?
- შენ თუ უჯერებ მშობლებს?
- ითვალისწინებ მათ რჩევებს?
- რა შეამჩნია მაიამ ფანჯრიდან?
- შენ გიყვარს მათემატიკა?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: გ, ქ, შ ბგერები; მოსწავლის რვეული: გ, ქ, შ ბგერები; მოსასმენი: „გაკვეთილის შემდეგ“, „მაიას ქოლგა“, „შვიდი ვაშლი“

აქტივობა 11: (კვირა 6)

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

ჩ – ჩვენი კლასი
ტ – დიდი ტორტი
ბ – მაია და ბალეტი

რეკომენდაცია:
ასოების გაცნობის შემდეგ შესაძლოა მასწავლებელმა აპლიკაციები გააკეთებინოს: ხორბლით, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებით, გამოაძერწვინოს, დაახატინოს, გამოაჭრევინოს და ა.შ.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ჩ, ტ, ბ ბგერები; მოსწავლის რვეული: ჩ, ტ, ბ ბგერები; მოსასმენი: „ჩვენი კლასი“, „დიდი ტორტი“, „მაია და ბალეტი“

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო ჩ? ტ? ბ?
- როგორ წავიკითხო ჩ? ტ? ბ?
- რა სიტყვები იწყება ამ ასო-ბგერებზე?
- როგორ ამოვიცნო მათზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- რა უნდა ნიკას?
- წელიწადის რა დროა ახლა?
- შენ როდის გაქვს დაბადების დღე?
- ვისთან ერთად აპირებ აღნიშვნას?
- ბალეტის გარდა, კიდევ რა გამოსდის მაიას კარგად?
- შენ რის წრეზე დადიხარ სკოლის შემდეგ?

აქტივობა 12: (კვირა 7)

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

რეკომენდაცია:

ასოების გაცნობის შემდეგ შესაძლოა მასწავლებელმა აპლიკაციები გააკეთებინოს: ხორბლით, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებით, გამოაძერწვინოს, დაახატინოს, გამოაჭრევინოს და ასე შემდეგ.
ფ – ფერადი ფოთლები
ზ – მალე ზარია
ხ – ხმელი ტოტი

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო ფ? ზ? ხ?
- როგორ წავიკითხო ფ? ზ? ხ?
- რა სიტყვები იწყება ამ ასო-ბგერებზე?
- როგორ ამოვიცნო მათზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- რაზე ახარხარდნენ ბავშვები?
- რა იყო სასაცილო?
- შენ რას დაარქმევდი ამ ამბავს?
- დღეს როგორი ამინდია?
- რატომ ბუზღუნებს მაია?
- შენ თუ ყოფილხარ ბიბლიოთეკაში?
- როგორ ეხმარებიან ბავშვები ძია სანდროს?
- უსაფრთხოების რომელი წესის შესახებ გაიგე ამ ამბიდან?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ფ, ზ, ხ ბგერები;
მოსწავლის რვეული: ფ, ზ, ხ ბგერები;
მოსასმენი: „ფერადი ფოთლები“, „მალე ზარია“, „ხმელი ტოტი“

აქტივობა 13: (კვირა 8)

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

ასოების გაცნობის შემდეგ შესაძლოა მასწავლებელმა აპლიკაციები გააკეთებინოს: ხორბლით, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებით გამოაძერწვინოს, დაახატინოს, გამოაჭრევინოს და ასე შემდეგ.
პ – სტუმრად პეტრესთან
წ – აქ ისევ ახალი წელია
ც – ციხესიმაგრე

რეკომენდაცია

(უკვე შემოდის პატარა ლექსები საკითხავად). ლექსების საკითხავად კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გამოიყენებს შემდეგ სტრატეგიას:
ერთად ტემპში – მოსწავლეები შესწავლილ ლექსს კითხულობენ გუნდურად. მასწავლებელი ასრულებს დირიჟორის როლს. ის სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მისი ხელების მოძრაობას და ლექსის კითხვის ტემპი ააყოლონ ამ მოძრაობას. მასწავლებელი ჯერ ძალიან ნელა ამოძრავებს ხელს, მერე კი ტემპს უმატებს. ასეთივე წესით მიანიშნებს ხმის სიძლიერეზე. ხელის მტევნის დაბლა დაწევა ნიშნავს, რომ ხმას უნდა დაუწიონ, მაღლა აწევა – პირიქით.
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

** რესურსი**

მოსწავლის სახელმძღვანელო: პ, ც, წ ბგერები;
მოსწავლის რვეული: პ, ც, წ ბგერები;
მოსასმენი: „სტუმრად პეტრესთან“, „აქ ისევ ახალი წელია“, „ციხესიმაგრე“

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო პ? ც? წ?
- როგორ წავიკითხო პ? ც? წ?
- რა სიტყვები იწყება ამ ასო-ბგერებზე?
- როგორ ამოვიცნო მათზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- რა გამოსდის პეტრეს კარგად?
- როგორ ატარებს მეგობრებთან ერთად დროს?
- რა დღესასწაული ჰყვარებია პეტრეს?
- საიდან ჩანს?
- რომელია შენი საყვარელი დღესასწაული?
- რა უამბო გიდმა ბავშვებს?
- რა სთხოვა მასწავლებელმა ბავშვებს?
- როგორ უნდა მოიქცეთ ბუნებაში, ექსკურსიის ბოლოს?

აქტივობა 14: (კვირა 9)

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

ასოების გაცნობის შემდეგ შესაძლოა მასწავლებელმა აპლიკაციები გააკეთებინოს: ხორბლით, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებით გამოაძერწვინოს, დაახატინოს, გამოაჭრევინოს და ა.შ.
ყ – ბაყაყი ყუთში
ღ – დაკარგული ღილები
ძ – ძეგლი

რეკომენდაცია:
(უკვე შემოდის პატარა ლექსები საკითხავად). ლექსების საკითხავად კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გამოიყენებს შემდეგ სტრატეგიას:
ერთად ტემპში – მოსწავლეები შესწავლილ ლექსს კითხულობენ გუნდურად. მასწავლებელი ასრულებს დირიჟორის როლს. ის სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მისი ხელების მოძრაობას და ლექსის კითხვის ტემპი ააყოლონ ამ მოძრაობას. მასწავლებელი ჯერ ძალიან ნელა ამოძრავებს ხელს, მერე კი ტემპს უმატებს. ასეთივე წესით მიანიშნებს ხმის სიძლიერეზე. ხელის მტევნის დაბლა დაწევა ნიშნავს, რომ ხმას უნდა დაუწიონ, მაღლა აწევა – პირიქით.
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ყ, ღ, ძ ბგერები;
მოსწავლის რვეული: ყ, ღ, ძ ბგერები;
მოსასმენი: „ბაყაყი ყუთში“, „დაკარგული ღილები“, „ძეგლი“

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო ყ? ღ? ძ?
- როგორ წავიკითხო ყ? ღ? ძ?
- რა სიტყვები იწყება ამ ასო-ბგერებზე?
- როგორ ამოვიცნო მათზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- როგორი დავალება ჰქონდა მაიას?
- მოგეწონა?
- შენ თუ გქონია მსგავსი დავალება?
- რა აღმოაჩინა მამამ?
- რა იყო სასაცილო ამ ტექსტში?
- რით გაევსო მათეს ყულაბა?
- შენ რის შეგროვება გიყვარს?
- რა გადაწყვიტა მაიამ?
- რა გხვდება სკოლიდან სახლისაკენ მიმავალ გზაზე?
- შენ ვის ან რას დაუდგამდი ძეგლს?

აქტივობა 15: (კვირა 10)

მუშაობა ილუსტრაციაზე;
მოსმენა;
ვარჯიში კითხვაში;
სავარჯიშოები სახელმძღვანელოში;
მოსწავლის რვეულში მუშაობა, ასოს გამოწერა.

რეკომენდაცია:
ასოების გაცნობის შემდეგ შესაძლოა მასწავლებელმა აპლიკაციები გააკეთებინოს: ხორბლით, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებით გამოაძერწვინოს, დაახატინოს, გამოაჭრევინოს და ა.შ.
ჯ – ჯადოსნური ჯოხი
ჭ – მაიას ჭიამაია
ჟ – სად არის ჟირაფი?
ჰ – კლასის ჰიმნი

გეზისმიმცემი კითხვები:

- როგორ დავწერო ჯ? ჭ? ჟ? ჰ?
- როგორ წავიკითხო ჯ? ჭ? ჟ? ჰ?
- რა სიტყვები იწყება ამ ასო-ბგერებზე?
- როგორ ამოვიცნო მათზე დაწყებული საგნის სურათი?
- როგორ ამოვიცნო ილუსტრაციაზე ასახული ამბავი?
- როგორ გესმის გამოთქმა: იხტიბარს არ იტეხს?
- შენ რას ინატრებდი, ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეს?
- როგორ გესმის „სეხნია“?
- მაია ვისი სეხნიაა?
- რა ურჩია დედამ მაიას?
- შენი აზრით, როგორ მოიქცა მაია?
- რითია მათე კმაყოფილი?
- შენი აზრით, რა შეეშალა მამიდას? მათეს?
- რის ეშინოდა მაიას?
- შენ რას ეტყოდი მაიას?
- როგორ გაამხნევებდი?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ჯ, ჭ, ჟ, ჰ ბგერები; მოსწავლის რვეული: ჯ, ჭ, ჟ, ჰ ბგერები; მოსასმენი: „ჯადოსნური ჯოხი“, „მაიას ჭიამაია“, „სად არის ჟირაფი?“ „კლასის ჰიმნი“

აქტივობა 16:
„ანბანი წრეში“ (ანბანის ასოების ამოცნობა)

რესურსი

ბარათები, რომლებზეც გამოსახულია ანბანის ასოები; მუსიკალური ჩანაწერი: კასეტა, CD, ან ინტერნეტიდან (სასურველია, იყოს მარში); ქუდი ან ტომარა.

აქტივობის აღწერა:

1. მოსწავლეები სხდებიან წრეში. მასწავლებელი ჩამოატარებს ქუდს, საიდანაც ყველა მათგანი რიგრიგობით იღებს ერთ ბარათს, რომელზეც წერია ანბანის რომელიმე ასო.
2. ქუდიდან ბარათის ამოღებისთანავე მოსწავლეებმა ჯერ უნდა ამოიცნონ და დაასახელონ ასო, შემდეგ კი – სიტყვა, რომელიც შესაბამისი ბგერით იწყება.
3. მასწავლებელი ამის შემდეგ აწყობს ბარათებს იატაკზე, მოსწავლეების წინ. მასწავლებელი რთავს ჩანაწერს და სთხოვს მოსწავლეებს, ერთი მიმართულებით იარონ მარშის თანხლებით, სანამ მუსიკა არ შეწყდება.
4. როდესაც მუსიკა შეწყდება, მოსწავლეები ჩერდებიან ახლა უკვე სხვა ასოსთან.

კვლავ მოიფიქრებენ და ასახელებენ სიტყვას, რომელიც შესაბამისი ბგერით იწყება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოსწავლე ვერ ამოიცნობს ასოს, მასწავლებელი სთხოვს მის გვერდზე მდგომს, დაეხმაროს თანაკლასელს.

კომპლექსური დავალების დროს შესრულებული ნამუშევრები შესაძლოა გამოიფინოს და სტუმრებიც მოიწვიონ. დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)

- რომელი ასო შეგხვდა?
- რომელი სიტყვა მოიგონე? წინადადება?
- არის თუ არა შენი წინადადება სასაცილო?
- რა დაგეხმარა სასაცილო წინადადების მოფიქრებაში?
- რა დაგეხმარა ამბის მოგონებაში?
- მოგეწონა თუ არა ამ დავალებაზე მუშაობა?
- აღწერე, რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ?

* ზოგიერთი აქტივობა ამოღებულია კრებულიდან: გზამკვლევი მასწავლებლებისთვის – ქართული ენა და ლიტერატურა, აქ შეგიძლიათ შეარჩიოთ კითხვისა და წერის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიაც:
https://bit.ly/41xU59q

3. მე უკვე ვკითხულობ (ანბანის შემდგომი პერიოდი)

თემატური მატრიცა
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა ძირითადი რესურსი/ტექსტი: თალგამი, ქოჩორა, ათი თითი, თხა და ვენახი, ცომის კაცუნა, ყველაფერი ყირამალა, გინდა, გინდა, გინდა, როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას, რატომ ვერ პოულობს მთვარე მკერავს? ჩვენი სამყარო, წყლის სამყარო, ოთხი სურვილი, სად არიან წელიწადის დრონი? თოვლის გუნდა და გოგონა, ვინ უფრო გიყვარს? ბევრზე ბევრი, დაკარგული ბავშვი, კეთილი ბავშვი, ემოციები, ბუნება, აბა, მითხარ მართალი, ხეების კამათი, სპილო და ჭიანჭველები, სანდროს განრიგი, იონა ბიძია, ანა-ბანა, ანა-ბანა. კლასი: I
თემა: მე უკვე ვკითხულობ
თემატური მატრიცის სარჩევი

გრძელვადიანი მიზანი	უშუალოდური სასწავლო მიზანი N1
სამიზნე ცნება ტექსტი (ჟანრები) ქვეცნება მხატვრული ჟანრი **ქვესაკითხი** მოთხრობა, ზღაპარი, ლექსი. **ქვეცნება** არამხატვრული ჟანრი საინფორმაციო – შემეცნებითი ტექსტი ქვეცნება შინაარსობრივი მხარე **ქვესაკითხი** თემა მთავარი და არამთავარი ინფორმაცია **ქვეცნება** სტრუქტურა/აგებულება **ქვესაკითხი** სხვადასხვა ჟანრის ტექსტების: მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები – სათაური	საკითხი: ჩემი კლასის წიგნის შექმნა ქვესაკითხები: თალგამი, ქოჩორა, ათი თითი, თხა და ვენახი, ცომის კაცუნა, ყველაფერი ყირამალა, გინდა, გინდა, გინდა, როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას, რატომ ვერ პოულობს მთვარე მკერავს? ჩვენი სამყარო, წყლის სამყარო, ოთხი სურვილი,სად არიან წელიწადის დრონი? თოვლის გუნდა და გოგონა, ვინ უფრო გიყვარს? ბევრზე ბევრი, დაკარგული ბავშვი, კეთილი ბავშვი, ემოციები, ბუნება, აბა, მითხარ მართალი, ხეების კამათი, სპილო და ჭიანჭველები, სანდროს განრიგი, იონა ბიძია, ანა-ბანა, ანა-ბანა: – მოთხრობა, ზღაპარი, ლექსი, საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, თემა, მთავარი და არამთავარი ინფორმაცია, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების: მაორგანიზებელი სიტყვიერი (ვერბალური) ელემენტები – სათაური, კითხვის სტრატეგიები, წერის სტრატეგიები. საკვანძო შეკითხვა: • როგორ შევარჩიო ტექსტი კლასის წიგნისთვის? • როგორ განვსაზღვრო ჟანრი? • როგორ გამოვყო მთავარი ინფორმაცია არამთავარისგან? • როგორ გადმოვცე შინაარსი? • როგორ შევურჩიო განსხვავებული სათაური? • რა გავითვალისწინო წერის დაწყებამდე? წერის დროს? წერის პროცესში? • ტექსტის კითხვისა და გააზრებისთვის რომელი სტრატეგია გამოვიყენო? • როგორ შევქმნა კლასის წიგნი? რა უნდა დავაწერო ყდაზე?

ქვეცნება ტექსტის გაგება-გააზრებისა და პროდუცირების სტრატეგიები. ქვესაკითხი კითხვის სტრატეგიები – კითხვის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ); განაფფული კითხვის სტრატეგიები; წერის სტრატეგიები – წერის პროცესის თითოეული ეტაპისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, წერის შემდეგ).	**კომპლექსური დავალება** შესწავლილი ტექსტებიდან და ამბებიდან შეარჩიე ერთი: ზღაპარი, მოთხრობა, ლექსი ან საინფორმაციო -შემეცნებითი ტექსტი. შენი სიტყვებით დაწერე ამ ამბის, ტექსტის შინაარსი და გაუკეთე ილუსტრაცია. ბოლოს, მასწავლებლის დახმარებით, თითოეული მოსწავლის ნაშრომი ერთ წიგნად აკინძეთ. გაითვალისწინეთ: დაამზადეთ ამ წიგნის ყდაც. ყდაზე ავტორების ჩამოწერა არ დაგავიწყდეთ. კარგი იქნება, თუ სათაურს შეუცვლით და თქვენს მოფიქრებულ სათაურს გამოიყენებთ.
ტექსტი **(ჟანრები)** **(შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)** 1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია მისი სიღრმისეულად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ჟანრის; ყოველი ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და სტრუქტურა/აგებულება.	**დავალების შეფასების კრიტერიუმები:** <u>ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:</u> კლასის წიგნში მოთავსებული ნამუშევრები/ შინაარსები, რომლებიც ნასწავლი ტექსტების გააზრებითა და მინიშნებებზე დაყრდნობითაა ჩამოყალიბებული, რომელიც შესაძლოა ჩვენს პირად გამოცდილებასაც უკავშირდებოდეს. (ტ.1. 2) კლასის წიგნის ტექსტები/შინაარსები სხვადასხვა ჟანრისაა: მოთხრობა, ზღაპარი, ლექსი, კომიქსი ან საინფორმაციო-შემეცნებითი. (ტ.3)

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა
რესურსი 1. სახელმძღვანელო

აქტივობა 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
კარგი იქნება, თუ მასწავლებელი თავიდანვე აჩვენებს ხელნაკეთი წიგნის ხვადასხვა ვარიანტს და ნიმუშებს, მაგალითად:



აქტივობა 2. დავალების მოთხოვნების გაცნობიერება
- შენი სიტყვებით ახსენი, რას მოითხოვს დავალება;
- შენი აზრით, რა გაგიადვილდება, რა გაგიძნელდება?
- რაში დაგჭირდება დახმარება?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა
ნაბიჯი 1: კლასის წიგნში მოთავსებული ნამუშევრები/შინაარსები, რომლებიც ნასწავლი ტექსტების გააზრებითა და მინიშნებებზე დაყრდნობითაა ჩამოყალიბებული, შესაძლოა, ჩვენს პირად გამოცდილებასაც უკავშირდებოდეს. (ტ.1. 2)
კლასის წიგნის ტექსტები/შინაარსები სხვადასხვა ჟანრისაა: მოთხრობა, ზღაპარი, ლექსი, კომიქსი ან საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტია. (ტ.3)

აქტივობა 1.

ტექსტზე: „თალგამი“ მუშაობა
ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა;
ტექსტის კითხვა გაგრძელებებით;
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება-გააზრებაზე, სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით. შესაძლოა, ეს კითხვები ბარათებზეც დაწეროს წინასწარ მასწავლებელმა და ბავშვებმა ყუთიდან რიგრიგობოთ ამოიღონ.
სანამ ტექსტის მეორე ნაწილზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა.
ზღაპარი თალგამი

ამ ტექსტის როლურად კითხვა ბავშვებს ძალიან გაახალისებთ, შესაძლოა მიბაძონ პერსონაჟებს და კითხვის პროცესში ჩაეჭიდონ ერთმანეთს.
მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ჟანრზე: ზღაპარია თუ მოთხრობა? საიდან ჩანს, რომ ზღაპარია? ბავშვები ასევე ჩამოთვლიან პერსონაჟებსაც.
ბავშვები ცდილობენ შინაარსი ზეპირად გადმოსცენ.
მუშაობა მოსწავლის რვეულში.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: თალგამი. მოსწავლის რვეული: თალგამი – სავარჯიშოები

გეზისმიმცემი კითხვები:
- რა სათაური მოუხდებოდა?
- საიდან ჩანს, რომ ეს ამბავი ზღაპარია?
- რა არის ამ ტექსტში მთავარი ინფორმაცია? არამთავარი?

აქტივობა 2
„ქოჩორა“

ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა
ტექსტის როლებში კითხვა;
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება-გააზრებაზე, სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით. შესაძლოა, ეს კითხვები ბარათებზეც დაწეროს წინასწარ მასწავლებელმა და ბავშვებმა ყუთიდან რიგ-რიგობოთ ამოიღონ ან შესაძლოა თითოეულ კითხვა ბავშვებმა წყვილებში დაამუშაონ და წარმოადგინონ პასუხები.
სანამ ტექსტის მეორე ნაწილზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა.
ეპიზოდებად დაყოფა, დასათაურება და ილუსტრაციების შექმნა. ეპიზოდების სათაურებს მასწავლებელი წერს ბარათებზე და ათავსებს ყუთში, მოსწავლე იღებს ბარათს, კითხულობს სათაურს და ცდილობს გაიხსენოს, აღიდგინოს შინაარსი და გადმოსცეს თხრობით.
პერსონაჟების გამოყოფა, დახასიათება (იხ. დანართი)
ზღაპარია, ლექსი, თუ მოთხრობა?
რით ჰგავს „თალგამს“? რით განსხვავდება მისგან?
მუშაობა მოსწავლის რვეულში

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ქოჩორა. მოსწავლის რვეული: ქოჩორა – შესაბამისი სავარჯიშოები

გეზისმიმცემი კითხვები:
- რით ჰგავს „თალგამს“?
- რით განსხვავდება მისგან?
- ეპიზოდები რა პრინციპით დავასათაურე? რა გავითვალისწინე?

აქტივობა 3
„ათი თითი“

ლექსის კითხვა ექოდ ან მასწავლებლის მითითებისამებრ კითხვის ტემბრის აწევა-დაწევით (იხ. დანართი)
შინაარსზე მსჯელობა, გააზრება მოცემული კითხვების მეშვეობით.
ლექსიკაზე მუშაობა.
რით განსხვავდება „თალგამისგან“? „ქოჩორასგან“?
მასწავლებელს მინიშნებებით მიჰყავს მოსწავლეები დასკვნამდე: ათი თითი არის ლექსი.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

გეზისმიმცემი კითხვები:
- რატომაა „ათი თითი“ ლექსი?
- როგორ განვასხვავო აქამდე ნასწავლი ტექსტებისგან?
- რა შინაარსი აქვს ამ ლექსს?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ათი თითი, მოსწავლის რვეული: ათი თითი – სავარჯიშოები

აქტივობა 4
„თხა და ვენახი“

ტექსტის საკითხავად მასწავლებელი შეარჩევს სასურველ სტრატეგიას (იხ. დანართი).
ბავშები ცდილობენ წაკითხულის დამახსოვრებასა და ზეპირად გამეორებას. ამისთვის შესაძლოა მასწავლებელმა გამოიყენოს ბარათები და ასე მიანიშნოს.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.
შესაძლოა მოისმინონ სიღერა და თვითონაც იმღერონ.
„რამ შეჭამა ვენახი“.

ასევე უფრო კარგად გაიაზრებენ და შინაარსს თანმიმდევრულად მიჰყვებიან, გაუადვილდებათ, თუ ქაღალდისგან რგოლებს გააკეთებენ, ამ რგოლებზე უნდა დააწერონ, ვინ შეჭამა, მეორეზე – რა შეჭამა და ასე შემდეგ, თანმიმდევროით რგოლები ჯაჭვად შეკრან და დააწებონ. ასე დაახლოებით:

გეზისმიმცემი კითხვები:
- რატომაა ლექსი: „თხა და ვენახი“?
- რა დამეხმარა შინაარსის დამახსოვრებაში?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: თხა და ვენახი. მოსწავლის რვეული: თხა და ვენახი – სავარჯიშოები

აქტივობა 5:
„ცომის კაცუნა“

ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა;
ტექსტის კითხვა შერჩეული სტრატეგიით (იხ. დანართი);
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით;
ცომის კაცუნას დახასიათება.
სანამ ტექსტის მეორე ნაწილზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა.
ეპიზოდებად დაყოფა, დასათაურება და ილუსტრაციების შექმნა.
კარგი იქნება, თუ ბავშვები თავად შექმნიან საკუთარ ცომის კაცუნებს, აი, მაგალითად, მისი შესაქმნელი ცომი-პლასტილინი შესაძლოა ამ რეცეპტით დამზადდეს:
1 ჭიქა წყალი;
1 ჭიქა მარილი;
ფქვილი – 250 გრ.
3 ს/კ ზეთი.
კარგად ვურევთ, შეგვიძლია საკვები საღებავებით გავაფერადოთ.
ძერწავენ კაცუნებს და შემდეგ საკუთარ კაცუნებზე იგონებენ ამბებს, მნიშვნელოვანია, რომ ეს პატარა, მარტივი ამბები ჩაწერონ. მასწავლებელი ურჩევს: სანამ წერას დაიწყებენ, კარგად მოიფიქრონ, განსაზღვრონ, როგორ დაიწყონ და დაასრულონ, გადაწყვიტონ, მათი ამბავი მოთხრობა იქნება თუ ზღაპარი. წერის დასასრულს კი გადაიკითხონ და ჩაასწორონ, ბავშვები საკუთარ კაცუნებსა და ამბებს კლასის წინაშე წარადგენენ. თავდაპირველად ამბის შესაქმნელად შესაძლოა რამდენიმე სიტყვა შესთავაზოს მასწავლებელმა და ეს სიტყვები გამოიყენონ ბავშვებმა წერის პროცესში.
(როდესაც მოსწავლეს ჩანაწერის გაკეთებას ვთხოვთ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ მოცულობით ტექსტს, ერთი წინადადებაც საკმარისია, ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მიეჩვიოს საკუთარი აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემას).

მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ცომის კაცუნა.
მოსწავლის რვეული: ცომის კაცუნა – სავარჯიშოები

გეზისმიმცემი კითხვები:
- როგორ დავახასიათო ცომის კაცუნა?
- როგორ დავწერო პატარა ამბავი?
- როგორ დავასათაურო ჩემი ამბავი?
- რა იყო ამ ტექსტში განსხვავებული შენთვის?

აქტივობა 6:
„ყველაფერი ყირამალა“

რა არის ყირამალა?
ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს.
ტექსტის კითხვა სასურველი სტრატეგიით (იხ. დანართი);
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება– გააზრებაზე, სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით. შესაძლოა ეს კითხვები ბარათებზეც დაწეროს წინასწარ მასწავლებელმა და ბავშვებმა ყუთიდან რიგრიგობოთ ამოიღონ.
სანამ ტექსტის სხვა ნაწილებზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა.
მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ჟანრზე: ზღაპარია თუ მოთხრობა? საიდან ჩანს, რომ ზღაპარია? ბავშვები ასევე ჩამოთვლიან პერსონაჟებსაც.
მუშაობა მოსწავლის რვეულში.
ბავშვები მსჯელობენ ალისას სიზმარზე, იხსნებენ საკუთარ სიზმარებს. წერენ და უკეთებენ ილუსტრაციას, ასევე ასათაურებენ თავიან სიზმრებს.
(როდესაც მოსწავლეს ჩანაწერის გაკეთებას ვთხოვთ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ მოცულობით ტექსტს, ერთი წინადადებაც საკმარისია, ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მიეჩვიოს საკუთარი აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემას).

გეზისმიმცემი კითხვები:
- რა მომეწონა ამ ტექსტსში?
- როგორ დავუკავშირე ჩემს ცხოვრებას?
- ჩემი სიზმრების გადმოცემა წერილობით გამიჭირდა?
- შენი აზრით, რა იქნება ალისას შემდეგი სასაცილო სიზმარი?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ყველაფერი ყირამალა.
მოსწავლის რვეული: ყველაფერი ყირამალა – სავარჯიშოები

აქტივობა 7:
„გვრიტი“

ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს, რა შეიძლება იყოს გვირტი და რაზე იქნება ეს ტექსტი.
სანამ კითხვას დაიწებდნენ, მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს გვრიტის ფოტოს და აცნობს მასზე მოკლე ინფორმაციას.
ტექსტის კითხვა შესაბამისი სტრაგეგიით (იხ. დანართი);
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით. შესაძლოა ეს კითხვები ბარათებზეც დაწეროს წინასწარ მასწავლებელმა და ბავშვებმა ყუთიდან რიგრიგობოთ ამოიღონ.
სანამ ტექსტის მეორე ნაწილზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა.
მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ჟანრზე: ზღაპარია თუ მოთხრობა? საიდან ჩანს, რომ ზღაპარია? ბავშვები ასევე ჩამოთვლიან პერსონაჟებსაც.
ბავშვები ეპიზოდებად ყოფენ და უკეთებენ ილუსტრაციებს. ეპიზოდების სათაურებს მასწავლებელი წერს ბარათებზე და ათავსებს ყუთში, მოსწავლე იღებს ბარათს, კითხულობს სათაურს და ცდილობს გაიხსენოს, აღიდგინოს შინაარსი და გადმოსცეს თხრობით.
შესაძლოა ერთ-ერთი ეპიზოდის შინაარსი ჩაიწერონ კიდეც.
მუშაობა მოსწავლის რვეულში.
გვრიტი/ ქართული ხალხური ზღაპრები

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: გვრიტი; მოსწავლის რვეული: გვრიტი – სავარჯიშოები

გეზისმიმცემი კითხვები:

- რატომაა „გვრიტი“ ზღაპარი?
- რამდენი პერსონაჟია ამ ზღაპარში?
- როგორ დაახასიათებდი გვრიტს?
- რაზეა ეს ამბავი?
- რას შეცვლიდი შენ ამ ამ ამბავში და რატომ?
- რა არის ამ ამბავში მთავარი?

აქტივობა 8:
„გინდა, გინდა, გინდა...“

ბავშვები გამოთვქამენ ვარაუდებს, რაზე იქნება ეს ტექსტი.
ტექსტის კითხვა შესაბამისი სტრაგეგიით (იხ. დანართი);
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება– გააზრებაზე მუშაობა სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით;
სანამ ტექსტის მეორე ნაწილზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა.
მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ჟანრზე: ზღაპარია თუ მოთხრობა? საიდან ჩანს, რომ ზღაპარია? ბავშვები ასევე ჩამოთვლიან პერსონაჟებსაც.
ბავშვები ეპიზოდებად ყოფენ და უკეთბენ ილუსტრაციებს.
მუშაობა მოსწავლის რვეულში.
ციდლობენ მოკლე შინაარსი გადმოსცენ და მასწავლებელის დახმარებით რვეულში ჩაწერონ.

გეზისმიმცემი კითხვები:

- შენი აზრით, ბავშვებს სად უფრო მოეწონებოდათ – მთვარეზე თუ სახლში, დედამიწაზე? რატომ?
- როგორ ფიქრობ, რატომ ჰქვია ამ ამბავს ეს სათაური?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: გინდა, გინდა, გინდა.
მოსწავლის რვეული: გინდა, გინდა, გინდა – სავარჯიშოები

აქტივობა 9:
„როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას?“

სანამ ტექსტს წაიკითხავდნენ, ბავშვები ფიქრობენ და გამოთქვამენ ვარაუდებს, როგორ შეიძლება გოჭმა ფრენა ისწავლოს, მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს.
ტექსტის კითხვა შესაბამისი სტრაგეგიით (იხ. დანართი);
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით.
სანამ ტექსტის მეორე ნაწილზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა.

https://bit.ly/3YAiSal
„როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას“

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ჟანრზე: ზღაპარია თუ მოთხრობა? საიდან ჩანს, რომ ზღაპარია? ბავშვები ასევე ჩამოთვლიან პერსონაჟებსაც.
შენ როგორ დაასრულებდი? დაწერე ამ ამბის შენეული დასასრული.
(როდესაც მოსწავლეს ჩანაწერის გაკეთებას ვთხოვთ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ მოცულობით ტექსტს, ერთი წინადადებაც საკმარისია, ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მიეჩვიოს საკუთარი აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემას).
მუშაობა მოსწავლის რვეულში

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას? მოსწავლის რვეული: როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას? – სავარჯიშოები

გეზისმიმცემი კითხვები:

- ტექსტიდან რა მინიშნებებს დაეყრდენი დასასრულის შეცვლისას?
- რა არის მთავარი: ერთხელ მაინც რომ შეძლო გოჭმა აფრენა თუ ძირს რომ ჩამოვარდა?
- რომელი წუთები დაამახსოვრდებათ მთელი ცხოვრება იკაროსსა და მის მეგობრებს?

აქტივობა 10:
„რატომ ვერ პოულობს მთვარე მკერავს?“

ბავშვები ჩამოთვლიან მიზეზებს, რატომ ვერ შეიძლება მთვარემ მკერავი იპოვოს, მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ეს არის ზღაპარი და კიდევ ერთხელ ჩამოთვლის ზღაპრის ელემენტებს.
ტექსტის კითხვა შესაბამისი სტრაგეგიით (იხ. დანართი);
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება-გაზრებაზე მუშაობა სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით.
სანამ ტექსტის მეორე ნაწილზე გადავლენ, ბავშვები გაგრძელების საკუთარ ვერსიებზე საუბრობენ, შესაძლოა წერილობით გადმოსცენ კიდეც, მსჯელობენ, რა ალტერნატიული სათაური მოუხდებოდა. https://bit.ly/41xU59q

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: რატომ ვერ პოულობს მთვარე მკერავს? მოსწავლის რვეული: რატომ ვერ პოულობს მთვარე მკერავს? – სავარჯიშოები.

გეზისმიმცემი კითხვები:
- რა გაიგე ამ ამბიდან?
- რაიმეს ხომ არ ურჩევდი ორივეს: მთვარეს – მოსასხამის გარეშეც რომ არ დარჩეს და თერძსაც – თავის საქმეს რომ დაუბრუნდეს?

აქტივობა 11:
„ჩვენი სამყარო“

ბავშვები კითხულობენ ტექსტს, საუბრობენ: ოცნებობენ თუ არა კოსმოსში მოგზაურობაზე?
უყურებენ მოკლე ანიმაციურ ფილმს:

„One Small Step“
https://bit.ly/2VTnTOX

საუბრობენ პერსონაჟის ოცნებაზე, როგორ შეძლო ოცნების ახდენა – რა გააკეთა ამისთვის.
ტექსტს „ჩვენი სამყარო“ ადარებენ სხვა, აქამდე გავლილ ტექსტებს, შესაძლოა ვენის დიაგრამა გამოიყენოს მასწავლებელმა, გამოყოფენ საინფორმაციო ტექსტის მახასიათებლებს, საუბრობენ მსგავსებასა და განსხვავებებზე.
მუშაობენ მოსწავლის რვეულში

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ჩვენი სამყარო; მოსწავლის რვეული: ჩვენი სამყარო – სავარჯიშოები

გეზისმიმცემი კითხვები:
- რა აქვს განსხვავებული ამ ტექსტს? რა აქვს საერთო სხვა ტექსტებთან?

აქტივობა 12:
„წყლის სამყარო“

ტექსტს კითხულობენ.
საუბრობენ, სად ურჩევიათ მოგზაურობა: მთვარეზე თუ წყლის ქვეშ?
რა ხდება კიდევ წყლის ქვეშ?
მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

გეზისმიმცემი კითხვები:

- რა მოგეწონა ამ ტექსტში?
- რა აქვს ამ ტექსტს განსაკუთრებული?
- როგორი ამბავია მოთხრობილი – ნამდვილი თუ გამოგონილი?
- როგორ გადმოსცემდი მოკლედ ამ ამბავს?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: წყლის სამყარო;
მოსწავლის რვეული: წყლის სამყარო – სავარჯიშოები

აქტივობა 13, 14:
„ოთხი სურვილი“
„წელიწადის დრონი“

ტექსტის დამუშავება შერჩეული კითხვის სტრატეგიით (იხ.დანართი);
ლექსიკაზე მუშაობა;
შინაარსობრივად გაგება-გააზრება, მოცემული კითხვების მეშვეობით;
ჟანრობრივი მახასიათებლის გამოყოფა, ამ ორი ტექსტის შედარება;
პატარა ამბის მოფიქრება – „ჩემი საყვარელი დრო“ და ჩაწერა.
(როდესაც მოსწავლეს ჩანაწერის გაკეთებას ვთხოვთ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ მოცულობით ტექსტს, ერთი წინადადებაც საკმარისია, ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მიეჩვიოს საკუთარი აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემას).
წერისას მასწავლებელი წერის სტრატეგიებზე უმახვილებს ყურადღებას (იხ. დანართი).
ბავშვები შეარჩევენ მათთვის საყვარელ წელიწადის დროს და წერენ მოკლე შინაარს, უკეთებენ ილუსტრაციას.
მოსწავლის რვეულში მუშაობა

გეზისმიმცემი კითხვები:

- რა აქვთ ამ ტექსტებს საერთო? რით განსხვავდებიან?
- შენ რომელი დრო მოგწონს? რატომ?
- ვინ არიან ამ ტექსტების ავტორები?
- რა დაგეხმარა მოკლე შინაარსის გადმოცემაში?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ოთხი დრო, წელიწადის დრონი;
მოსწავლის რვეული: ოთხი დრო, წელიწადის დრონი – სავარჯიშოები

აქტივობა 15:
„თოვლის გუნდა და გოგონა“

ბავშვებს ალბათ ეცნობებათ თოვლის გუნდა. სანამ წაიკითხავდნენ, იხსენებენ, რა იციან მასზე და სად უნახავთ.
წაკითხვის შემდეგ იგონებენ დასასრულს და აკეთებენ პატარა ჩანაწერს.
აკეთებენ ილუსტრაციას.
(როდესაც მოსწავლეს ჩანაწერის გაკეთებას ვთხოვთ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ მოცულობით ტექსტს, ერთი წინადადებაც საკმარისია, ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მიეჩვიოს საკუთარი აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემას).

ანიმაცია „თოვლის გუნდა“
https://bit.ly/3KWWAwe

მუშაობენ მოსწავლის რვეულში.

გეზისმიმცემი კითხვები:
- როგორ დავასრულო თოვლის გუნდა?
- ჩემი მოგონილი დასასრული მხიარულია თუ სევდიანი? რატომ?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: თოვლის გუნდა და გოგონა; მოსწავლის რვეული: თოვლის გუნდა და გოგონა – სავარჯიშოები

აქტივობა 16, 17 :
„ვინ უფრო გიყვარს?“
„ბევრზე ბევრი“

სათაურის მიხედვით შინაარსზე მსჯელობა.
შესაძლოა წყვილებში ვამუშაოთ: კითხულობენ და ერთმანეთს უყვებიან მოკლე შინაარსს.
გაგება-გააზრება მოცემული კითხვების მიხედვით.
მუშაობა მოსწავლის რვეულში.

გეზისმიმცემი კითხვები:
- რა მომეწონა ტექსტში?
- ეს ორი ტექსტი რით ჰგავს ერთმანეთს?
- რით განსხვავდებიან?
- როგორ განვსაზღვრე, რა იყო ამ ტექსტებში მთავარი ინფორმაცია?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ვინ უფრო გიყვარს? ბევრზე ბევრი; მოსწავლის რვეული: ვინ უფრო გიყვარს? ბევრზე ბევრი – სავარჯიშოები

აქტივობა 17, 18:
„დაკარგული ბავშვი“
„კეთილი ბავშვი“

მსჯელობა ტექსტების შინაარსზე, უსაფრთხოებაზე, სიკეთეზე, გაზიარებაზე, საკუთარი პირადი გამოცდილებიდან ამბების გახსენება და გაზიარება.
მუშაობა მოსწავლის წიგნში

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- შენ როგორ დააწყანრებდი ამ გოგონას?
- შენ როგორ მოიქცეოდი მის ადგილას?
- როგორ შეგიძლია დაასათაურო ეს ამბავი?
- როგორ ზრუნავ შენს ოჯახზე?

რესურსი

სახელმძღვანელო: დაკარგული ბავშვი, კეთილი ბავშვი; მოსწავლის რვეული: დაკარგული ბავშვი, კეთილი ბავშვი – სავარჯიშოები

აქტივობა 19:
„ემოციები“

მსჯელობა ტექსტების შინაარსზე, საკუთარი პირადი გამოცდილებიდან ამბების გახსენება და გაზიარება. საკუთარ ემოციებზე საუბარი. მუშაობა მოსწავლის წიგნში.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- რა არის ემოცია?
- რა გაიგე ახალი ტექსტიდან?
- შენ როგორ ხასიათზე ხარ?

რესურსი

სახელმძღვანელო: ემოციები; მოსწავლის რვეული: ემოციები – სავარჯიშოები

აქტივობა 19, 20:
„ბუნება“, „აბა მითხარ მართალი“

ტექსტის დამუშავება შერჩეული კითხვის სტრატეგიით (იხ.დანართი) ლექსიკაზე მუშაობა.
შინაარსობრივად გაგება-გააზრება, მოცემული კითხვების მეშვეობით.
ჟანრობრივი მახასიათებლის გამოყოფა, ამ ორი ტექსტის შედარება.
ბავშვები ხატავენ საყვარელ ცხოველს და საყვარელ მცენარეს, წარმოადგენენ.
მუშაობა მოსწავლის წიგნში.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- რა ამსგავებს და განასხვავებს ამ ორ ტექტს ერთმანეთისგან?
- შენ გიყვარს ბუნება?
- რომელია შენი საყვარელი ცხოველი? მცენარე?

რესურსი

სახელმძღვანელო: ბუნება, აბა მითხარ მართალი; მოსწავლის რვეული: ბუნება, აბა მითხარ მართალი – სავარჯიშოები

აქტივობა 21:
„ხეების კამათი“

ტექსტის დამუშავება შერჩეული კითხვის სტრატეგიით (იხ.დანართი); ლექსიკაზე მუშაობა
შინაარსობრივად გაგება-გააზრება, მოცემული კითხვების მეშვეობით.
როგორ ფიქრობ, ამ ამბის წიგნი როგორი იქნება?
ამბის ყდა როგორ მოგწონს?
რას გამოყოფ? რა აწერია?
მუშაობა მოსწავლის წიგნში.

გეზისმიმცემი შეკითხვები:
- რა მოგეწონა ტექსტში? შენი აზრით, რომელი ხე იყო მართალი?
- როგორი იქნება ამ ამბის წიგნი?

რესურსი

სახელმძღვანელო: ხეების კამათი, ამბის ყდა. მოსწავლის რვეული: ხეების კამათი, ამბის ყდა – სავარჯიშოები

აქტივობა 22:
„სპილო და ჭიანჭველები“

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: სპილო და ჭიანჭველები.
მოსწავლის რვეული: სპილო და ჭიანჭველები – სავარჯიშოები

ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა.
ტექსტის კითხვა შერჩეული სტრატეგიით (იხ. დანართი).
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი).
ეპიზოდებად დაყოფა, დასათაურება და ილუსტრაციების შექმნა. ეპიზოდების სათაურებს მასწავლებელი წერს ბარათებზე და ათავსებს ყუთში, მოსწავლე იღებს ბარათს, კითხულობს სათაურს და ცდილობს გაიხსენოს, აღიდგინოს შინაარსი და გადმოსცეს თხრობით.
მუშაობა მოსწავლის რვეულში.

გეზისმიმცემი კითხვები:
- რა პირობით აპატიეს ჭიანჭველებმა სპილოს?
- როგორ შეიცვალა სპილო?

აქტივობა 23
„სანდროს განრიგი“

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: სანდროს განრიგი.
მოსწავლის რვეული: სანდროს განრიგი – სავარჯიშოები

მუშაობა სანდროს განრიგზე, საკუთარ განრიგზე საუბარი და ზაფხულის საყვარელი საქმიანობის არჩევა.

გეზისმიმცემი კითხვები:
- როგორ გეგმავს ზაფხულს სანდრო?
- შენ რის გაკეთებას აპირებ ზაფხულში?
- რომელია შენი საყვარელი საქმიანობები?

აქტივობა 24
იონა ბიძია

ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა. როგორ ფიქრობთ ვინ არის იონა ბიძია?
ტექსტის კითხვა.
უცნობ ლექსიკაზე მუშაობა სხვადასხვა ჩარჩოს დახმარებით (იხ. დანართი);
ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით. შესაძლოა ეს კითხვები ბარათებზეც დაწეროს წინასწარ მასწავლებელმა და ბავშვებმა ყუთიდან რიგრიგობოთ ამოიღონ ან შესაძლოა თითოეულ იკითხვა ბავსვებმა წყვილებში დაამუშაონ და წარმოადგინონ პასუხები.
იონას დახასიათება (იხ. დანართი)
ზღაპარია, ლექსი თუ მოთხრობა?
მუშაობა მოსწავლის რვეულში.

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ბიძია იონა.
მოსწავლის რვეული: ბიძია იონა – სავარჯიშოები

გეზისმიმცემი კითხვები:
- რა ყოფილა დაბნეულობა?
- შენს თავს ხომ არ ამსგავსებ იონა ბიძიას?

- უშველა თუ არა იონას სიის ჩამოწერამ?
- შენ თუ ჩამოგიწერია სია?

აქტივობა 25:
„ანა-ბანა, ანა-ბანა“

ტექსტის სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმა.
ლექსის ხმამაღლა ინტონაციურად კითხვა.
ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა სახელმძღვანელოში, ტექსტის ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით.
ზღაპარია, ლექსი თუ მოთხრობა?
საიდან მიხვდი, რომ ლექსია?
ლექსის ილუსტრაცია.
მუშაობა მოსწავლის რვეულში.

გეზისმიმცემი კითხვები:
- საიდან მიხვდი, რომ ლექსია?
- კიდევ რომელი ლექსი ისწავლე?
- რა გრძნობა დაგეუფლა ლექსის კითხვისას?

რესურსი

მოსწავლის სახელმძღვანელო: ანა-ბანა, ანა-ბანა, მოსწავლის რვეული: ანა-ბანა, ანა-ბანა – სავარჯიშოები

აქტივობა 27:
ძალიან სახალისო თამაში

ბავშვები თამაშობენ სახელმძღვანელოში მოცემულ თამაშს, კითხულობენ ინსტრუქციას. ეს თამაში კიდევ უფრო მეტად შეამზადებთ მათ საბოლოო დავალებისთვის.

აქტივობა 26:
ჩემი კლასის წიგნი.

ბავშვები შერჩეული ტექსტის მოკლე შინაარს წერენ, რა თქმა უნდა, მასწავლებელი ეხმარება, აქვე აღნიშნავენ, რომელი ჟანრის ტექსტი შეარჩიეს.
მასწავლებელი ურჩევთ, რომ გაიხსენონ წერის სტრატეგიები, ჯერ „შავად“ დაწერონ, გადახედონ, ჩაასწორონ და შემდეგ გადაიწერონ ხელნაკეთ წიგნში. შეუძლიათ გააფორმონ, ილუსტრაციები გაუკეთონ, ბრჭყვიალებით, სტიკერებით მორთონ.
სანამ ყდას გააფორმებდნენ, მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეახსენებს და აჩვენებს, რა იწერება ყდაზე, როგორი შრიფტით და ასე შემდეგ.

როდესაც წიგნები მზად იქნება, შესაძლოა მშობლებიც მოიწვიონ და წარუდგინონ.

დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)

- როგორ ფიქრობ, რა გამოცდილება დააგროვე წიგნზე მუშაობისას?
- რომელი აქტივობები დაგეხმარა შინაარსის წერილობით გადმოცემაში?
- როგორ შეარჩიე ტექსტი? გაითვალისწინე თუ არა ჟანრი?
- როგორ შეურჩიე ალტერნატიული სათაური? რას გულისხმობს შენი სათაური?
- ტექსტის რა დეტალებზე დაყრდნობით მოიფიქრე სათაურის შენი ვერსია?
- როგორ ფიქრობ, შენ მიერ არჩეული ტექსტი უკავშირდება თუ არა შენს ცხოვრებას, პირად გამოცდილებას?
- თუ კი, როგორ?
- მოგეწონა თუ არა ამ დავალებაზე მუშაობა?
- აღწერე, რა გააკეთე და რა თანმიმდევრობით?
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ?

დამხმარე რესურსები:

გზამკვლევი მასწავლებლებისთვის – ქართული ენა და ლიტერატურა, აქ შეგიძლიათ შეარჩიოთ კითხვისა და წერის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიაც:

https://bit.ly/3IQDll4

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე:

https://bit.ly/2nYZoNT

ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები (სიტყვის, პერსონაჟის რუკები):

https://bit.ly/2RDgVeK

კითხვის სტრატეგიები

(კითხვის სტრატეგიები აღებული Usaid-ის მიერ მომზადებული კრებულიდან: კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე – https://bit.ly/3SLym9P)

ამ სტრატეგიას მივმართავთ, როდესაც გვინდა ბავშვები კითხვაში ვავარჯიშოთ, ვასწავლოთ მოსმენა და მოსმენილის გაგება.
ბავშვები დგებიან მატარებელივით, თითოეული ერთი ვაგონია,
უჭირავს ერთი და იგივე ტექსტი ან სახელმძღვანელო.
მასწავლებლის მითითებით (ტაშის დაკვრა, სასტვენი და ა.შ.) პირველი მოსწავლე
იწყებს ტექსტის ხმამაღლა კითხვას, დანარჩენები ყურადღებით უსმენენ მას და
თვალს ადევნებენ ტექსტს.
მასწავლებლის შემდეგ სიგნალზე მკითხველი წყვეტს კითხვას, გადადის რიგის
ბოლოს და კითხვას განაგრძობს მეორე მოსწავლე. თუ მოსწავლე ვერ შეძლებს
ტექსტის სათანადო ადგილიდან გაგრძელებას ან შეცდომით ამოიკითხავს სიტყვას,
ეთიშება თამაშს.
თუ ტექსტი დასრულდა, მოსწავლეები ხელახლა იწყებენ მის წაკითხვას. ასე
გრძელდება მანამ, სანამ მატარებელში მხოლოდ უშეცდომოდ მკითხველი
მოსწავლეები არ დარჩებიან.

ერთობლივი კითხვა და მისი ვარიაციები:

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობას.

საჩვენებელი კითხვა – მასწავლებელი საჩვენებელი კითხვის მეთოდის გამოყენებით ხმამაღლა და მკაფიოდ რამდენჯერმე უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს და კითხვისას ხელს გააყოლებს სიტყვებს.

ერთობლივი კითხვა – მოსწავლე და მასწავლებელი. მასწავლებლის მიერ საჩვენებელი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები მას გუნდურად აჰყვებიან იმ სიტყვებისა და ფრაზების წაკითხვისას, რომელთაც უკვე ცნობენ. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ხმამაღლა კითხულობს ტექსტს.

ერთობლივი კითხვა დამოუკიდებლად – მოსწავლეები ერთობლივად, მასწავლებლის ჩარევის გარეშე კითხულობენ ტექსტს (ზოგჯერ მასწავლებელი ხელს გააყოლებს წასაკითხ სიტყვებს). მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტივობა რამდენჯერმე განმეორდეს, ოღონდ იმგვარად, რომ მოსწავლეებისთვის სახალისო იყოს. ამისათვის მასწავლებელმა მარტივი, სახალისო მახასიათებლებით უნდა შეარჩიოს მკითხველები ყოველი მომდევნო წაკითხვისას (მაგ., წაიკითხონ მათ, ვისაც უყვარს შოკოლადი; მათ, ვისაც აქვთ ყავისფერი თვალები და სხვ.).

განვრცობის აქტივობები – მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტექსტის გარშემო. ეს შეიძლება იყოს საყვარელი მონაკვეთის ან კონკრეტული აბზაცის ილუსტრირება, „დამალული“ სიტყვების გახსენება კონტექსტის მიხედვით, არეული წინადადებებისა და სიტყვების დალაგება და სხვ.

შენიშვნა: ერთობლივი კითხვისათვის გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტიპის ტექსტები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი სირთულის, რათა ბავშვებში დემოტივაცია და იმედგაცრუება არ გამოიწვიოს.

ერთობლივი კითხვის ვარიაციები:

გუნდური კითხვა – მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად კითხულობენ ტექსტს. კითხვის პროცესში მასწავლებელი ხელის/ჯოხის გამოყენებით მიუთითებს წასაკითხ სიტყვებს.

ექოს ტიპის კითხვა – მასწავლებელი კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მოსწავლეები ერთხმად კითხულობენ მასწავლებლის მიერ წაკითხულს. ამგვარად იკითხება მთელი ტექსტი.

ქოროს ტიპის კითხვა – მასწავლებელი კლასს ყოფს ორ გუნდად. ტექსტის ერთ წინადადებას კითხულობს ერთი გუნდი, მომდევნო წინადადებას – მეორე გუნდი. ამგვარად, ქოროს პრინციპით, იკითხება მთელი ტექსტი.

დანართი (წინასაანბანო პერიოდი)

სიტყვებისა და დიდი წიგნების ბარათები

ყველა რომ ასე მოიქცეს

ლუკამ კიბე აირბინა და საკლასო ოთახში შევიდა. გაკვეთილი ოცი წუთის დაწყებული იყო.

– ბოდიში, მასწავლებელო. ადრე ვერ გავიღვიძე.

– დასვენებაზე მასწავლებელმა ლუკას ჰკითხა:

– ლუკა, აბა, წარმოიდგინე, ყველა რომ ასე მოიქცეს, ყველამ რომ დააგვიანოს, რა იქნება?

ლუკამ წარმოიდგინა, როგორ დგას ცარიელ საკლასო ოთახში და არ მოეწონა.

– დღეს ჩემთან მოხვალ? ახალი ფაზლი მაქვს – ეკითხება ლუკა მეგობარს გაკვეთილზე.

დასვენებაზე მასწავლებელი ლუკას კვლავ შეეკითხა:

– ლუკა, ყველა რომ ასე მოიქცეს, რა იქნება? – ლუკამ ისევ წარმოიდგინა, როგორ ელაპარაკებიან ბავშვები ერთმანეთს გაკვეთილზე, ზოგი მასწავლებელს მასავით ზურგს აქცევს, ზოგი სულაც ფეხზე დგება და მეგობართან სალაპარაკოდ ოთახის მეორე ბოლოში მიდის. კლასში ხმაურია. ლუკას ეს არ მოეწონა.

გაკვეთილზე ლუკას ძალიან მოშივდა. სენდვიჩი ამოიღო და ჭამას შეუდგა.

დასვენებაზე მასწავლებელმა კვლავ ჰკითხა:

– ლუკა, ყველა რომ ასე მოიქცეს, რა იქნება?

– ლუკამ წარმოიდგინა, როგორ იწყებენ ყველანი ჭამას გაკვეთილზე, წიგნები და რვეულებიც საჭმლითაა დასვრილი, იქაურობა საკლასო ოთახს კი არა, არეულ სასადილოს უფრო ჰგავს. ლუკას ეს არ მოეწონა.

– გაკვეთილის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა მოსწავლემ თავისი მერხი გაასუფთავა ფურცლებისა და ფანქრების ნარჩენები პირდაპირ ძირს დაყარა. ლუკამ ეს დაინახა თუ არა, წარმოიდგინა, საკლასო ოთახში მიმოფანტული ნარჩენები, იმდენი ფურცელი და ფანქარი, რომ იატაკიც კი აღარ ჩანდა. ლუკას ეს არ მოეწონა.

ლუკა მეგობართან მივიდა მივიდა და უთხრა:

– ყველა რომ ასე მოიქცეს, აქაურობა რას დაემსგავსება? მოდი, დავალაგოთ.

მასწავლებელმა შენიშნა, ლუკა როგორც მოიქცა. მოეფერა და შეაქო:

– ყოჩაღ, ლუკა, – მერე კი ჩაეხუტა.

– მასწავლებელო, ყველა რომ ასე მოიქცეს? – და ლუკამ წარმოიდგინა, როგორ აქებენ ერთმანეთს ადამიანები კარგი საქციელისთვის, მერე კი ისე თბილად ეხუტებიან, ისე თბილად, როგორც ახლა მას მასწავლებელი ჩაეხუტა. ლუკას ეს ძალიან, ძალიან მოეწონა.

– ყველა ასე უნდა მოიქცეს! – თქვა ლუკამ.

ნიკა და მაია ჟოლოს საკრეფად ტყეში წავიდნენ. მათ ხელში ჯოხები ეჭირათ.

ტყეში სუფთა ჰაერი იყო. ბავშვებს პირი ჟოლოთი მოეთხუპნათ.

უცებ ბუჩქებიდან კურდღელი გამოხტა.

პატარებს მგელი ეგონათ და ძალიან შეეშინდათ.

新豐美酒斗十千咸陽遊俠
多少年相逢意氣爲君飲
繫馬高樓垂柳邊獨在
異鄉爲異客每逢佳節倍
思親遙知兄弟登高處遍插
茱萸少一人渭城朝雨裛輕
塵客舍青青柳色新勸君更
進一杯酒西出陽關無故人盡
爲政心閑物自閑朝看飛鳥
暮飛還寄書河上神明宰羨
爾城頭姑射山清朗月若相思
蕩子從戎載十餘征夫日殷勤
祝歸鴈來數附書寄韓鵬李

ინგლისური ტექსტი

What am I?

I live in a cage. I like cheese and I like nuts. I don’t like cats.

I’ve got big ears and a long tail. My fur is white. I can run very fast but I can’t fly.

My friend is a girl. Her name is Sue. She’s got long, fair hair. She’s got a scooter. She can swim and she can play the piano.

ებრაული ტექსტი

هو أحد أنظمة التحقق الهامة المستخدمة من قبل عدد كبير من
ونية ومواقع الويب من الاختراق من قبل البرامج النصية الآلية
، الصوت من أقدم أنواع الكابتشا المقترحة التي ثبت أنها لاتعطي
على الصور لمعالجة أوجه القصور في الكابتشا المقترحة مسبقاً.
ان المستخدم إنسان حقيقي أم برنامج ضار. نظراً لأهميتها؛ فلابد
التي تواجه أمنها. يهدف هذا المشروع إلى استكشاف مدى قوة
المقدمة من قبل الكابتشا القائمة على الصور بأقل تدخل البشري
ء وذلك من خلال المقارنة بين النماذج التي تم إنشاؤها بواسطة

ზაფხულია. ნიკა და მაია ბებოსთან და პაპასთან არიან.
ბებოს და პაპას სახლი ტყის პირას დგას.
ნიკა და მაია ჟოლოს საკრეფად მიდიან.
ტყეში სუფთა ჰაერია. ჩიტები ჭიკჭიკებენ.

ნიკა და მაია ჟოლოს კრეფენ. თან ჭამენ.

ნიკას სახე მოეთხუპნა. მაია იცინის.

უცებ ბუჩქებიდან კურდღელმა ისკუპა. ბავშვებს მგელი ეგონათ და ძალიან შეეშინდათ.
შეშინებულმა კურდღელმაც ტყისკენ მოკურცხლა. ვინ მიასწრებს შინ მისვლას?

საღამოა. ნიკა, მაია და ბებო ჰამაკში სხედან. ბებო დიდ წიგნს უკითხავს ბავშვებს. ნიკა და მაია ტყის ამბებს ისმენენ.



३७

კუ



იყო ერთი ტრაბახა კურდღელი და
ძალიან დინჯი კუ.
ერთხელ კუ და კურდღელი
წაკინკლავდნენ.
– მე სწრაფი კურდღელი ვარ! – თქვა
კურდღელმა.
– მე უფრო სწრაფი კუ ვარ! – თქვა კუმ.
– მოდი, შევეჯიბროთ!



ტყეში ყველას აინტერესებდა, ვინ
მოიგებდა – კუ თუ კურდღელი?
კურდღელი გზას დაადგა. კუც დაიძრა.



კუ არ ჩერდება.
– ეს კუ ისე ნელა დადის, მაინც ვაჯობებ. მოდი, ცოტას წავუძინებ, – თქვა კურდღელმა და ხის ძირას მიიძინა.



– ვაი, კუ უკვე ფინიშთანაა.
– მოდი, მეგობარო, – უთხრა
კურდღელს კუმ და დაელოდა.
კუ და კურდღელი ერთად მივიდნენ
ფინიშთან.

ბუ

ბუ

ბაიყუშთან ბუ ზის,
სტუმრად ჭოტი უზის,
და ისეთი სიჩუმეა,
ფრენა ისმის ბუზის.

სამივეა ბუტუსურა,
გაცინება უჭირთ...

ɒɔ

ხე



დადგა ნოემბერი. ფრინველები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. ერთმა შოშიამ ფრთა მოიტეხა და ამხანაგებს ვერ გაჰყვა.

ფრთამოტეხილი შოშია მუხის ხესთან მიფრინდა:
– მუხავ, შენ ძლიერი ხე ხარ, შეიძლება, ზამთარი შენს ტოტებზე გავატარო?
– მალე ფოთლები დამცვივდება და ჩემი ტოტები ბინად არ გამოგადგება, – მიუგო მუხის ხემ.

დალონებული ჩიტუნა ცაცხვის ხეთან მიფრინდა:
– შეიძლება ზამთარი შენს ტოტებში გავატარო?
– ფოთლები მეც ჩამომცვივა და სიცივისაგან ვერ დაგიფარავ, – მიუგო ცაცხვის ხემ.
საბრალო შოშია ძალიან დალონდა.

– მოდი ჩემთან, ჩიტუნია, – ალერსით აჩურჩულდა ნაძვის ხე, – ჩემთან გაატარე ზამთარი.
მალე ცივმა ქარმა დაუბერა. მუხისა და ცაცხვის ფოთლები ქარს აქეთ-იქით მიჰქონდა. ნაძვის ხეს კი მთელი ზამთარი წიწვი არ გასცვენია და შოშიას სითბო არ მოჰკლებია.

৩১

ცა

ცა ლურჯია. ცაზე მზეა. როცა ცუდი ამინდია, ცა ღრუბლებით იფარება. დღეს ულრუბლო ცაა. გვიხარია მაღლა ცა, დაბლა ტყე...

ღამის ცა ვარსკვლავებით არის სავსე.
მთვარემ ცა გაანათა.
ცას ვარსკვლავი მოწყდა, სურვილი
ჩაიფიქრე.



ə ʒ ŋ

მზე

ერთხელ მზე და წვიმა წაიჩხუბნენ:
– მე ვაშუქებ, – თქვა მზემ.
– მე ვრწყავ, – თქვა წვიმამ.
– შენი წვიმა ატალახებს ყველაფერს.
– შენ კი ყველაფერს წვავ.

– მე ვამწიფებ ხილს, – თქვა მზემ.
– მერე რა, რომ ამწიფებ, უჩემოდ
გადახმებოდა ბაღები და ბოსტნები და
რაღას გაახარებდი?
დიდხანს კამათობდნენ მზე და წვიმა
და ბოლოს მიხვდნენ, რომ კამათს ისევ
შეთანხმება სჯობდა.



ᠬᠢᠶᠠ

თხა



იყო ერთი ზარმაცი გიგო. ერთხელ გამოვიდა სახლიდან, გამოიტანა წიგნი და ჩამოჯდა კუნძზე. დაიდო წიგნი მუხლებზე, ვითომ ერთი შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო. წიგნი უკულმა ედო, არ კითხულობდა და შიგ ტყუილად იყურებოდა.



მალე ძილი მოერია და თავის ქნევა დაიწყო. ამ დროს მეზობლის თხა ფეხების ბაკუნითა და წვერის ცანცარით გამოვიდა. გიგოს თავის კანტური რომ დაინახა, თხას ეგონა, მეთამაშება და ჭიდაობაში მიწვევსო, გამოექანა და ყირამალა გადაატრიალა ჩვენი თავმომწონე გიგო.

სკა

სკა



ეს არის სკა. სკა ფუტკრის სახლია.
ფუტკარი ნექტარს აგროვებს და სკაში მიაქვს.
ფუტკარმა სახლი ხეზე გაიკეთა.

მეფუტკრემ ფუტკარს სკა აუგო.



ᨿᨶᨾ

მთა



ეს არის დიდი მთა. ეს კი პატარა მთაა.
პატარა მთას ძალიან უყვარს დიდი მთა
და სულ მასავით იქცევა. შეჰყურებს,
როგორ ახურავს დიდ მთას ღრუბლების
ქუდი და ოცნებობს, დროზე გაიზარდოს,
რომ მასაც თავზე გადმოეფარონ ქათქათა
ღრუბლები.
ნეტავ, მალე თუ გაიზრდება პატარა მთა?



ᑎᔑ

ია



აი ია, აი ია,
რა ლამაზი ყვავილია,
მინდორშიაც, ბალჩაშიაც,
ჩემს წიგნებშიც ყვავის ია!

gos

ჭია



გამოიცანი, ეს რა ხეა?
ეს არის თუთის ხე. რას ხედავ თუთის ფოთოლზე? ეს არის ჭია. ჩვეულებრივი ჭია არ გეგონოთ, ეს არის აბრეშუმის ჭია.

რას აკეთებენ მწერები? ფუტკრები დაფრინავენ ყვავილებზე და ნექტარს აგროვებენ, ჭიანჭველები ფუსფუსებენ და მარცვლეულს აგროვებენ. რას აკეთებს აბრეშუმის ჭია? ფოთლიდან ფოთოლზე მიღოღავს და ჭამს და ჭამს.



ახლა რას აკეთებს აბრეშუმის ჭია?
თავისთვის სახლს იქსოვს – აბრეშუმის
პარკს. ქსოვს და ქსოვს. იმდენს ქსოვს,
პარკში გამოიკეტება. დაღლილ-
დაქანცული ჭია ტკბილად იძინებს.



გადის დღეები. ჭია თვალს ახელს, ილვიძებს, გარეთ გამოსვლას ცდილობს. უცებ პარკიდან ულამაზესი პეპელა ამოფრინდება. მსუნაგი ჭია ლამაზი პეპელა გამხდარა.



ʤɜˢ

ქვა

ეს კაჭკაჭია. კაჭკაჭს უყვარს ბრჭყვიალა ნივთები. კაჭკაჭმა ნატოს პატარა ბრჭყვიალა შუშის ქვა მოჰპარა.

ეს ნატოა. ნატო ფერად ქვებს აგროვებს.
ნატომ ზღვაზე ბევრი ქვა შეაგროვა და
ფერადი ორნამენტებით მოხატა.
აბა, შენც სცადე და მოხატე ქვა.

სკამი

სკამი



ტყეში სამი დათვი ცხოვრობდა. ერთხელ სასეირნოდ რომ წავიდნენ, ერთი ცელქი გოგონა, სახელად მართა, შეიპარა მათ სახლში.



მართა ჯერ მამა დათვის სავარძელში ჩაჯდა.
– ეს ძალიან მაგარია! – თქვა მან.

შემდეგ დედა დათვის სავარძელში ჩაჯდა.
– ეს კი ძალიან რბილია! – თქვა მან.

– ეს ყველაზე კარგია! – ბოლოს შვილი დათვის პატარა სკამზე მოკალათდა მართა.

მაგრამ უცებ გაისმა ჭახანი, სკამი დაიმტვრა და მართამ ძირს მოადინა ზღართანი.

საწყალი პატარა დათვი! სკამის გარეშე დარჩა. მამა დათვს საქმე გამოუჩნდა...



ქვაბი

ქვაბი

გოგონას ერთხელ ტყეში ერთმა
დედაბერმა ჯადოსნური ქვაბი აჩუქა.
– როგორც კი ეტყვი, ქვაბო ათუხთუდი,
მაშინვე ტკბილი და გემრიელი ფაფის
ხარშვას დაიწყებს.
– როგორც კი ეტყვი, ქვაბო შეწყვიტე,
მაშინვე შეწყვეტს ფაფის ხარშვას.

გახარებული გოგონა შინ გაიქცა.
ქურაზე ქვაბი შემოდგა და თან შეუძახა:
– ქვაბო, ათუხთუხდი!
და, ჰოი საოცრებავ! ქვაბი გემრიელი
ფაფით აივსო.

ერთხელ გოგონა შინ არ იყო. დედას მოშივდა და ქურაზე ქვაბი შემოდგა. აივსო ქვაბი ფაფით. დედას უნდა ეთქვა „ქვაბო შეწყვიტეო“, მაგრამ ჯადოსნური სიტყვები ვერ გაიხსენა. ქვაბი კი ხარშავდა და ხარშავდა. ცხელი ფაფა ირგვლივ მდინარესავით მიედინებოდა.

კიდევ კარგი, გოგონა მალე დაბრუნდა. დაინახა თუ არა ფაფით სავსე ქუჩა, მაშინვე დაიყვირა:

– ქვაბო, შეწყვიტე!

ქვაბმაც მაშინვე შეწყვიტა ხარშვა. თუმცა უკვე იმდენი გადმოსულიყო, ფაფის ჭამით თუ გაიკვლევდნენ გზას. მაგრამ ისეთი ტკბილი და გემრიელი ფაფა იყო, რომ ამის გამო არავინ წუწუნებდა.



ბუდე

ბუდე

სოფელში ჩემს ფანჯარასთან ჩიტმა ბუდე ააშენა. ჯერ ტალახი მოზიდა, მერე თივა და ნელ-ნელა უცნაური ბუდე ამოაშენა.



მე და ნიკა ყოველ დილით მივდიოდით ფანჯარასთან და ვუყურებდით, როგორ ამრგვალებდა ჩიტი თავის უცნაურ ბუდეს და შიგ შესაძრომად პატარა ხვრელს ტოვებდა.

გუშინ ნიკამ თავის პლანშეტში კოლიბრის ბუდე მაჩვენა. ბუდე ისეთი პატარა იყო, სარეცხის სარჭზეც კი დაეტეოდა.

მე და ნიკამ გადავწყვიტეთ ხის პატარა სახლი გავუკეთოთ ჩიტებს და ლამაზად მოვხატოთ. მამა დაგვეხმარება. ჩიტების სახლს სკოლის ეზოში ხეზე დავკიდებთ. ბუნების მასწავლებელს ძალიან მოეწონება. ნეტავ ჩიტებს თუ მოეწონებათ ჩვენი გაკეთებული სახლი? ალბათ, იფიქრებენ, ეს რა უცნაური ბუდეაო.

სიტყვების ბარათები პირველი კომპლექსური დავალებისთვის

კუ

ბუ

ხე

ცა

მზე

თხა

სკა

მთა

ია

ჭია

ქვა

სკამი

ქვაბი

ბუდე

დანართი

მოსასმენი ტექსტები და მოძრავი ანბანი დაფასთან სამუშაოდ საანბანო პერიოდისთვის





๑ ๓

๖ ๘



6

3

3

9







ᨣ

ᨠ

ᨡ

ᨢ

ɓ

ɗ

ɓ

ʒ

Cw

მოსასმენი ტექსტები (საანბანო პერიოდი)

ა, ი, მ, ს

აი ია

გაიცანით, ეს ექვსი წლის მაიაა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მეტად მშობლები და უმცროსი ძმა – მათე უყვარს. და კიდევ: მაიას ძალიან, ძალიან უყვარს მათი ოჯახის ყველაზე მხიარული და ონავარი წევრი – თეთრი ძაღლი, მიმი.

დღეს მზიანი ამინდია. თბილა. ყველა ეზოში გამოფენილა. მაია და მიმიც ეზოში არიან და ბავშვებთან ერთად ერთობიან. მაია დროდადრო გზისკენ აპარებს თვალს. მალე ხომ სამსახურიდან მამა უნდა დაბრუნდეს.

– მამა, მამა! – ყვირის მაია, როგორც კი მამას ამჩნევს, და მისკენ გარბის. მამა მაიას ქოთანში ჩარგულ ლამაზ ყვავილს უწვდის და ღიმილით ეუბნება: აი ია. დღეს ყვავილებს ვუღებდით ფოტოებს და ია რომ დავინახე, ვიფიქრე, მოგეწონებოდა.

მაიას მამა ფოტოგრაფია. ხან ადამიანებს უღებს ფოტოებს, ხან – მცენარეებს, ხან – წიგნებს, ხან – შენობებს, ხან კიდევ – მიმის, რომელიც კამერის წინ ყველაზე მეტს ჭირვეულობს.

– რა ლამაზი საჩუქარია! გმადლობ, მამიკო! – უხარია მაიას. – რა მშვენიერი ყვავილი ყოფილა ია!

- **შენ რა საჩუქარი გაგიხარდება ყველაზე მეტად? საჩუქრის მიღებისას მადლობის თქმა ხომ არ გავიწყდება?**

დ

მამა და მამიდა

მაიას ძალიან უყვარს სტუმრები. სულ კარისკენ უჭირავს თვალი, ვინმეს მოსვლა რომ არ გამოეპაროს. ახლაც მთელი საღამო ცქმუტავდა. იცოდა, რომ მათთან მამიდა ესმა უნდა მოსულიყო, და უნდოდა, პირველი შეჰგებებოდა.

კარზე კაკუნი გაისმა თუ არა, მაიამ კარი გააღო და, გახარებული, მამიდას ჩაეხუტა. სიხარულისგან მიმიც კუნტრუშით დაბზრიალდა.

– მგონი, ამასაც უნდა მივესალმო, – გაიცინა მამიდამ. – მიმი, გამარჯობა, როგორ ბრძანდები?

– ჰამ, ჰამ! – არ დაიბნა მიმი.

მამიდა ესმა მაიას მიუბრუნდა და დაარიგა:

– იცოდე, სხვა დროს კარი ასე დაუფიქრებლად არავის გაუღო. ის მაინც გეკითხა, ვინ ვიყავი.

– ვიცოდი, რომ შენ იყავი, – თავდაჯერებულად უპასუხა მაიამ, მერე კი ეშმაკურად გაიცინა: – კარზე მარტო შენ აკაკუნებ, სხვები ზარს რეკავენ ხოლმე.

მამიდა ამ პასუხს არ ელოდა და დაბნეული მაშინვე თავის მართლებას მოჰყვა:

– რა ვქნა, არ მიყვარს ეს ზარი. კარია, ტელეფონი ხომ არა?!

- **შენ როგორ ესალმები ნაცნობებს?**

ე

დედა და მამიდა

დედა და მამიდა ესმა სამზარეულოში სხედან და ყავას მიირთმევენ.

– ნინო, მათემ ცალი წინდა დაკარგა, – შემოდის სამზარეულოში მამა მათესთან ერთად.

– სამაგიეროდ, მიმიმ იპოვა, – ამბობს მამიდა ესმა და სიცილით ანიშნებს მიმიზე, რომელიც იქვე მათეს წინდას ეძიძგილავება.

– რაც მაია სკოლაში შევიდა, ველარ იცლის და მიმიმ ძალიან მოიწყინა, – ამბობს დედა.

– სკოლაში მიმიც ხომ არ შეგვეყვანა? – ხუმრობით კითხულობს მამა.

– მიმი ჩემია, – ლუღლუღებს პატარა მათე.

- **შენ თუ გყავს შინაური ცხოველი? მოჰყევი მასზე სასაცილო ამბავი.**

ო

ასო „ო“

მაიამ იმეცადინა თუ არა, ეზოში ჩავიდა და ბავშვებს შესთავაზა, სკოლობანა ვითამაშოთო.

– მე მასწავლებელი ვიქნები, – გამოაცხადა მაიამ, ფურცლებზე ასოები დაწერა, ფურცლები კი ხეზე გააკრა და ბავშვებს გამოუცხადა:

– ბავშვებო, აქ სამი ასოა. აბა, ეს რომელი ასოა?

– ოოო, – ერთხმად უპასუხეს პატარებმა.

– მაია, ამოდი! – თამაში დედამ შეაწყვეტინა, – ბებიასთან მივდივართ, – გადასძახა ფანჯრიდან.

– ახლა მასწავლებელი ვარ, დე, არ მცალია. – აწუწუნდა მაია.

– ვითომ ზარი დაირეკა, მას, – იხუმრა ერთ-ერთმა „მოსწავლემ“, სოფომ. – დღეს სამი ასო ვისწავლეთ. რა მაგარიაა!

- **მოჰყევი, შენ თუ გითამაშია სკოლობანა? როგორ?**

რ

დიდი მორი

ეზოში ბავშვები ისევ სკოლობანას თამაშობენ. მაიას ახალი ასოები და ნახატები გამოუკრავს ხეზე.

– აქ ხატია მორი, – ამბობს მაია და შემდეგ მეორე ფურცელზე უთითებს: – აქ წერია რ.

– რრრრ... – იმეორებს ანა.

– აი, ორი მორი, – იცინის დათო.

– მოდი, დავისვენოთ, – წუწუნს ნიკა, – ახლა სხვა რამე ვითამაშოთ.

ბავშვები დამალობანას თამაშს იწყებენ. სოფო იხუჭება, სხვები იმალებიან.

– მაია, გხედავ, გხედავ! – ყვირის სოფო და მაიას ხელს უქნევს.
– აბა, როგორ მხედავ?! – ბუზღუნებს მაია. – დიდი მორის უკან ვდგავარ!
– ეგ მორი კი არა დიდი ხეა. მიმიმ მაპოვნინა შენი თავი! – იცინის სოფო.

- **კიდევ რას თამაშობ ხოლმე მეგობრებთან ერთად? გაგვაცანი შენი საყვარელი თამაშის წესები.**

ნ

ნოდარი და ნინო

მაია და მისი მშობლები სამზარეულოში საუზმობენ. მათეს ჯერ არ გაუღვიძია.

– დედა, ნინო რატომ გქვია? ვინ დაგარქვა? – ეკითხება მაია დედას.
– ჩემს ბებიას ერქვა, – უხსნის დედა.
– მამა, შენ ვინ დაგარქვა ნოდარი? – ახლა მამას ეკითხება მაია.
– ჩემს ბაბუას ერქვა, – პასუხობს მამა.
– მე ვინღა დამარქვა მაია? – უკვირს გოგონას.
– ჩვენ დაგარქვით, – უღიმის დედა. – ეგ სახელი ორივეს ძალიან მოგვწონდა.
– ისე, არ შეიძლება მეორე სახელიც მქონდეს? – ინტერესით კითხულობს გოგონა და განაგრძობს: – მაგრამ უკვე ყველამ იცის, რომ მაია მქვია. თან მეორე სახელი მაინც ვერ მოვიფიქრე. კიდევ კარგი, მაია მაინც დამარქვით. – მაიას მშობლები ერთმანეთს შეჰყურებენ და ჩუმჩუმად ეღიმებათ.

- **შენ ვისი სახელი გქვია? ვინ დაგარქვა?**

თ

ათი საათია

საღამოს ათი საათია. მაიას ძილის დროა. გოგონა უკვე საწოლში მოკალათებულა, მამა კი მის საწოლთან ჩამომჯდარა წიგნით ხელში. მეორე ოთახიდან იავნანას ხმა ისმის – დედა მათეს აძინებს.

– რა კარგი ზღაპარი იყო, მამა. კიდევ წამიკითხე, რა, – სთხოვს მაია მამას.
– უკვე გვიანია. ხომ გახსოვს, ხვალ ადრე უნდა ადგე.
– გეხვეწები, კიდევ ერთი პატარა ზღაპარიც წავიკითხოთ და დავიძინებ, – არ ისვენებს მაია. მიმი ყეფს. – აი, ხედავ? მიმისაც უნდა ზღაპარი, – იცინის გოგონა.
– კარგი, კარგი, ერთიც და მერე აუცილებლად დაიძინებ. – პასუხობს მამა და წიგნს მომდევნო გვერდზე ფურცლავს.

- **შენი საყვარელი წიგნი რომელია?**

ვ

დედა მოვიდა

დედა სამსახურიდან ნაადრევად დაბრუნდა. მამა უკვე შინ იყო და მათეს ეთამაშებოდა.

– რა კარგია, ყველა ერთად ვართ! – ბედნიერი მაია დედას ეხუტება.

– ჰოდა, ავდგეთ და სასეირნოდაც ერთად წავიდეთ, – აფიქრდება დედას. მიმი მაშინვე მხიარულად იწყებს ყეფას.

– მიმი უკვე თანახმაა, – იცინის მამა. – და არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი.

– მარტო სეირნობა? – ეშმაკურად კითხულობს მაია. – ნაყინი არ იქნება?

– რა თქმა უნდა, იქნება, – უღიმის დედა და გოგონას გულში იკრავს.

- **შენ სად გიხარია წასვლა ოჯახთან ერთად?**

უ

მიმი და უთო

მთელი ოჯახი შინაა. მამა სამზარეულოშია და ყავას იმზადებს. მაია მეცადინეობს, დედა კი რაღაცას ეძებს.

– მაია, უთო სად არის? ხომ არ გინახავს? – ეკითხება ბოლოს გოგონას.

– არ ვიცი, – მხრებს იჩეჩს მაია.

დედა უთოს მთელ სახლში დაეძებს. ბოლოს და ბოლოს კი ამჩნევს, რომ უთო მიმის საწოლის ქვეშ შეუთრევია.

– აი, სად ყოფილა! – ოხრავს დედა.

მათეს ძალიან უნდა, დედას დაეხმაროს, და მაშინვე საწოლის ქვეშ ძვრება. მაგრამ მიმი უთოს არ თმობს.

– მგონი, მიმის ახალი სათამაშო სჭირდება! – ხუმრობს მამა.

- **შენ ეხმარები ოჯახის წევრებს? გვიამბე ერთი შემთხვევა.**

კ

ნიკა და მაია

დილაა. სკოლაში წასვლის დროა. კარზე კაკუნია. მაიას დედა კარს აღებს და ნიკას ესალმება. ნიკა მათი მეზობელი და მაიას კლასელია. ნიკა და მაია სკოლაში ყოველთვის ერთად მიდიან.

– დილა მშვიდობისა, ნინო დეიდა. – ამბობს ნიკა. – მაია არ მოდის სკოლაში?

– მოვდივაარ, – კართან ჩნდება მაიაც და წუთის შემდეგ ბავშვები კიბეზე ჩარბიან.

ნიკა ჯიბიდან კანფეტებს იღებს და მაიას უწვდის.

– დღეს კარამელის კანფეტები წამოვიღე, – ეუბნება ღიმილით. – თან ნახე, წითელია!

– წითელი ჩემი საყვარელი ფერია! გმადლობ! – მაია ნიკას კანფეტებს ართმევს. – ახლა სკოლაში წასვლა კიდევ უფრო მიხარია!

- **შენ ვისთან ერთად მიდიხარ სკოლაში? მანქანით მიდიხარ თუ ფეხით? მოგვიყევი ამის შესახებ.**

ლ

სკოლა

ეს მაიას და ნიკას სკოლაა. ზარი ჯერ არ დარეკილა, ამიტომ ბავშვები სკოლის ეზოში დგანან. სკოლაში შესვლამდე მაია ჩანთაში რაღაცას ეძებს.

– მგონი, კალამი დამრჩა, – წუხს გოგონა.

– არ იდარდო, მე გათხოვებ, – ამშვიდებს ნიკა. – ნახე, ლელა მოვიდა. წამოდი, დავეხმაროთ. – ანიშნებს მაიას თანაკლასელზე.

ლელა სკოლაში მამას მოჰყავს ხოლმე ეტლით.

– სანდრო ძია, ლელას ჩვენ წავიყვანთ, – სთავაზობს მაია ლელას მამას.

– გმადლობთ, ბავშვებო. აბა, თქვენი იმედი მაქვს.

- **შენ როგორ ეხმარები თანაკლასელებს? გაიხსენე ერთი შემთხვევა.**

გ

გაკვეთილის მერე

ბუნების გაკვეთილი დასრულდა, ზარი დაირეკა და ყველანი შინ წავიდნენ. კლასში მხოლოდ მაია, ნიკა და ლიზი არიან. დღეს მათი ჯერია – კლასი უნდა მოაწესრიგონ.

– შენმა ზაზუნამ კლასი სულ აგვირია, – ეუბნება ნიკა ლიზის, რომელსაც ბუნების გაკვეთილზე თავისი ზაზუნა მოეყვანა.

– ჰო, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუ ძალიან მხიარული ზაზუნაა და ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, – იცინის ლიზი.

ბავშვები კლასს ალაგებენ და დერეფანში გამოდიან.

– კარგად, ზაზუნა, – ემშვიდობება მაია ზაზუნას და სიცილით ტუქსავს: – იცოდე, მეორედ კლასი აღარ აგვირიო.

- **შენ როგორ აწესრიგებ შენს საკლასო ოთახს?**

ქ

მაიას ქოლგა

მოწყენილი მაია სკოლის ფანჯრიდან გაჰყურებს ქუჩას. გარეთ საშინელი ამინდია – წვიმს და ძლიერი ქარი ქრის.

„ნეტავ დედასთვის დამეჯერებინა, – ფიქრობს მაია. – თბილად უნდა ჩამეცვა და ქოლგა წამომეღო! მამაც აღარ გაწვალდებოდა“.

გოგონა მამას ელოდება, რომელმაც მანქანით უნდა მოაკითხოს და შინ წაიყვანოს.

მამას მანქანა მალე სკოლასთან ჩერდება. მაია მანქანაში ჯდება თუ არა, მაშინვე პირობას დებს:

– ამიერიდან ქოლგას სახლში აღარასოდეს დავტოვებ, მამიკო.

– თან ეს ქოლგა, მგონი, ძალიან შეგიყვარდება, – მამა გოგონას ახალ ქოლგას უწვდის, რომელიც საჩუქრად უყიდა. ქოლგა წითელია და ძალიან ლამაზი.

– ძალიან მომწონს! მადლობა, მამა. დღეიდან სულ ამ ქოლგით ვივლი. – უხარია მაიას.

- **შენ უჯერებ მშობლებს? ითვალისწინებ მათ რჩევებს?**

შ

შვიდი ვაშლი

მათემატიკის მასწავლებელი დაფასთან დგას. დაფაზე კი პლაკატია გაკრული, რომელზეც შვიდი ვაშლი ხატია.

– ბავშვებო, მოდით, ერთად დავითვალოთ, აქ რამდენი ვაშლია, – ანიშნებს მასწავლებელი ბავშვებს მაგიდაზე ჩამწკრივებულ ვაშლებზე.

– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, – ხმამაღლა ითვლიან ბავშვები.

უცებ მაია ფანჯრიდან ხის ტოტზე შემომჯდარ შავ ჩიტს ამჩნევს და მისკენ თითს იშვერს:

– მასწავლებელო, შეხედეთ, ჩიტი!

– ეს შაშვია, – უხსნის მასწავლებელი.

– ისე გვიყურებს, მგონი, ვაშლი უნდა, – იცინის მაია.

– ან მათემატიკა აინტერესებს, – ამატებს ნიკა.

- **შენ გიყვარს მათემატიკა? სადამდე შეგიძლია დათვლა?**

ჩ

ჩვენი კლასი

მაიას კლასი შემოდგომის დღესასწაულს აღნიშნავს. ბავშვებს საკლასო ოთახი უკვე მოურთავთ. ზოგმა ხმელი ფოთლები მოიტანა და საშემოდგომო დეკორაციები ააწყო, ზოგმა – ჩირი, ზოგმა კიდევ – ნაირ-ნაირი ხილი. ბავშვებმა

მასწავლებლის დახმარებით ჩურჩხელებიც კი ამოავლეს.

– ჩვენს კლასში ნამდვილი შემოდგომაა, – უხარია მაიას.

ნიკა ახალამოვლებულ ჩურჩხელებს დასტრიალებს თავს, ერთი სული აქვს, პირი ჩაიტკბარუნოს. მაია ამჩნევს და მეგობარს სიცილით აფრთხილებს:

– ნიკა, აცადე, გაცივდეს, თორემ პირი დაგეწვება.

– უჰ, სათქმელად რა ადვილია?! ვეღარ ვითმენ! ნეტავ მალე გაცივდეს! – ნატრობს ნიკა.

- **წელიწადის რა დროა ახლა? როგორ შეიძლება მორთო კლასი წლის ამ დროს? მოიფიქრე იდეები და შეეცადე, განახორციელო კიდეც.**

ტ

დიდი ტორტი

დღეს მაიას დაბადების დღეა. შვიდი წლის გახდა. გოგონამ გაკვეთილების შემდეგ მასწავლებელი და კლასელები კაფეში დაპატიჟა. დაბადების დღის კაფეში აღნიშვნა მისი ოცნება იყო.

დედამ მაიას დიდი ტორტი მოართვა, რომელზეც შვიდი სანთელი ენთო.

– რა ლამაზი დღეაა... – იმღერა ყველამ ერთხმად, მაიამ კი სანთლები ჩააქრო.

– ეს ჩემი საუკეთესო დაბადების დღეა! – სიხარულს ვერ მალავდა მაია.

– შენ შარშანაც მაგას ამბობდი, – გაეხუმრა ნიკა.

– ეგ იმიტომ, რომ შარშან არ ვიცოდი, წელს როგორი დაბადების დღე მექნებოდა.

- **შენ როდის გაქვს დაბადების დღე? სად და ვისთან ერთად გინდა, რომ აღნიშნო?**

ბ

მაია და ბალეტი

სკოლის სტადიონზე ბავშვები შეკრებილან და ფეხბურთს თამაშობენ. მაიაც მათთან ერთადაა და თამაშით ისეა გართული, სულ აღარ ახსოვს, ბებიამ ბალეტზე რომ უნდა წაიყვანოს.

– მაია, ბალეტზე დაგაგვიანდება, – ეძახის ბებო გოგონას. მაია ბებიას ხალისით მიჰყვება და მთელი გზა ენას არ აჩერებს:

– ბებო, იცი, ფეხბურთს რა კარგად ვთამაშობ?! შენ გითამაშია ფეხბურთი? ისე, რომელი გირჩევნია, ბალეტი თუ ფეხბურთი? მე ორივე ძალიან, ძალიან მიყვარს.

– მე ყველაფერს ჩოგბურთი მირჩევნია, – იღიმის ბებია.

- **შენ რის წრეზე დადიხარ სკოლის შემდეგ?**

ფ

ფერადი ფოთლები

კლასში სრული სიჩუმე იდგა. სულგანაბული ბავშვები მასწავლებელს უსმენდნენ. მოულოდნელად ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ღია ფანჯრიდან კლასში ფოთლები შემოყარა.

– ჰაჰაჰა, ფარდა-მოჩვენება! – ახარხარდნენ ბავშვები, როცა ქარმა ფარდა ჩამოაგდო და ჭერში ააფრიალა.

– ფარდა მოგვიანებით ჩამოვკიდოთ, ფერადი ფოთლები კი ხელოვნების გაკვეთილისთვის შევინახოთ, გამოგვადგება, – შესთავაზა მასწავლებელმა ბავშვებს.

– მე ფარდა-მოჩვენებას დავხატავ, – მოიფიქრა ნიკამ.

– მე ფერად ფოთლებს დავხატავ, – არ ჩამორჩა მაია. – ჩემს ნახატს კი ასე დავარქმევ: შემოდგომა კლასში შემოვიდა, – გახარებულმა გოგონამ მერხზე ნაირ-ნაირი ფერის ფოთლები დაიხვავა.

- **ისაუბრე: დღეს როგორი ამინდია?**

ზ

მალე ზარია

– მოდი, ბიბლიოთეკაში წავიდეთ, – სთავაზობს ნიკა მაიას ქართული გაკვეთილის დასრულების მერე, დიდ შესვენებაზე.

– ვერ მოვასწრებთ, – უარს ამბობს მაია. – მალე ზარია, ბიბლიოთეკაში კიდევ იმდენი წიგნია, დრო არ გვეყოფა.

– მოვასწრებთ, შორს კი არაა, ზედა სართულზეა, – არ ნებდება ნიკა. – თან ყველა წიგნის წაკითხვას ახლავე ხომ არ ვაპირებთ?! – ნიკა კიბეებზე არბის და მაიაც უკან მიჰყვება, მაგრამ თავისთვის ბუზღუნებს:

– წიგნი რომ ძალიან საინტერესო აღმოჩნდეს და ბოლომდე წაკითხვა მომინდეს, რა ვქნა? გაკვეთილზე დავაგვიანო? ეს ხომ არ შეიძლება?!

- **შენ ყოფილხარ სკოლის ბიბლიოთეკაში? აღწერე გზა შენი კლასიდან სკოლის ბიბლიოთეკამდე.**

ხ

ხმელი ტოტი

ეზოში ერთი უშველებელი მუხა დგას, რომელსაც ძია სანდრო ხერხით მსხვილ ტოტს აჭრის. შორიახლოს ბავშვები თამაშობენ.

– ძია სანდრო, რატომ ჭრით ხეს? – უკვირს მაია.

– ხეს კი არა, გამხმარ ტოტს ვჭრი. შეიძლება ქარმა მოტეხოს, საშიშია, – უხსნის ძია სანდრო.

– ძია სანდრო, დაგეხმაროთ? – მორბის ნიკა.

– ჰო. აი, მანდ იდექით და აქეთ არავინ მოუშვათ, ვისაც ჩაფხუტი არ ეფარება თავზე.

– ვითომ შენი დამხმარეები ვართ, – უხარია ნიკას.

– ვითომ კი არა, მართლა ვართ! – უსწორებს მაია, – ეჰ, ნეტავ ჩაფხუტები ჩვენც გვქონდეს!

- **უსაფრთხოების რომელი წესის შესახებ გაიგე ამ ამბიდან?**

პ

სტუმრად პეტრესთან

მაია, ნიკა და ნია თავიანთ კლასელს – პეტრეს სტუმრობენ შინ. პეტრე მუსიკაზე დადის და მეგობრები პიანინოზე რამის დაკვრას სთხოვენ.

– მოდით, პეპელაზე ვიმღეროთ, – ამბობს მაია. – მე პეპლები ძალიან მიყვარს.

– ჯერ ეგეთი სიმღერა არ მისწავლია, – მხრებს იჩეჩს პეტრე. – რაც ვიცი, იმას დავუკრავ.

ბავშვები პეტრეს უსმენენ, შემდეგ კი სასადილოდ ემზადებიან. თუმცა, მაგიდასთან სხდებიან თუ არა, ნიას დედა ურეკავს. ნიას დედა საზღვარგარეთ მუშაობს და გოგონას ის ძალიან ენატრება.

– დედიკო, ესენი ჩემი მეგობრები არიან, იცი, პეტრე პიანინოზე რა კარგად უკრავს?! – ნია დედას კლასელებს აცნობს და პეტრეს სთხოვს: – პეტრე, მოდი, ერთხელ კიდევ დაუკარი, რა. დედაც მოგისმენს.

პეტრე პიანინოსთან მიდის და დაკვრას იწყებს.

- **შენ ხშირად სტუმრობ მეგობრებს? მოგვიყევი, როგორ ატარებთ დროს.**

წ

აქ ისევ ახალი წელია

ნასადილევს ბავშვები პეტრეს ოთახში შედიან და რას ხედავენ: ოთახი ისევ საახალწლოდაა მორთული: კედლებზე ფერადი ნათურები კიდია, ნაძვის ხეც ადგილზეა და საშობაო წინდებიც.

– აქ ისევ ახალი წელია! – გაოცებას ვერ მალავს მაია.

– ჰო, ახალი წელი ძალიან მიყვარს, – მეგობრებს მორცხვად უხსნის პეტრე. – მინდა, რომ სულ ახალი წელი იყოს.

– ეს რა ლამაზი წინდაა. ვისია? – ნია სათამაშოების ყუთიდან ფუმფულა წითელ წინდას იღებს.

– საშობაო წინდაა, – მხრებს იჩეჩს პეტრე.

– ისე, ნაძვის ხე მაგიდაზე რატომ გიდგათ? იატაკზე არ სჯობს? – უკვირს მაიას.

– ჩვენმა კატებმა სათამაშოები რომ არ ჩამოყარონ, – უხსნის პეტრე. – იცით, შარშან ერთმა კნუტმა ვარსკვლავი ჩამოაგდო და წინდაში მალავდა.

- **შენი საყვარელი დღესასწაული რომელია?**

ც

ციხესიმაგრე

მაიამ და მისმა კლასელებმა ექსკურსია მოაწყვეს და გიდთან ერთად ციხესიმაგრე მოინახულეს. გიდმა ბავშვებს ერთი ლეგენდა უამბო: თურმე ოდესღაც ამ ციხესიმაგრეში ორი მეგობარი ცხოვრობდა, რომელთაც ძალიან უყვარდათ ციცინათელები. ერთ დღეს ციცინათელები გამქრალან, მეგობრები კი მათ საძებნელად წასულან და უკან აღარ დაბრუნებულან. ამბობენ, მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდებიან, რაც ამ ადგილს ციცინათელები ისევ დაუბრუნდებიანო.

– მოდით, ჩვენც მოვძებნოთ ციცინათელები, – შესთავაზა მაიამ მეგობრებს.

– ჯერ აქაურობა უნდა მივალაგოთ, ბავშვებო, – გამოაცხადა მასწავლებელმა. – ზედმეტი ნარჩენები მოვაგროვოთ და რაც მთავარია, კოცონი არ დაგვრჩეს დანთებული.

– და ციცინათელებს როდისღა მოვძებნით? – ვერ ისვენებდა მაია.

– სანამ არ დაღამდება, ძებნას აზრი არ აქვს. ციცინათელები მხოლოდ ღამით ჩნდებიან, – აუხსნა მასწავლებელმა გოგონას.

– ნეტავ, მალე დაღამდეს რა! – ინატრა მაიამ.

- **როგორ უნდა მოიქცე ბუნებაში ექსკურსიის ბოლოს? რომელი წესები დაგამახსოვრდა?**

ყ

ბაყაყი ყუთში

მაია მთელი საღამო თავის ოთახში იჯდა. დედამ და მამამ რამდენჯერმე მოიკითხეს, მაია კი მხოლოდ ამას პასუხობდა:

– დავალებას ვაკეთებ.

ბოლოს და ბოლოს, როცა მამა და დედა სამზარეულოში ისხდნენ მათესთან ერთად, მაია თავისი ოთახიდან გამოვიდა ხელში მუყაოს პატარა ყუთით.

– ეს რის ყუთია, მაია? – ჰკითხა მამამ.

– ბაყაყის, – მიუგო მაიამ. დედამ და მამამ გაოცებით გადახედეს ერთმანეთს, მაიამ კი სიცილით განაგრძო: – ქაღალდის ბაყაყია, ნამდვილი კი არა. – და ყუთიდან მუყაოს მწვანე ბაყაყი ამოიღო.

– ყი, ყი, ყი, ბაყაყი ყიყინებს, – დაიყიყინა მათემ. – ყველას გულიანად გაეცინა.

- **გაიხსენე შენთვის საინტერესო დავალება.**

ღ

დაკარგული ღილები

დილას მამა სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა. ის იყო, პერანგი ჩაიცვა, რომ აღმოაჩინა, ზედ მხოლოდ ორი ღილი ჰქონდა. ეს პერანგი ხომ წინა საღამოს ნინომ გააუთოვა და სკამზე ფრთხილად გადაკიდა, რომ აღარ დაკუჭულიყო.

– ნინო, ხომ არ იცი, ჩემს პერანგზე ღილები რატომ აღარაა? – ჰკითხა ცოლს გაკვირვებით.

– არ ვიცი! – მხრები აიჩეჩა ნინომ, მერე კი უცებ გაახსენდა: – გუშინ მანდ მათე თამაშობდა, აი, თავისი ყულაბაც მანდვე დაუტოვებია.

სკამის ფეხთან მათეს ყულაბა ეგდო. დედამ ხელში აიღო. ყულაბა აჩხრიალდა. უკვე რამდენი ხურდა შეუგროვებია! – გაიღიმა დედამ და მამას მიუბრუნდა: – ხურდა ფული შენ მიეცი?

– არა, – იუარა მამა. მერე თითქოს რაღაცას მიხვდაო, ნინოს ყულაბა გამოართვა და გახსნა.

დედამ და მამამ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. მათეს ყულაბა მამას პერანგის ღილებით გაევსო.

- **შენ რის შეგროვება გიყვარს?**

ძ

ძეგლი

დღეს პარასკევია. მაია და ნიკა სკოლიდან ერთად მოდიან. გადაწყვიტეს, შინ მეორე გზით დაბრუნდნენ. მაიასთვის ამ ქუჩაზე ყველაფერი ახალია.

– ხვალ შაბათია, ბევრი უნდა ვიძინო, – ამბობს ნიკა.

მაია არაფერს პასუხობს. ეს წამია, ქუჩის გადაღმა ძეგლი შეამჩნია.

– ეს ძეგლი არასდროს დამინახავს, რატომ დგამენ ძეგლებს? თან სულ ადამიანების, – დაინტერესდა უცებ მაია, – რომ გავიზრდები, მიმის უნდა დავუდგა ძეგლი.

– ძეგლს რომ მარტო ცნობილ ადამინებს და გმირებს უდგამენ? – დაეჭვებით ეკითხება ნიკა.

– მერე რა, მიმი ჩემთვის უკვე გმირია, გუშინ რომ ვსეირნობდით, თავისზე დიდ ძაღლებს უყეფდა. იქამდე კი ცნობილიც გახდება.

- **აღწერე შენი გზა სკოლიდან სახლამდე.**

ჯ

ჯადოსნური ჯოხი

მაია და მათე მისაღებ ოთახში სხედან და ბებიას უსმენენ, რომელიც მათ ზღაპარს უამბობს.

– ჯუჯა ჯადოქარს ერთი ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა, – ჰყვება ბებია.

– მერე ჯუჯა რატომ იყო, თუ ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა? – აწყვეტინებს მაია.

– მომისმინე და გაიგებ, – მშვიდად პასუხობს ბებია და ზღაპარს აგრძელებს: – ჯადოქარი მარტო ცხოვრობდა და სულ ჯაჯღანებდა...

– მეგობრები არ ჰყავდა? ან და-ძმა ჯუჯები? ალბათ იმიტომ ჯაჯღანებდა, რომ მარტო ცხოვრობდა, – ისევ აწყვეტინებს მაია.

– მოდი, რამდენჯერაც შემაწყვეტინებ, იმდენჯერ ერთი ლექსი თქვი. თანახმა ხარ? – ეკითხება ბებია მაიას.

მათე იცინის, მაია კი იხტიბარს არ იტეხს:

– მე ბევრი ლექსი ვიცი, – მერე კი დაკითხვას განაგრძობს: – ბებო, შენ რას ინატრებდი, ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეს?

- **შენ რას ინატრებდი, ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეს?**

ჭ

მაიას ჭიამაია

– დედა, ნახე ეზოში რა ვიპოვე, – ეზოდან დაბრუნებული მაია დედას გაშლილ ხელისგულს აჩვენებს, რომელზეც ჭიამაია უზის.

– რა ლამაზია! – ეუბნება დედა, – თან შენი სეხნიაა.

– ამის სახელი უფრო გრძელია... მაგრამ მე უფრო დიდი ვარ. – ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ პასუხობს მაია.

– მართალია. – ეღიმება დედას, – ახლა კი იცი, რა უნდა ვქნათ?

– რა? – უკვირს მაიას.

– რა და ეგ ჭიამაია ისევ უნდა გავუშვათ, თორემ ჩვენთან, სახლში, ძალიან მოიწყენს, – უხსნის დედა.

– ჰო. თავისი ოჯახი და მეგობრები მოენატრება, – ოხრავს მაია. – ამიტომ ისევ იქ მივიყვან, საიდანაც წამოვიყვანე. – გოგონა გარბის და ჭიამაიას ეზოში უშვებს.

- **შენი აზრით, როგორ მოიქცა მაია? ახსენი შენი პასუხი.**

ჟ

სად არის ჟირაფი?

მამიდა ესმას მაია და მათე ზოოპარკში მიჰყავს. მათეს ყველაზე მეტად სპილო მოსწონს, მაიას კი – ფარშავანგები.

– მამიდა, აქ ჟირაფი არ არის? – ეკითხება მაია მამიდას, როცა თითქმის დაასრულეს ზოოპარკის დათვალიერება.

– არა, მაია, სამწუხაროდ, აქ ჟირაფები არ ჰყავთ, – ეუბნება მამიდა ესმა. – შენ გინახავს ჟირაფი?

– მხოლოდ ჟურნალებში და წიგნებში, და კიდევ – მულტფილმებში, – იხსენებს მაია, მერე კი უმცროს ძმას ეკითხება: – მათე შენც ხომ მოგწონს ჟირაფები?

მაგრამ სადაა მათე? ონავარი მამიდას გაჰპარვია და მაიმუნების გალიასთან ძალიან ახლოს მისულა. მაიმუნებსაც მეტი რა უნდოდათ, ერთ-ერთს გალიიდან თათი გამოუყვია და მათესთვის ჟაკეტში ჩაუვლია.

– მათე, აქეთ გამოიწიე, – ექაჩება მამიდა მათეს და გალიას აშორებს.

– მაიმუნს ჩემი ჟაკეტი მოეწონა, – კმაყოფილია მათე.

მამიდა ესმა, მაია და მათე სახლში ბრუნდებიან.

- **შენი აზრით, რა შეეშალა მამიდას? მათეს?**

ჰ

კლასის ჰიმნი

დღეს მაიას კლასს სკოლაში ზეიმი აქვს. დედა და მამა მოვიდნენ და მათეც მოიყვანეს.

– მათე, მოისვენე, – ხმადაბლა ტუქსავს მამა მათეს, რომელიც მას ჰალსტუხზე ეთამაშება.

– ამიტომ არ უნდა გაგეკეთებინა, – სიცილს ვერ იკავებს ნინო, – იწყება, იწყება, – ამბობს ცოტა ხანში, როცა სცენაზე ბავშვები გამოდიან.

– მაია სად არის? ვერ ვხედავ, – ჩურჩულებს მამა.

– ვერც მე ვხედავ... – დაბნეული დედა სცენას გაფაციცებით ათვალიერებს.

– აქ ვარ, – ისმის უცებ მაიას ხმა. თურმე მაია სკამის ქვეშ იმალებოდა.

– აქ რა გინდა, მაია? – უკვირს დედას. – სცენაზე რატომ არ ხარ?

– სცენაზე გამოსვლის მეშინია, – მორცხვად აღიარებს მაია, – აქედან ყურება მირჩევნია.

– არა, შვილო, ეგრე არ გამოვა, – არიგებს მამა, – შენი კლასელების გვერდით უნდა იყო. ისინიც ხომ ნერვიულობენ! მაგრამ თუ ერთად იქნებით, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

– მიდი, გაიქეცი, – ამხნევებს დედაც. – კლასის ჰიმნი ხომ მთელმა კლასმა ერთად უნდა იმღეროთ.

მაია ცოტას ყოყმანობს, მერე კი კიბისკენ მიდის და სცენაზე ადის. მაია და მისი კლასელები კლასის ჰიმნს ერთად მღერიან.

- **შენ რას ეტყოდი მაიას? როგორ გაამხნევებდი?**